

ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№158 (217) 21-28 თებერვალი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი


# წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში!

საქართველო ქრისტეშობიდან მეოთხე ასწლეულს ითვლიდა. მართალია, უფლის მოციქულებმა ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში იქადაგეს ქრისტიანობა ივერიის მიწაზე, მაგრამ ქვეყანა მაინც კერპთაყვანისმცემლობის წყვდიადში ჩაძირულიყო და **„არმური ცოდვისა მიმოიძვროდა მის მთათა ზედა“.** საჭირო იყო ის, ვინც ისევე დასცემდა კერპებს ქრისტეს სახელითა და ძალით, როგორც წმიდა გიორგიმ დაამარცხა და გაანადგურა ურჩხული. და მეოთხე საუკუნის დასაწყისში საქართველოსაკენ წამოემართა ასეთი მხედარი ღვთისა, წმიდა გიორგის ნათესავი, იერუსალიმის პატრიარქის დისშვილი და სარა ნიაფორის აღზრდილი, წმიდა ნინო, რომლის ბავშვობამაც იერუსალიმის ტაძარში გაიარა. ეს ტაძარი იმ მთის კალთაზე იყო აშენებული, რომელზეც სულიწმიდა გარდამოვიდა მოციქულებზე.



თავად დედაღვთისამ აირჩია ნინო სამოციქულო მოღვაწეობისათვის და უკურთხა ეს მძიმე ჯვარი – ყრმა ქალწულს სწორედ ის ქვეყანა უნდა განენათლებინა, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ერგო სამოღვაწეოდ თავისი მიწიერი ცხოვრების ჟამს. ძილში გამოეცხადა მარიამი ნინოს, ვაზის ჯვარი გადასცა და მოუწოდა: **„წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე იქ სახარება უფლისა იესუ ქრისტესი. მოიპოვებ მისგან მადლს და მე ვიქნები შენი მფარველი!“** წმიდა ნინომ ცრემლებით დაალტო ღვთისმშობლის ბოძებული ჯვარი ვაზისა და საკუთარი თმებით შეკრა იგი. შემდეგ თავის ბიძას მოუთხრო ყოველივე, მიიღო მისგან კურთხევა და დაადგა ქართლისაკენ მომავალ გზას...

მძიმე და განსაცდელებით აღსავსე იყო მისი სავალი, მაგრამ უფლის შემწეობით ყოველივე გადალახა და მცხეთაში მოვიდა. ქართლის დედაქალაქში კი ამ დროს დიდი დღესასწაული იყო, კერპთაყვანისმცემელთა დღესასწაული. მთელი ქალაქი ლამაზად მორთული დაუხვდა ნინოს, მოსახლეობა იმ მთისაკენ დაძრულიყო, რომელზეც კერპი იდგა. ქალწულიც მათ გაჰყვა და საკუთარი თვალებით იხილი ადამიანთა უგუნურება, შემოქმედის ნაცვლად უსახურ ქმნილებებს რომ სცემდნენ თაყვანს... და ილოცა ნინომ... ილოცა და საშინელი სეტყვა და ქარიშხალი დაატყდა თავს იქაურობას... შეშინებულები დაიფანტნენ მოზეიმენი... გრიგალმა არმაზის კერპი, სხვა კერპებთან ერთად, ხევში გადაჩეხა... ქარიშხალმა და ჭექაქუხილმა ისევე სწრაფად გადაიარა, როგორც დაიწყო... და გამობრწყინებულმა მზემ გაანათა მთის მწვერვალები, რომლებზეც აღარ მოსჩანდნენ კერპები... წმიდა ნინოს ლოცვის ძალამ დასცა და დალეწა ისინი...

იმ წუთიდან დაიწყო საქართველოს სულიერი შობა, რომელიც მტკვრისა და არაგვის შესართავთან მთელი ერის ნათლობით დასრულდა.

წმიდა ნინომ მირიან მეფის მებაღის ოჯახში დაიდო ბინა, რომელიც წარმოშობით იუდეველი იყო. სამეფო ბაღის კიდეზე, მაყვლოვანში, ლოცულობდა და უფალს ევედრებოდა, სულიერი სიბრმავისაგან ეხსნა ქართველნი. მიწაზე ხალიჩის ნაცვლად ქეჩის ნაგლეჯი ეგო, ღამეებს ქრისტესთან საუბარში ათენებდა, დღეებს მოყვასთა მსახურებაში აღამებდა: ბრმებს თვალისჩინს უბრუნებდა, სნეულთ კურნავდა, უშვილოებს შვილიერებას მიჰმადლიდა... ხშირად მიდიოდა მცხეთის შემოგარენში, განსაკუთრებით კი იმ მთაზე, რომელზეც დღეს ჯვრის მონასტერია აგებული, და საათობით ლოცულობდა. მისი ლოცვა სამეფო ოჯახსაც შეეწია: ჯერ მძიმედ დასნეულებული ნანა დედოფალი განკურნა, შემდეგ კი ქრისტეს გამო ცოლსა და ქრისტეს მქადაგებელზე განრისხებულ მირიან მეფესაც აუხილა სულიერი თვალი... და ქრისტეს ნათელმა გაანათლა მთელი ქართლი... ხოლო უდიდეს და ხილულ კელაპტრად ამ ნათლისა სვეტიცხოველი აღიმართა – სვეტი-ცხოველი, ცოცხალი სვეტი-ძარღვი, დღემდე რომ ასე ძალუმად ფეთქავს და ჩვენი ერის დვრიტას ჭეშმარიტი სიკვდილისაგან იცავს...

მას შემდეგაც არ დაუსვენია, რაც, მირიან მეფის ნებით, საყოველთაო ნათლობა აღსრულდა მცხეთასთან, მტკვრისა და არაგვის შესართავთან: **„ის ადიოდა მთიან დასახლებებში, რომლებიც კლდეზე მიშენებულ არწივის ბუდეებს ჰგავდნენ. ის ქადაგებდა დიდებულთა სასახლეებსა და ღატაკთა ქოხებში; დღესა და ღამეს ახლად ნათელღებულ ხალხზე ზრუნვაში ატარებდა, როგორც ნათლია ზრუნავს ნათლულებზე“** (არქიმანდრიტი რაფაელი).

შემდეგ ჰერეთში წავიდა და იქ, ბოდბეში, დაიდო ბინა. იქვე აღესრულა. სიკვდილის წინ დაიბარა, რომ არსად წაესვენებინათ და იქვე დაემარხათ. მირიან მეფემ ისურვა, პატივით დაეკრძალა მოციქულთასწორის წმიდა ნაწილები და მისი გადასვენება მოისურვა, მაგრამ ისე დამძიმდა გარდაცვლილის სხეული, რომ იგი ადგილიდან ვერ დაძრეს. მაშინ მიხვდნენ, რომ უნდა დამორჩილებოდნენ წმინდანის ნებას – წმინდა ნინოს საფლავი დღესაც ბოდბეშია. ცრემლებად დაღვრილი მისი ლოცვები კი დღემდე სასწაულმოქმედ წყაროდ ამოსჩქეფს მონასტრის ძირში და უამრავ სასწაულს ახდენს. დაე, წმიდა ნინოს ლოცვებმა გვიხსნას განსაცდელისაგან და ისევე გაფანტოს უგუნურებისა და კერპთაყვანისმცემლობის წყვდიადი, როგორც მაშინ – მირიანისდროინდელ საქართველოში.

**მარიამ ბურჯანაძე**

# ბურუსით მოცული ტარიფები – არიფებისთვის?!

იყო დრო, შუქის მოსვლას ისე ველოდით, როგორც შორი გზიდან მომავალი სატრფოს დაბრუნებას. საბედნიეროდ, დღეს ვითარება შეიცვალა და 24-საათიანი ელექტრომომარაგება აღარავის უკვირს, თუმცა ეს სიამოვნება მოსახლეობას საკმაოდ ძვირი უჯდება. **„დაგვიწესეს ტარიფები არიფებისთვის“** – ხუმრობს ჩვენი ხალხი, რომლის შემოსავლის დიდი ნაწილი გადასახადებში მიდის...

სპეციალისტთა გათვლებით, საქართველო ელექტროენერგიის ტარიფის სიძვირით ლიდერობას არავის უთმობს არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ ზოგიერთ ევროპულ ქვეყანასთან შედარებითაც კი. შეგახსენებთ, რომ საქართველოში დენის ტარიფი საფეხურებად არის დაყოფილი. აბონენტს, რომელიც თვეში 100 კილოვატამდე ელექტროენერგიას მოიხმარს, ერთ კილოვატში საშუალოდ 13 თეთრის გადახდა უწევს, თუ მომხმარებელი თვეში 101-დან 300 კვტ//სთ-მდე ელექტროენერგიას ხარჯავს, 16 თეთრი უნდა გადაიხადოს (რეგიონებში – 17 თეთრი), ხოლო მესამე კატეგორიის აბონენტს, რომელიც 301 კილოვატსაათზე მეტს მოიხმარს, ერთი კილოვატი ელექტროენერგია 17,7 თეთრი უჯდება. ფასების სხვაობა საქართველოს ენერგოსექტორში ორი მსხვილი მოთამაშის, **„თელასისა“** და **„ენერგოპროჯორჯიას“** არსებობით არის გამოწვეული.

რეგიონებში ელექტრომომარაგებას **„ენერგოპროჯორჯია“** უზრუნველყოფს. საინტერესოა ისიც, რომ სემეკის დადგენილებით, საქართველოში წარმოებული 1 კილოვატსაათი ელექტროენერგიის თვითღირებულება 4,45 თეთრია, მისი ე.წ. საცალო ღირებულება კი – საშუალოდ 16 თეთრი, იმავე სემეკის ინფორმაციით, დისპეტჩერიზაციისა და დანაკარგების ხარჯი 1 თეთრია. ე.ი. გამანაწილებელ კომპანიებს 1 კილოვატსაათი ელექტროენერგია სულ დაახლოებით 6 თეთრი უჯდებათ, მაგრამ გაცილებით ძვირად ჰყიდიან. ამ დარგის სპეციალისტები ხშირად სვამენ კითხვას – რატომ ახდევინებენ ქართველ მომხმარებელს 1 კვტ/სთ ელექტროენერგიაში 16 თეთრს, ან რატომ ამუშავებს ჩვენი ხელისუფლება რუსეთის სახელმწიფო კომპანია **„ინტერ რაო ეეს“-**ს 150-%-იან მოგებაზე მაშინ, როდესაც დასავლურ ქვეყნებში კერძო კომპანიების მოგების მაქსიმალური მარჟა 6-7 %-ის ფარგლებშია?

**„საქართველოში მთელ აღმოსავლეთ ევროპაში ელექტროენერგიაზე ყველაზე დაბალი ტარიფია, გარდა რუსეთისა, აზერბაიჯანისა და უკრაინისა, სადაც სახელმწიფო დარგის სუბსიდირებას ახდენს... სუბსიდირება საქართველოს მთავრობას არასწორად მიაჩნია, ტარიფის ხელოვნურად შემცირებით კი, ქვეყანა კვლავ ენერგოკრიზისის ეპოქას დაუბრუნდება“,** – ამბობს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური და გვპირდება, რომ ქვეყანაში ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ტარიფი არ გაიზრდება, თუმცა მის პროგნოზს ოპოზიციის წარმომადგენლები კატეგორიულად არ ეთანხმებიან:

**ლევან ვეფხვაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი:**

**„ელექტროენერგიის ტარიფი ჩვენს ქვეყანაში არაფრით ჩამოუვარდება ევროპულ ქვეყნებში არსებულ ტარიფებს, რადგან ჩვენთან დენის ტარიფი დიდწილად დამოკიდებულია ბუნებრივ აირზე. ზამთარში ჩვენ დამატებით გვჭირდება თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია, ეს თბოელექტროსადგურები მუშაობენ ბუნებრივ აირზე, შესაბამისად, თუ ჩვენი ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 2-3 თეთრად შედის ქსელში, ზამთარში ის ძვირდება. ამ ტარიფში ნაგულისხმევია ე.წ. ინვესტიციებიც, თუმცა არავინ იცის, რა ინვესტიციებზეა ლაპარაკი. ამიტომაც ეს არის ე.წ. შეწონილი ტარიფი, რომელიც იმაზე ძვირია, ვიდრე უნდა იყოს. სხვათა შორის, ბუნებრივ აირსაც იმაზე ძვირად ვყიდულობთ, ვიდრე შეგვიძლია ვიყიდოთ. როდესაც ამდენი ჰესი შენდება, ტარიფების შემცირების იმედი უნდა გვქონდეს, მაგრამ ამ ახალი სადგურებისათვის ელექტროენერგიის ფასი დერეგულირებულია ანუ რა ფასადაც უნდათ, იმ ფასად გაყიდიან, არანაირი ვალდებულება და ზედა ზღვარი არ ექნებათ. შესაბამისად, თუკი თურქეთში უფრო ძვირად გაყიდიან, საქართველოს ელექტროსისტემასაც ძვირად მიაწვდიან იმიტომ, რომ ამით უფრო მეტ მოგებას მიიღებენ. სამწუხაროდ, მთავრობის პოლიტიკა არ არის ორიენტირებული დაბალ ტარიფებზე, ამგვარი პოლიტიკის დამსახურებაა ის, რომ უკრაინაში, მაგალითად, ბუნებრივი აირიც და ელექტროენერგიაც ჩვენთან შედარებით სამჯერ იაფია. როცა ვსვამთ კითხვას, რატომ ხდება ეს, ამაზე პასუხს ვერავინ გვცემს“.**

**ალექსანდრე თვალჭრელიძე, ეკონომიკის ექსპერტი, საქართველოს საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი:**

– 15-20 წლის წინ შუქი სანატრელი გვქონდა. იმ პერიოდთან შედარებით დღეს გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ. თუმცა ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ დისტრიბუციის სისტემა მთლიანად შესაცვლელია და ჩვენი ენერგოსისტემა რეაბილიტაციას საჭიროებს, რასაც სახსრები სჭირდება. ეს სახსრები კომპანიებმა მოსახლეობის ჯიბიდან უნდა ამოიღონ, ბიძინა ივანიშვილივით თავისი ჯიბიდან თანხას არავინ დახარჯავს.

საერთოდ კი, ტარიფი უნდა ფორმირდებოდეს დანახარჯების მიხედვით, ჩვენთან კი ამის გარკვევა ძალიან ძნელია. მე, პრაქტიკულად, არ ვიცი, როგორ ადგენენ ელექტროენერგიის ტარიფს, რამდენია მასში მოგების წილი ან დამატებული ღირებულება, რადგანაც ეს მონაცემები გასაიდუმლოებულია. ეს ჩვენი მთავრობის შეცდომას უნდა დავაბრალოთ, რომლის წყალობითაც საჯარო სამსახურები სულაც არ არის საჯარო. მათ ხელმძღვანელებს პრეზიდენტი ნიშნავს და მათი საქმიანობაც ბურუსით არის მოცული. არასწორად მიმაჩნია სამსაფეხურიანი ტარიფის დაწესებაც. ყველაზე საშინელი კი მაინც ის იყო, დასუფთავების გადასახადი ელექტროენერგიის ტარიფს რომ დაუკავშირეს. ეს აბსოლუტურად უკანონო გადაწყვეტილებაა.

**ცნობისათვის**

რამდენს იხდის 1 კვტ/სთ ენერგიაში ჩვენი მეზობელი თუ შორეული ქვეყნების მოსახლეობა?

რუსეთში 1 კვტ/სთ ელექტროენერგია, საშუალოდ, 7 ცენტი, დაახლოებით 11,5 თეთრი ღირს. მოსკოვში 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის საფასური 10 ცენტია ანუ 16,5 თეთრი. აზერბაიჯანში 1 კვტ ელექტროენერგია მოსახლეობისთვის 5,41 ცენტი, დაახლოებით 9 თეთრი ღირს. უკრაინაში კი მოქალაქეები იმავე ოდენობის ელექტროენერგიაში საშუალოდ 5 თეთრს იხდიან. 1 კვტ///სთ ელექტროენერგიაში 5 თეთრს იხდიან ბელორუსი მომხმარებლებიც. სომხეთში დენის ტარიფი დაახლოებით 11 თეთრია, ყაზახეთში – 7,5 თეთრი, მოლდოვაში – 11,4 თეთრი, თურქეთში – დაახლოებით 15 ცენტი ანუ 25 თეთრი. ელექტროენერგიის ტარიფი საქართველოსთან შედარებით მაღალია ევროკავშირის ქვეყნებში: კერძოდ, საბერძნეთში მოსახლეობისთვის ერთი კილოვატი ელექტროენერგია 11,57 ცენტი ღირს, რაც დაახლოებით 19 თეთრს უტოლდება, ანალოგიური ფასია ლატვიასა და ესტონეთში. ფინეთში – 17,9 ცენტი ანუ 29,5 თეთრი, საფრანგეთში, ესპანეთსა და პოლონეთში – თითქმის 20 ცენტამდე ანუ 33 თეთრი, ისევე როგორც დიდ ბრიტანეთსა და უნგრეთში, ყველაზე მაღალი ტარიფი კი დანიაშია – 38,71 ცენტი ანუ დაახლოებით 63 თეთრი, რაც შეეხება ავსტრალიას, იქ 1 კილოვატი ელექტროენერგია 21 ცენტი ღირს, ანუ 34-35 თეთრი. აშშ-ში მოსახლეობისთვის ელექტროენერგია 11 ცენტი, ანუ 18,5 თეთრი ღირს, ხოლო საწარმოებისთვის – 7 ცენტი ანუ 11,5 თეთრი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობა 45 000-დან 125 000 აშშ დოლარამდეა, ხოლო ჩვენს ქვეყანაში – 2 600 აშშ დოლარი, ადვილი მისახვედრია, რომ გადასახადები ჩვენი მოსახლეობისათვის საკმაოდ მძიმე ტვირთია.

**ხ. ჩიგოგიძე**

# კომერციული ბანკები უშიშროების აგენტის ფუნქციების შესრულებას შეუდგნენ

კომერციული ბანკების პოლიტიკაში ჩათრევა მათი ნდობის ხარისხზე განსაკუთრებით უარყოფითად აისახება. არათუ პოლიტიკოსი, არამედ არც ერთი მოქალაქე არ ენდობა იმ ბანკს, რომელმაც იცის, რომ აღნიშნული ბანკი მისი პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციას აგროვებს და უშიშროებას აწვდის. ექსპერტების განცხადებით, მთავრობამ აღნიშნული გადაწყვეტილებით ეკონომიკის ყველაზე მზარდი ფინანსური სექტორი უფსკრულისკენ წაიყვანა.

შეგახსენებთ, რომ **„კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“** დებულება დამტკიცდა. ბრძანების თანახმად, კომერციული ბანკები ვალდებულნი ხდებიან, გამოარკვიონ, მიეკუთვნება თუ არა კლიენტი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირის კატეგორიას.

თუ კლიენტი ან/და მისი ბენეფიციარი მესაკუთრე წარმოადგენს პოლიტიკურად აქტიურ პირს, ბანკმა დამატებით უნდა განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: მიიღოს ბანკის ხელმძღვანელობისგან ასეთ პირთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების ნებართვა; მიიღოს გონივრული ზომები ასეთი პირის ფულადი სახსრების, ქონების წარმომავლობის დასადგენად; განახორციელოს ასეთ პირთან თავისი საქმიანი ურთიერთობების გაძლიერებული მონიტორინგი.

თუ კლიენტი (მისი ბენეფიციარი მესაკუთრე) ბანკთან საქმიანი ურთიერთობების დამყარების შემდეგ გახდა პოლიტიკურად აქტიური პირი, ბანკი ვალდებულია, ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთანავე გაატაროს მონიტორინგისთვის შესაბამისი ღონისძიებები.

ამასთან, ბრძანებაში განსაზღვრულია პოლიტიკურად აქტიური პირის ტერმინი, რომელსაც წარმოადგენს უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით უკავია სახელმწიფო (საჯარო) პოლიტიკური თანამდებობა ან/და ეწევა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას.

ასევე პოლიტიკურად აქტიური პირები არიან: სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის ხელმძღვანელი და მთავრობის წევრი, აგრეთვე მათი მოადგილეები, სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელი, პარლამენტის წევრი, უზენაესი სასამართლოს წევრი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, სამხედრო ძალების ხელმძღვანელი პირი, ცენტრალური (ეროვნული) ბანკის საბჭოს წევრი, ელჩი, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელი პირი, პოლიტიკური პარტიის (გაერთიანების) ხელმძღვანელი, პოლიტიკური პარტიის (გაერთიანების) აღმასრულებელი ორგანოს წევრი, სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე, ასევე მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე მასთან უშუალო საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი; პირი პოლიტიკურად აქტიურ პირად ითვლება ზემოაღნიშნული თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში.

ასე რომ, კომერციულ ბანკებს პოლიტიკურად აქტიური პირების გამოვლენის ვალდებულება ემატებათ. არადა, ცოტა ხნის წინათ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ, **„ქართუ ბანკის“** ხელმძღვანელი ნოდარ ჯავახიშვილის გასაგონად განაცხადა, რომ კომერციული ბანკის პოლიტიზება დაუშვებელია.

ექსპერტ ლია ელიავას თქმით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის **afae**-ის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ შეიქმნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული კომერციული ბანკები მსოფლიო ფინანსური სისტემიდან იზოლირებული იქნებოდნენ.

**afae**-ის რეკომენდაციებში მითითებულია, თუ რა ღონისძიებები უნდა გაატარონ საფინანსო ინსტიტუტებმა პოლიტიკურად აქტიური ჯგუფების მიმართ, აქვე განმარტებულია ვინ არიან პოლიტიკურად აქტიური პირები. ელიავას თქმით, რეკომენდაციების მიხედვით, მონიტორინგი უნდა განხორციელდეს მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქე პოლიტიკოსების მიმართ, რომლებიც მოცემულ ქვეყანაში სახელმწიფო ან საჯარო სამსახურებში მუშაობენ.

რეკომენდაცია არ ეხება ადგილობრივ პირებს, თუმცა სპეციალისტების განცხადებით, ხელისუფლებამ ეს მითითება, სათავისოდ, წინასაარჩევნო პერიოდს მოარგო.

**„ერთი შეხედვით თითქოს ჩანს, რომ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ არ ხდება afae-ის რეკომენდაციებიდან გადახრა. თუმცა, ამ შემთხვევაში, პოლიტიკურად აქტიური პირის განმარტება იმდენად ორაზროვანია, რომ იგი შეიძლება იყოს, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, ასევე ადგილობრივი მცხოვრები.**

**საქართველოში ბანკებისთვის ასეთი ფუნქციის დაკისრება მძიმე შედეგის მომტანი იქნება. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კომერციული ბანკები ეროვნული ბანკის მიერ არა მარტო რეგულირდებიან, არამედ მნიშვნელოვანწილად მასზე არიან დამოკიდებულები. ჩნდება საშიშროება, რომ კომერციული ბანკები პოლიტიკური ბატალიების არენად გადაიქცევიან“,** – აღნიშნა ლია ელიავამ.

მისი თქმით, საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე ეკონომიკის ერთადერთი მზარდი საფინანსო სექტორის პროცესებში ჩათრევა დაუშვებელია. პრაქტიკულად კომერციულ ბანკებს დაევალათ არა მარტო ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმთან ბრძოლა, არამედ პოლიტიკურად აქტიური პირების ფინანსების დეტალური კონტროლი.

**„დარწმუნებული ვარ, რომ კომერციული ბანკები ამ გადაწყვეტილებას ენთუზიაზმით არ შეხვდებოდნენ, თუმცა მათ, ბუნებრივია, მარეგულირებლისა და მაკონტროლებლის ბრძანებების ზედმიწევნით შესრულება მოუწევთ“,** – ამბობს ელიავა.

მისი აზრით, ამ ფუნქციის დაკისრების გამო კომერციული ბანკების ავტორიტეტი თანდათან დაეცემა, თანაც არა მარტო პოლიტიკურ წრეებში, არამედ მთლიანად მოსახლეობაში. რამდენიმე თვეში კი ნდობის დაბალი ხარისხი ნეგატიურად აისახება მათ საქმიანობაზე, რაც გამოიწვევს სექტორის ზრდისა და შემოსავლების შემცირებას.

სხვათა შორის, ბანკებს ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების თავიდან აცილების მოტივით შიდა კონტროლის განხორცილების ვალდებულება დაეკისრათ. ეს ნიშნავს, რომ კომერციული ბანკი ვალდებულია, მასთან საქმიანი ურთიერთობებით დაკავშირებული ყველა პირის (კლიენტის), მისი წარმომადგენლისა და მარწმუნებლის, ბენეფიციარი მესაკუთრის, აგრეთვე, თუ საბანკო ოპერაცია (გარიგება) სრულდება მესამე პირის სასარგებლოდ - ამ პირის, იდენტიფიკაცია მოხდინოს. ასევე მას ევალება, პოლიტიკურად აქტიური პირების მიმართ ამ დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება, კლიენტთან საქმიანი ურთიერთობების მუდმივი მონიტორინგის განხორციელების წესისა და პირობების განსაზღვრა, იდენტიფიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და მონიტორინგს დაქვემდებარებული საბანკო ოპერაციების (გარიგებების) გამოვლენა.

კომერციულმა ბანკებმა მონიტორინგს დაქვემდებარებული საბანკო ოპერაციების (გარიგებების) შესახებ ინფორმაცია ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ანგარიშგების ფორმით უნდა წარუდგინონ, ასევე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების აღკვეთის მიზნით, უნდა განახორციელონ ბანკის თანამშრომლების სწავლების პროგრამებო. თანაც კომერციულმა ბანკმა კლიენტის საქმიანობა ისე უნდა გამოიძიოს, რომ საბანკო ოპერაციების მონაწილე და სხვა შესაბამისი პირებისათვის არ გახდეს ცნობილი, რომ მათი ქმედებები მონიტორინგის ობიექტს წარმოადგენს.

და ბოლოს, ექსპერტების განცხადებით, საქართველოში კომერციული ბანკების მიმართ ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედებები, ჯერ გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილისა და ამჯერად ბიძინა ივანიშვილის **„ქართუ ბანკის“** მიმართ, ქართული ბანკების ნდობის ხარისხს ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე ასამარებს.

**მ. ხარაზიშვილი**

# საპატრიარქომ აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასა და ახმედის მეჩეთის რესტავრაციასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა

***საქართველოს საპატრიარქომ ქალაქ ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასა და ახალციხეში ახმედის მეჩეთის რესტავრაციასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:***

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გერმანიაში ყოფნის პერიოდში, მასმედიით გახდა ცნობილი, რომ საქართველოს ხელისუფლება აპირებს, თანხმობა მისცეს ბათუმში ე.წ. აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას და ახალციხეში ახმედის მეჩეთის რესტავრაციას.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები ორ წელიწადზე მეტია, მიმდინარეობს თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის და ეს ხდება საქართველოს კანონმდებლობის (კონსტიტუციური შეთანხმების) უხეში დარღვევით, რადგან საქართველოს საპატრიარქო, რომელიც არის ყველა ქართული ეკლესია-მონასტრის მესაკუთრე, არ იყო და არ არის ჩართული ოფიციალურ მოლაპარაკებებში; მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენი პრინციპული, მაგრამ, ამავე დროს, კონსტრუქციული პოზიცია ყოველთვის გვქონდა.

ეს პოზიცია დაფიქსირდა თურქეთის პრემიერ-მინისტრ, ბატონ რეჯებ თაიფ ერდოღანისადმი 2011 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის მიერ მიწერილ წერილშიც, რომლის პასუხიც სამწუხაროდ, დღემდე არ მიგვიღია.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მეტად პრობლემატურია ხელისუფლების სურვილი, ბათუმში ახალი მეჩეთ-კომპლექსის მშენებლობის შესახებ, რასაც ძველი მეჩეთის აღდგენად წარმოაჩენენ.

არა აქვს გამართლება იმ პოზიციასაც, თითქოს ეს კეთდება ოშკისა და იშხანის გადარჩენის მიზნით, რადგან, საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა თურქეთის სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. ამიტომაც, ხელისუფლებას ამ მიზნით წლების წინ უნდა მიემართა იუნესკოსთვის (რაც არაერთხელ შევახსენეთ) და ეს თემა დღეს განხილვის საგნად არ უნდა ექცია.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ წამოვაყენეთ ისეთი წინადადება, რომელიც შესაძლებელს გახდის ქართულ-თურქული ამ მოლაპარაკებების ორმხრივად მისაღები გზით განვითარებას. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში და პირველ რიგში აჭარაში გახსნილი ასობით მეჩეთისა და ჯამეს საპირწონედ ტაოსა და ლაზეთში თითო-თითო ეკლესიის აღდგენა-ამოქმედება შევთავაზეთ და ამასთან საპატრიარქოს ჩართვა აღნიშნულ მოლაპარაკებებში.

ჩვენ ვდგამთ კიდევ ერთ ნაბიჯს და ამ ეტაპზე აღარ ვაყენებთ ხახულის ეკლესიის (ტაოს მხარე) ფუნქციონირების საკითხს. ვითხოვთ, მხოლოდ უძველეს ქართულ საეპისკოპოსო ქალაქ არდაშენში (ლაზეთის მხარე), მცირე ზომის ბაზილიკის ჩვენი თანხებით აღდგენა-ამოქმედებას. (შევნიშნეთ, რომ ამ რეგიონში ქართული სხვა არაერთი გაცილებით დიდი ძეგლია) და ამის შემდეგ თურქეთსა და საქართველოში მეჩეთებისა და ტაძრების რესტავრაციაზე საუბარს ჩვენი მონაწილეობით. ხოლო, თუ ამის განხორციელება რაიმე მიზეზით თურქული მხარისთვის მიუღებელია, ჩვენთვისაც ყოვლად მიუღებელია ოშკის და იშხანის გადარჩენის საბაბით ბათუმში ჩვენი ისტორიის მძიმე პერიოდის სიმბოლოს, აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ასეთი ქმედებით ხელოვნურად ხდება მუსლიმებსა და ქრისტიანების შორის დაძაბულობის პროვოცირება; არადა, საქართველოში მუსლიმები რომელი ერის წარმომადგენლებიც არ უნდა იყვნენ ისინი, ისევე, როგორც სხვა რელიგიის აღმსარებელნი, არასოდეს იზღუდებოდნენ, პირიქით, ყოველთვის კარგად გრძნობდნენ თავს და ამიტომაც იყო, რომ არაერთმა მათგანმა შესწირა სიცოცხლე საქართველოს დაცვას; ეს დღესაც ასეა და ამას პირველ რიგში ქართველი ადამიანის შემწყნარებლური ქრისტიანული ბუნება განაპირობებს.

გამოვთქვამთ იმედს, რომ როგორც თურქეთის, ისე საქართველოს ხელისუფლება გაითვალისწინებს ჩვენს შეთავაზებას და არ გადადგამენ ისეთ ნაბიჯებს, რაც ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის პრობლემების შექმნას შეუწყობს ხელს“, – ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში.



# პარკირების საფასურის ზრდა რეგიონებიდან დაიწყო

სანამ თბილისელი მძღოლები პარკირების წლიური საფასურის შესაძლო გაძვირებაზე საუბრობდნენ, ბათუმში ეს საკითხი უცებ **„მოაგვარეს“**. ამიერიდან, ბათუმში, ავტომანქანის ერთწლიანი პარკირების უფლება 40-ის ნაცვლად, 80 ლარი ეღირება. დედაქალაქში ასეთი რამ ჯერ არ იგეგმება. ყოველ შემთხვევაში **„სითი პარკის“** ადმინისტრაციის სამსახურში ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ.

ბათუმში კი, ქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილებით სარგებლობის საფასურის გაზრდის გადაწყვეტილება, ბათუმის საკრებულომ მიიღო. ახალი ტარიფების თანახმად, პარკინგით სარგებლობის ერთკვირიანი ბარათი 4-ის ნაცვლად 7 ლარი ეღირება, ერთწლიანისა კი 40-ის ნაცვლად 80 ლარი. პარკინგის გაზრდილი საფასური ძალაში 10 თებერვლიდან შევა. **„ავტომანქანის მეპატრონეს, რომელსაც ერთიანად 80 ლარი არა აქვს, მას შუძლია 6 თვის ფული გადაიხადოს – 45 ლარი“**, – განმარტავს ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი კირთაძე.



## ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება

# მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157)

(ანოტაცია)

ამჯერად, საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე: თავდაპირველად თანხმოვნური ხმაბაძვითი ფორმებით მეტყველების ფაქტს, ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, ადასტურებს ამგვარი გარემოებანი:

შეუძლებელია ადამიანს თავდაპირველად წარმოეთქვა მაგალითად ფორმები: **ჯღგრჯღინი** ჯღავილი, ჯიჯღინი, **ჯღგრჯღინგნცგ** ჯღავის, ჯიჯღინებს და სხვა, დაახლოებით ათასამდე ფორმა, რაც იძებნება თანამედროვე მეგრულში **ჯღგრჯღგ** ძირზე დამყარებით და, საბოლოოდ წარმოეთქვა თანხმოვნური **ჯღგრჯღგ** ფორმა, რომელიც ესოდენ იკონურია ხმაბაძვითი შორისდებულისა **ჯღრრრ ჯღრრრ.**

ასევე, შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ მაგალითად, **კრრრკრრრ** ხმაბაძვითი შორისდებულისაგან მიღებული ფორმა **კგრკგ** (1. იკრკალება; 1. დაკრკალული) მეორეულია, გვიანდელია და უფრო ადრინდელია **კარკალი** – კაკანი, **კერკელი** – გორვა, **კარკაცი** – კისკისი, **კარკანტი** ბრდღვიალი, **კერკენტი** კერკეტი, **კირკინტი** კირკიტი, **კორკონტი** საგველა, კენწერო, **კურკუნტი** კურკური და სხვა, რომელთა საერთო რიცხვი ათეულობით ათასს, პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ კი – ასეულობით ათასს, შეადგენს.

მაშასადამე, **პირველადია თანხმოვნური ბგერებიც და ჷ ბგერაც. ენათმეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრება ჷ ბგერის მეორეულობის შესახებ მცდარია.** მართლაცდა, შეიძლება კი, – ჯერ წარმოითქვას **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვანი ბგერები და შემდეგ მოხდეს მათი რედუქცია ანუ რაოდენობრივი შემცირება ნახევრადხმოვან ჷ ბგერამდე? ეს ისევე შეუძლებელია, როგორც კუტი ნაყოფის მიღება („განვითარება") სრულქმნილი ნაყოფისაგან. ჷ ბგერა ჯერაც სრულად გაუხმოვანებელი ბგერაა, ამ თვალსაზრისითაა იგი ამა თუ იმ ხმოვნის რედუცირებული ფორმა, თუ მაინცდამაინც ამ ცნებას ვიხმართ. ამდენად, არასწორია გამოთქმა, ჷ ბგერა მიიღება **ი**-ს, **უ**-ს, ან **ო**-ს რედუქციის შედეგადო, როგორც ამას საენათმეცნიერო ლიტერატურაში აცხადებენ.

**თანხმოვნური ხმაბაძვითი ფორმების აფიქსაცია-გრამატიზაციის შედეგად მიღებულ ხმოვნურ ფორმებში ხშირად იჩქმალება ხმაბაძვითობა, ქრება წარმოდგენა და ნაცვლად ცოცხალი, მეტყველი ფუძისა, მიიღება უტყვი პირობითი ნიშანი. ამგვარ ფორმებში ხმაბაძვითობა გარეგნულად არ ჩანს.** ასე, მაგალითად, ფორმაში **„დაბრუნდა"** ხმაბაძვითობა არ იკითხება. მაგრამ, თუ მას ძირისეულ თანხმოვნებამდე გავაშიშვლებთ, სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება. **ბრ** თანხმოვანთკომპლექსი მიღებულია **ბრრრ** შორისდებულისგან, რაც მბრუნავი საგნის მიერ გაღებული ბგერების გამომხატველია. აქედანაა ფორმები: **ბრ**-იალი, და-**ბრ**-უნება, და-**ბრ**-უნდა და სხვა. ამგვარი მაგალითების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე მეგრულში ხმაბაძვითი თანხმოვნური ფორმების ერთი ნაწილის თითქმის ხელუხლებლად შემონახვასთან ერთად, თვით გახმოვანებულ და აფიქსირებულ-გრამატიზირებულ ფორმებში უფრო მატადაა შემონახული თავდაპირველი ენობრივი ვითარება, ვიდრე ქართულის შესატყვის ფორმებში. ამის დასტურია, მაგალითად, შემდეგი ფორმები:

| | | |
|---|---|---|
| **ჯღრრრჯღრრრ** | | (შორისდ.) |
| **ჯღ რჯღ** | -ინი | (მეგრ.) |
| **ჯ ჯღ** | -ინი | (ქართ.) |
| **შხრრრშხრრრ** | | (შორისდ.) |
| **შხ რშხ** | -ინი | (მეგრ.) |
| **შ შხ** | -ინი | (ქართ.) |
| **ჭყრრრჭყრრრ** | | (შორისდ.) |
| **ჭყ რჭყ** | -ინი | (მეგრ.) |
| **ჭ ჭყ** | -ინი | (ქართ.) |
| **შრრრშრრრ** | | (შორისდ.) |
| **შ რშ** | -ინი | (მეგრ.) |
| **შ შ** | -ინი | (ქართ.) |

როგორც ვხედავთ, **შესაბამის შორისდებულთან მიმართებაში, მეგრულის ფორმების თანხმოვნური ძირები მეტი სისრულით, მაშასადამე, მეტი მსგავსებით ხასიათდებიან, ვიდრე ქართულის შესატყვისი ფორმების თანხმოვნური ძირები. ამასთან, მეტი სირთულე დამახასიათებელია მეგრულის ძირისეული ფორმებისათვის, ვიდრე ქართულის შესატყვისი ფორმებისათვის. ცხადია, შეუძლებელია, მეგრულს ქართულის მსგავსად ოდესმე გაემარტივებინა ფორმები და შემდგომში კვლავ დაბრუნებოდა რთულ ფორმებს. მაშასადამე, არქაული ენობრივი ვითარება უფრო მეტად შემონახულია მეგრულში, ვიდრე ქართულში.**

მოკლედ რომ ვთქვათ, **მეგრულში სავსებით სახეზეა თავდაპირველი მეტყველების დიდმნიშვნელოვანი კვალიც, ხნულიც, ნათესიც, აღმონაცენიც და ნაყოფიც.**

მეგრულსა და ქართულს, ჩვენ, ავტორები ნაშრომისა, ალბათ თანაბრად ვფლობთ, მაგრამ რომ არა მეგრულის ფლობა და მისი მონაცემების კვლევა-ძიება, ქართულის მონაცემების კვლევა-ძიებით ალბათ ვერასოდეს შევძლებდით ენის წარმოშობის საფუძვლების ასე თვალნათლივ და ასე სრულად დანახვა-წარმოჩენას, რაც სწორედ თანხმოვნური ფორმების შესწავლის შედეგად გახდა შესაძლებელი და რაც თავდაპირველად თანხმოვნური ფორმებით მეტყველების ფაქტსაც ადასტურებს.

თავდაპირველად თანხმოვნური ფორმებით მეტყველებაზე მიუთითებენ შემდეგი ფაქტებიც:

არაბულში სიტყვის ძირებად გვაქვს თანხმოვნები, ხმოვნები კი შიგა და გარე ფლექსიად გაიგებიან. ასე, მაგალითად, ფორმებში: **კატალა** მოკლა, **კუტილა** მოკვდა, **დარაბა** დაკეტა, **დურიბა** დაიკეტა, ძირებია **კტლ, დრბ,** და ა. შ. თანხმოვნური ფორმები დღემდე შემონახულია რიგ სხვა ენებშიც. მაგალითად, **სრცჰ** (მუხა) ჩეხურში, **დკრ** (მგელი) რუსულში. ადრე რუსულში გვქონდა აგრეთვე ფორმები: **ნმგმნ, ცმყმ,** ნაცვლად ფორმებისა: **ნჯგჯნმ** თქარათქური, **ცჯყმ** სიზმარი, ძილი, და სხვა.

როგორც ამას **„ახალგაზრდა გრამატიკოსები"** (ხირდტი, პოკორნი და სხვა) თავის დროზე თვლიდნენ, ინდოევროპული ენებისთვის ძველად დამახასიათებელი იყო **მონოვოკალიზმი, )** ბგერის ანალოგი ბგერისმიერი გახმოვანებით.

ოდესღაც თანხმოვნური ფორმებით მეტყველების სასარგებლოდ წარმოგვიდგება მხოლოდ თანხმოვნებით წერა ფინიკიურში, ძველ ბერძნულსა და სხვა ენებში. კერძოდ, ფინიკიურში გამოიყენებოდა **26** თანხმოვანი. ხმოვნების ნაცვლად კი ნახმარია შებრუნებული მძიმე ', რაც ჷ-ს ფარდად გვესახება.

როგორც იმთავითვე აღინიშნა, ენათმეცნიერებას დღემდე მიაჩნია, რომ ხმაბაძვითი ფორმები ენის ლექსიკის უმნიშვნელო ნაწილია.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მეგრული ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი ხმაბაძვით საფუძველს ემყარება. კერძოდ, დადგინდა, რომ მეგრულის ზმნური ფონდი: ზმნები და სახელზმნები, – ამათ კი ამ ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი განეკუთვნება, – ემყარება სულ რაღაც **2200**-მდე ძირისეულ თანხმოვნურ ფორმას და ამათი დაახლოებით **85** პროცენტი ხმაბაძვით საფუძველზეა მიღებული. მაგრამ იმის გამო, რომ ხმაბაძვითი თანხმოვნური ფორმები ხასიათდებიან აფიქსაცია-გრამატიზაციისა და ფორმათა წარმოების განსაკუთრებული უნარით, ამ ენის ლექსიკის ზმნური ფონდის და თვით მთელი ლექსიკის დაახლოებით **99,2** პროცენტი ხმაბაძვით საფუძველზეა მიღებული.

ენის ლექსიკის სიმდიდრით კი, მეგრული ენა, ენათმეცნიერებისათვის დღემდე წარმოუდგენელი მონაცემებით ხასიათდება.

პირადად ჩვენ, ადრე, ვინმესგან რომ მოგვესმინა, რომ არსებობს რამდენიმე მილიონი სიტყვისგან შემდგარი ენაო, ან კიდევ, მეგრულში გვაქვს ლექსიკის ამგვარი სიმდიდრეო, ასეთის განმცხადებლის გონებრივ სიჯანსაღეს ეჭვის ქვეშ დავაყენებდით, მაგრამ, სინამდვილე სწორედ ასეთი აღმოჩნდა.

მოკლედ იმაზეც, თუ რა განაპირობებს მეგრულის ლექსიკის ამგვარ სიმდიდრეს:

ავიღოთ, მაგალითად, **ბზ** ბგერათკომპლექსი, რომელიც მიღებულია **ბზზზ** შორისდებულისგან. იგი ქართულში გახმოვანებულია **უ** ბგერით და გვაქვს **ბზუილი** და **ბუზი** ფორმები. მეგრულში კი **ბზ** ბგერათერთობა განიცდის შიგაგახმოვანებას ხუთივე ხმოვნით და გვაქვს სხვადასხვა მნიშვნელობის ფორმები: **ბაზი, ბაზალი, ბეზერია, ბიზინი, ბოზორია, ბუზურია,** ამათგან კი, – **97695** სხვა ფორმა (სიტყვა).

ხუთივე ხმოვნით შიგაგახმოვანება მეგრულის ძირისეული თანხმოვნური ფორმებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა, რითაც ძირშივე ხუთმაგდება ფორმათა რიცხვი.

ხუთივე ხმოვანი გამოყენებულია მეგრულის ზმნების პრეფიქსებადაც. მაგალითად: **ა-ნ̂უნგ** – წაჰყვა, **ე-ნ̂უნგ** – აიყვანა, **ი-ნ̂უნგ** – წაიყვანა, **ო-ნ̂უნუუ** – თან გააყოლა, **უ-ნ̂უნგ** – წაუყვანა.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მეგრულში გვაქვს **76** პირველადი სუფიქსი, უფრო ზუსტად, პირველადი საწყისეული სუფიქსი, და **120** მეორეული (ზოგადად) წარმოების სუფიქსი.

ქართულში გვაქვს **15** ზმნისწინი, მეგრულში კი **86** ზმნისწინი, და რაც მთავარია, ამ ზმნისწინებს თითქმის სრულად ირთავს ძირისეულ ფორმათა აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი.

ქართულში ხშირია სტატიკური, უზმნისწინო, უაფიქსებო ან თითქმის უაფიქსებო ზმნები, მეგრულში კი ასეთები იშვიათია. ასე, მაგალითად, სტატიკურია ქართულის ზმნები: **არის** და **ზის**. ამიტომ, გვაქვს ასეთი ფორმები: წყალში **ზის**, სკამზე **ზის**, კერიასთან **ზის**, გამოქვაბულში **ზის** და ა. შ. მეგრულში კი გვაქვს ფორმები: **ხე** ზის, მაგრამ: **გე-ხე** ზედ ზის, **ინო-ხე** შიგ სიღრმივ ქვედაბლით, {მაგ., ჭაში}, ზის. **მითო-ხე** შიგ სიღრუეში, მაგ., გამოქვაბულში, ზის და ა. შ., ვიდრე **85**-ვე ზმნისწინის გამოყენებამდე. ანალოგიურად გვაქვს: **რე** არის, მაგრამ: **გე-რე** ზედ დგას, **მითო-რე** შიგ მიღმივ, სიღრუეში დგას ან არის, **კგნო-რე** კუთხეში დგას ან არის და ა. შ.

ეს იმას ნიშნავს, რომ მეგრულში ზმნა გვიჩვენებს არა მხოლოდ საგნის მოქმედებას და მის მიმართულებას, არამედ მოქმედების ადგილსაც, თანაც მისი აღწერით.

ამასთან, მსგავსად ქართულისა, მეგრულშიც გვაქვს ფორმა **მეურცუ** – მიდის, მაგრამ ამავე დროს გვაქვს ასეთი ფორმებიც: **მიო-გვნჯღანც)** „გვინჯღალი" ანუ დაბალი და ჩაფსკვნილი მიდის საკუთარი იერსახით. **გვანჯღალანცგ** „გვინჯღალი" უნიათოდ ლაპარაკობს, **ო-გვინჯღინანცგ** „გვინჯღალი" არის ან გამომზირალობს მისმიერი იერსახით და ა. შ. ასევე გვაქვს ფორმები: **მიო-სარღანცგ** „სირღალი" ანუ აწოწილი მიდის. **მიო-ლაგვანცგ** „ლიგვალი" ანუ დონდლო ერთგვარი მიდის უნიათოდ, და ა. შ.

ამგვარი აღწერილობითი ფორმებითაა აღსავსე მეგრულის ლექსიკა, და კერძოდ, ზმნური ფონდი, რაც ზღვასავით ამოურწყავია.

თუ კი ენათმეცნიერებაში მოცემული შეფასების მიხედვით ენა წარმოადგენს სამყაროს თავისებურ მოდელს, მეგრულის მონაცემებიდან გამომდინარე ამ ენის შესახებ თამამად შეიძლება ასე ითქვას: **მეგრული ენა წარმოადგენს უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს.**

მეგრული ენის ლექსიკა, კერძოდ, ზმნური ფონდი ხასიათდება განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, გასაოცარი სიმდიდრით.

ჩვენი ადრინდელი მასალებითა და გაანგარიშებით მეგრულის ლექსიკა დაითვლიდა 10 მილიონამდე სიტყვას. მაგრამ იმხანად მოძიებულ სალექსიკონო მასალაში შეტანილი არ იყო თურმეობითის, პოტენციალისის, წარსულის უსრულისა და ზოგი სხვა ფორმები. შვიდტომეულში წარმოდგენილ ზმნურ ფუძეთა ლექსიკონში ესენიც შეტანილ იქნენ, რამაც ვითარება ერთობ შეცვალა.

მეგრული ენის ზმნური ფონდის (ისევე როგორც მეტყველების სხვა ნაწილების) სალექსიკონო მასალის მოძიება ჩვენ ვაწარმოეთ გარკვეული ხერხით: – ანბანთრიგის გამოყენებით, რამაც მოგვცა მთელი ლექსიკური ფონდის სრულად მოხმობის შესაძლებლობა.

ასეთ პირობებში აღმოჩნდა, რომ მეგრულ ენის ლექსიკა, და კერძოდ, ზმნური ფონდი, ლექსიკური ერთეულის თვალსაზრისით არასადავო და არასაეჭვო ფორმებთან ერთად, მრავლად მოიცავს პარალელურ, იშვიათად ხმარებად და პოტენციურად შესაძლებელ ანუ სალექსიკონო ერთეულის თვალსაზრისით საეჭვო და სადავო ფორმებსაც.

ასე, მაგალითად, გვაქვს ფორმა **ბიზალი** (მსხვილი და გაბერილი ერთგვარი) და გვაქვს ფორმებიც: **ბეზერია** (მოგრძო „ბიზალი"), **ბოზორია** (მოფართო-მომრგვალო „ბიზალი"), **ბუზურია||ბუზურუა** (მრგვალი, ჩამრგვალებული „ბიზალი"), **მი-ბაზალ)** („ბიზალი" მიდის ტანრხევითად"), **მი-ბეზერ)** („ბეზერია" მიდის ცალგვერდულად) და ათასობით სხვა ფორმა.

ამრიგად, ერთი შეხედვით **„ბეზერია"**-ც, **„ბოზორია"**-ც და **„ბუზურია"**-ც (**||„ბუზურუა"**-ც) **„ბიზალია"**, მაგრამ სხვადასხვა ფორმისა.

გამოყენების თვალსაზრისით, **„ბიზალი"**, ჩვეულებრივ, ხშირად გამოყენებადია, **„ბეზერია"** – ნაკლებად გამოიყენება", ხოლო **„ბოზორია", „ბუზურია", „ბუზურუა"** იშვიათად გამოყენებადი ფორმებია.

მაგრამ ეს არ არის საბუთი იმისათვის, რომ რომელიმე მათგანი არ შევიტანოთ სალექსიკონო მასალასა თუ ლექსიკონში. ასეთ შემთხვევაში ენის ლექსიკას ხელოვნურად გავაღარიბებდით. არადა, ყოველთვის იოლი როდია, ფორმათა გარკვეული რიგის ჩათვლა ე. წ. **„პოტენციურად შესაძლებელ ფორმებად".** ეს იმიტომ, რომ ამგვარი ფორმები, ხშირად, მხოლოდ სხვა ფორმათა ანალოგიის მიხედვით როდი წარმოსდგებიან პოტენციურად შესაძლებელ ფორმებად. ისინი ობიექტურად არსებული რეალობების აღმნიშვნელი ფორმები უფროა, ვიდრე, ასე ვთქვათ, **„წმინდა წყლის"** პოტენიურად შესაძლებელი ფორმები, როგორი გაგებითაც ეს ცნება ნახმარია საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

ამ გარემოებამ გადაგვაწყვეტინა, მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონში, რომელიც ამავდროულად სალექსიკონო მასალად წარმოგვიდგენია, შეგვეტანა პოტენციურად შესაძლებელი ან ამ თვალსაზრისით ჯერაც დაუდგენელი ფორმებიც. ეს ასეც გავაკეთეთ და ვთხოვეთ მკითხველს, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, რათა გათვალისწინებულ იქნან ისინი, მომავალში მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის შედარებით სრულყოფილი სახით შედგენისას. ამით, ვფიქრობთ, შესაძლებელი იქნება სალექსიკონო ერთეულების დიდძალი ნაწილის გადარჩენა მოსალოდნელი ნებსით თუ უნებლიედ დაკარგვისაგან.

ცხადია, არაფერია ცუდი იმაშიც, რომ სალექსიკონო მასალაში ლექსიკის ბირთვთან, ძირითად თუ არაძირითად სიტყვებთან ერთად პოტენციურად შესაძლებელი ფორმებიცაა მოხმობილი. პირიქით, ეს უდავოდ მნიშვნელოვანია, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ პოტენციურად შესაძლებელ ფორმათა ლექსიკონის თუ სალექსიკონო მასალის შედგენა, ამ შემთხვევაში, პირველია ლექსიკოლოგრაფიის ისტორიაში.

**მამანტი ძაძამია – პროფესორი, აკადემიკოსი.**

**ცირა ძაძამია – პროფესორი აკადემიკოსი.**



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

აღნიშნული დადგენილება ავალებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, რომ ორი კვირის ვადაში მოემზადებინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტი, რომლის ამოსავალი პუნქტი უნდა გაჟღერებულიყო ამგვარად:

**"...საერთო-სახალხო დღესასწაულის დღეებში აიკრძალოს სადემონსტრაციო კოლონების და წარმოება-დაწესებულებათა გაფორმება პორტრეტებით... ასევე აიკრძალოს მთავრობის ტრიბუნიდან სხვადასხვა მოწოდებების გახმოვანება, მიმართული დემონსტრატებისადმი".**

ბერიას ეს ნაბიჯიც იმაზე მეტყველებს, რომ მას სრულიადაც არ სურდა დამატებითი პოპულარობის მოპოვება საკუთარი პერსონისადმი! რაც შეეხება ტრიბუნიდან ხალხისადმი ჰეროიკულ მიმართვების აკრძალვას, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა დემონსტრატთა ერთხმად ამოხეთქილი **"ვაშა"** და მავზოლეუმის ტრიბუნაზე მდგომთა მიერ საკუთარ დამსახურებებზე ყბედობის აღკვეთას, ეს აკრძალვები აშკარად დადებითად იმუშავებდნენ ხელისუფალთა ავტორიტეტის ამაღლებაზე.

მაგრამ – მთლიანად ხელისუფლების, და არა, კონკრეტულად ერთი პიროვნების!

ვის შეიძლებოდა სცოდნოდა მილიონობით საბჭოთა მშრომელისაგან, რომ ამ ინიციატივის ავტორი ლავრენტი ბერია გახლდათ? ასე რომ, ლავრენტი პავლეს ძე ამ საკითხსაც სახელმწიფოებრივად უდგებოდა. მაგრამ მალე მას ამ წინადადებასაც ბრალდებად წაუყენებენ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამას გააკეთებს ქვეყნის იმჟამინდელი ხელისუფლებიდან ყველაზე უფერული ფიგურა – ანდრეევი, ამასთან, ეს ბრალდება მიიღებს სულელურად ნათქვამი ანეკდოტის სახეს – ჩვენ ამას კიდევ ვნახავთ!

ლავრენტი პავლეს ძეს ბრალდებად წაუყენებენ სხვა გენიალურ აზრსაც! გავასწრებ რა მოვლენებს, საამისოდ გამოვიყენებ ბერიას ძველი მეგობრისა და კოლეგის მირჯაფარ ახუნდოვის მიერ 1953 წლის **"ანტიბერიასეულ"** პლენუმზე გამოსვლის ჩაუსწორებელ სტენოგრამას. მაშინ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბაგიროვმაც უღალატა ბერიას, უწოდა რა მას ქამელეონი, პარტიისა და ხალხის მტერი, ორპირი და ფარისეველი (ამან მირჯაფარ ბაგიროვს ვერ უშველა და მხოლოდ სამი წელი იცოცხლა ბერიას განადგურების შემდეგ: იგი დააპატიმრეს 1954 წელს და დახვრიტეს 1956 წლის მაისში). 1953 წლის 3 ივლისს კი ბაგიროვი ამბობდა:

**"ბაგიროვი... მირეკავს ერთხელ ბერია და მეუბნება: შენ იცი, რომ მე ვამზადებ კანონს ორდენების თაობაზე? როგორ თუ ამზადებ: ვეკითხები მე. იგი სკამზე გასწორდა და მპასუხობს: ჩვენ გვსურს, რომ დავადგინოთ ახალი სახის ორდენები. მე ვფიქრობ, რომ ორდენის საკითხი არ არის მარტივი საქმე.... ეს შედის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის კომპეტენციაში (თითქოს ბერია არ იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ცეკას პრეზიდიუმის წევრი – ს.კ.), ეს პოლიტიკური საკითხია, როგორ შეიძლება, რომ მან მოამზადოს ეს საკითხი?**

**პეგოვი. მით უმეტეს, ეს არ იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმე..."**

აქ მე ციტირებას შევწყვეტ, რათა შევნიშნო: ნახეთ როგორ აშკარად გამოსჭვივის პირწავარდნილი **"აპარატჩიკის"** პეგოვის ამ რეპლიკაში მთელი მისი უფერული ცხოვრება, კანცელარიის ამ ნამდვილი ვირთხის დამოკიდებულება სახელმწიფოს მიერ მინდობილი საქმისადმი, რომელიც შემდეგ კალკირებული იყო მომდევნო **"რუხი კარდინალის"** სუსლოვის მიერ ისტორიულ **"მონაპოვრად"** ქცეულ ფრაზაში: **"ჩვენთვის ეს არავის დაუვალებია..."**

ბაგიროვის ამ გამოსვლიდან ნათლად ჩანს რომ საბჭოთა კავშირში იკვეთებოდა სრულიად ახალი ფენომენი – **"ზელადებისაგან"** ყოველგვარი პირადი პასუხისმგებლობის მოხსნა, რომელიც მომავალში ჩაირაზებოდა ერთ სიტყვაში **"ჩვენ"**. აქ მახსენდება ბერიას მიმართვა კალმიკოვისა და რასპლეტინისადმი: **"კალამი ვის ეკავა ხელში?"**, როცა მათ განაცხადეს: **"ჩვენ დავწერეთ..."** მახსენდება ცნობილი ფრაზა შესანიშნავი საბჭოთა კომიკოსის არკადი რაიკინის სკეტჩიდან: **"ვინ შეკერა კოსტუმი?"**, რომელსაც ასევე უპასუხეს: **"ჩვენ შევკერეთ"**. სამწუხაროდ საბჭოთა ცხოვრებაში სწორედ ეს რეალია იკიდებდა ფეხს!

ბაგიროვი კი თავისას **"უბერავდა"**:

**"ბაგიროვი – და საერთოდ არ ხდებოდა, რომ თუნდაც უმნიშვნელო საკითხზე არ დაერეკათ ცენტრალური კომიტეტის, ან მინისტრთა საბჭოს აპარატიდან... ამ დროს ამბობდნენ, რომ რეკავდნენ ცეკას დავალებით, ბერია კი დღედაღამ მხოლოდ "მე"-ს გაიძახდა**

**მალენკოვი – რომელ ორდენებზეა საუბარი?**

**ბაგიროვი – კულტურის ორდენებზე, საკავშირო და რესპუბლიკური კულტურის ორდენი.**

**მალენკოვი – რომელი კატეგორიის ხალხისათვის?**

**ბაგიროვი – ხელოვნების დარგის მუშაკებისათვის, თეატრალებისათვის.**

**მალენკოვი – მაგალითად, როგორი ორდენები და რისთვის?**

**ბაგიროვი – თქვენ მას ჰკითხეთ...**

**მალენკოვი – ორდენი ვიღაცის სახელს უნდა ატარებდეს**

**იუსუპოვი –** (უზბეკეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე) **ბერიას დავალებით მე დამირეკა მისმა თანაშემწემ ორდინცევმა და მაცნობა, რომ ბერიას განზრახული აქვს ორი ტიპის ორდენის შემოღება: პირველი – საკავშირო, და, მეორე – რესპუბლიკური; შემდეგ კი განზრახული ჰქონდა შემოეღო ეროვნული რესპუბლიკების დიდი ადამიანების სახელობის ორდენები** (აზერბაიჯანისათვის – ნიზამის ორდენი, უზბეკებისათვის – ალიშერ ნავოის ორდენი და სხვა – ს.კ.)**..."**

მაგრამ ეს ხომ შესანიშნავი საქმეა! სწორედ ეს გახლავთ ჭკვიანური ეროვნული პოლიტიკა! აი, თუნდაც ასეთი მაგალითი... მოსკოვიდან უკრაინაში სამუშაოდ მივლინებულმა ეროვნებით უკრაინელმა პავლე მეშჩიკმა უკრაინის კომპარტიის ცეკას პლენუმზე სიტყვით გამოსვლისას, როგორც იტყვიან, შოკში ჩააგდო დამსწრე საზოგადოება, როცა უკრაინულ ენაზე განაცხადა, რომ სასურველია ეს ენა შეისწავლონ უკრაინაში დასაქმებულმა ჩამოსულებმა, ცეკას პირველი მდივნის მელნიკოვის ჩათვლით. მაშინ მას მხარი დაუჭირა მხოლოდ დრამატურგმა ალექსანდრე კორნეიჩუკმა. მაგრამ მეშჩიკი ხომ მართალი გახლდათ! და იგი ასე იმიტომ მოიქცა, რომ ბერიას სკოლა გაიარა, ესე იგი, იქცა იმ ადამიანად, რომელიც ირჩევდა ოპტიმალურ გზებს სახელმწიფო დავალებათა შესასრულებლად.

მაშინ მეშჩიკმა ამაყად მოუთხრო ამის თაობაზე სუდოპლატოვს, რომელმაც მეშჩიკს უპასუხა, რომ იგი ბრიყვია, თუ **"კონფლიქტში შედის ადგილობრივ ხელისუფლებასთან"** (თითქოს თავად მეშჩიკი არ იყო ადგილობრივი ხელისუფალი!).

სუდოპლატოვის ამგვარ პასუხში თავისთავად მოქცეულია განსხვავება მასა და მეშჩიკს, როგორც სოციალურ ფიგურებს შორის. მეშჩიკი **"ბერიას სამჭედლოში"** გამოწრთობილი კადრი იყო, იგიც დააპატიმრეს ბერიას ლიკვიდაციის შემდეგ და დახვრიტეს ერთი **"საქმის"** გამო. დახვრიტეს კი იმიტომ, რომ ორივენი კონფლიქტში შედიოდნენ **"ადგილობრივ"** ხელისუფლებასთან – მეშჩიკი – კიევში, ბერია კი – მოსკოვში. რა თქმა უნდა, უმჯობესი იყო ეს ადამიანები კრემატორიუმში ჩაეფერფლათ, ვიდრე რეაგირება მოეხდინათ მათ წინადადებებზე, ანგარიში გაეწიათ მათი კრიტიკისათვის, თავაუღებლად ემუშავათ, ემუშავათ, ემუშავათ...

ლვოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა სერდიუკმა (ეს **"ამხანაგიც"** გამოიჩენს თავს ივლისის პლენუმზე სიტყვით გამოსვლით) თვალი დაადგა, საგარაკედ, ქალაქის ახლო გარეუბანში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე მყოფ საბავშვო ბაღს, მეშჩიკმა კი მას წინააღმდეგობა გაუწია და საბავშვო ბაღს დაცვა მიუჩინა. კიევის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შელესტმა (მოგვიანებით უკრაინის **"ბატონ-პატრონმა"**) სანადიროდ წაიყვანა სახანძრო დაცვის სამსახურის კატერი და უკან აღარ დააბრუნა, მეშჩიკმა კი ამის თაობაზე მოახსენა და სათანადო რეაგირება მოსთხოვა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს და უკრაინის მინისტრთა საბჭოს.

ადამიანებისათვის ეს წესიერებასა და პრინციპულობას ნიშნავს, პარტოკრატებისათვის კი ესაა სისულელე და ინტრიგანობა. მაგრამ მეშჩიკი და ბერია ადამიანები იყვნენ და არა პარტოკრატები. ამიტომ, არ ესმოდათ, თუ რატომ ავლენდნენ სხვები მტაცებლურ ბუნებას... ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ **"ანტიბერიასეული"** პლენუმის გახსნის დღეს – 1953 წლის 2 ივლისს, სსრკ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა პომაზნიოვმა მალენკოვსა და ხრუშჩოვს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი-დასმენა ბერიაზე (ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა პომაზნიოვს, რომ თავი გამოეჩინა ბერიასათვის მოწყობილ ამ **"აუტო და ფე"**-ში).

კადრის აპარატის ვირთხა პომაზნიოვი ბერიას ბრალს სდებდა **"მნიშვნელოვანი"** საქმის საბოტაჟში, კერძოდ, იმაში, რომ მას სურდა გაეუქმებინა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირის მუშაკებისათვის დაწესებული შეღავათები, რომლითაც ასევე სარგებლობდნენ სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების მუშაკებიც, თუ ისინი წარმოებიდან გადაჰყავდათ სამუშაოდ პარტიულ ან სამეურნეო სახელისუფლებო აპარატში. *ეს საკითხი რამდენიმეჯერ მომზადდა განსახილველად, მაგრამ მუდამ ვარდებოდა ბერიას კაპრიზების გამო,* – წერდა პომაზნიოვი.

ბერია აქაც სადად და ჯანსაღად აზროვნებდა: შეღავათები დაკავშირებული იყო გარკვეულ სამუშაოებთან... მაგალითად, მაღაროში მომუშავე უბნის უფროსი **"მიწისქვეშა სამუშაოებზე დანამატს"** იღებდა იმიტომ, რომ მავნე პირობებში უწევდა საქმიანობა, მაგრამ თუ მას საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად გადაიყვანდნენ, იგი უკვე აღარ მუშაობდა მიწის სიღრმეში. მაშ, რატომ უნდა ეხადათ მისთვის ახლა ეს დანამატი? არ არის სამუშაო – არ არის შეღავათი. ამასთან, როგორ შეიძლება მანეთს გამოდევნებული ადამიანი გახდეს იდეისათვის მებრძოლი პროფესიონალი? მით უმეტეს, რომ პარტიულ სამუშაოზე გადასვლისას, მისი ეკონომიკური მდგომარეობა აშკარად არ უარესდებოდა...

მაგრამ **"ელიტა"** სულ უფრო და უფრო ესწრაფვოდა უზრუნველ და მაძღარ ცხოვრებას, ახალ-ახალ შეღავათებს... მოსკოვში, კოტელნიკოვის სანაპიროზე აშენებულ ასოც-ბინიან სახლზე შემოტანილი იყო ათსხუთასი მთხოვნელის განცხადება!

ბერიამ მაშინ უბრძანა პომაზნიოვს, რომ თითოეულ განხადებაზე მოემზადებინა სათანადო ცნობა და წარედგინა მისთვის. *რა თქმა უნდა, ძუნწი ინტრიგანის საქციელია!*

მიმდინარეობდა უსტალინო ერის პირველი თვეები.

აპრილი...

მაისი...

ბერიას **"კოლეგების"** გაღიზიანება ამ პიროვნების მიმართ თანდათან მძაფრდებოდა.

ხრუშჩოვი იმით იყო გაღიზიანებული, რომ ბერია იმ უპირატესობას არ აძლევდა ცეკას აპარატს, რასაც **"იგი იმსახურებდა"**.

მოლოტოვს პატივმოყვარეობას ულახავდა ბერიას აქტიური ჩარევა ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ საქმეებში, რომელიც საკუთარ ეპარქიად მიაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში იგი არასოდეს არ ყოფილა დამოუკიდებელი ფიგურა.

მალენკოვი წონასწორობიდან გამოჰყავდა იმას, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბერია ბევრად უფრო ნათელი და ავტორიტეტული ფიგურა იყო, ვიდრე თავმჯდომარე – მალენკოვი.

ბულგანინს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს და მიქოიანსაც გააჩნდათ საკუთარი პრეტენზიები, რა თქმა უნდა, არა საქმესთან დაკავშირებული (როგორ შეიძლება უსაქმურს რაიმე პრეტენზია გაუჩნდეს საქმესთან დაკავშირებით!), მაგრამ პრეტენზიები მაინც ჰქონდათ...

1953 წლის 26 ივნისს ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ ხელი მოაწერა თავის უკანასკნელ სამთავრობო დოკუმენტს – სსრკ მინისტრთა საბჭოს №8532-РС დადგენილებას **"სუ-13"** №813 კომბინატის მშენებლობის საპროექტო დავალების შესახებ.

**"სუ-3"** გახლდათ **"2-პროცენტიანი"** კალის წარმოების ქარხანა, უფრო ნათლად თუ ვიტყვით, ურანის პირველადი დამუშავების საწარმო. და ისიც ნიშანდობლივია, რომ ლავრენტი ბერიას მიერ ხელმოწერილი უკანასკნელი დადგენილებაც მშენებლობასთან იყო დაკავშირებული. მას ხომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მშენებლობა ეწადა. და აშენებდა კიდეც – 1953 წლის 26 ივნისამდე.

სწორედ ამ დღეს დააპატიმრეს ბერია. და ზოგი მაშინვე, ზოგი კი მოგვიანებით – დააპატიმრეს მასთან საქმით დაახლოებული შსს-ს გენერლები ბოგდან ქობულოვი, სერგო გოგლიძე, პავლე მეშჩიკი, ვლადიმერ დეკანოზოვი, ლევ ვლოძიმირსკი და ვსევოლოდ მერკულოვი.

ბერიასათვის ეს იყო ცხოვრების უკანასკნელი, სამწუხაროდ, არასასახელოდ დამაგვირგვინებელი ეტაპი, ქვეყნისათვის კი გახლდათ მომდევნო პერიოდი.

რომელიც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, საკმაოდ უფერული და არასასახელო გახლდათ!

## დაპატიმრება...

დღეს უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ ბერიას დაპატიმრების ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ პირადად ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი. სხვა საკითხია, როდის გადაწყვიტა და როგორ გაუმხილა ამის თაობაზე პრეზიდიუმში საკუთარ კოლეგებს. და საერთოდ, გადაწყვიტა კი, თუ მხედველობაში მივიღებთ ცეკას პრეზიდიუმის უმრავლესობას.

მაგრამ, წვრილმანების გარკვეული წყება გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ ბერიას დაპატიმრება ვიღაცის მიერ დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა და იგი სრულიადაც არ გახლდათ სპონტანურად წარმოქმნილი მოვლენა! და, ამ შემთხვევაში, სრულიად უაზროა ბერიას მიერ რაღაც **"შეთქმულების"** მომზადების მტკიცება, რადგან ამგვარი რამ არც ლავრენტი ბერიას მოსვლია თავში არასოდეს და არც მის თანამოაზრეებს.

ამ წიგნში მე არ გამაჩნია დიდი ადგილის დათმობის საშუალება იმაზე, თუ რა როლი ითამაშა ამ საქმეში დასავლეთის ოქროს ელიტამ და, უბრალოდ, გამოვთქვამ ინტეგრალურ დასკვნას: როგორც მინიმუმი, 1952 წლის მეორე ნახევრიდან ხრუშჩოვის გარემოცვაში უკვე მოქმედებდნენ დასავლური გავლენის პირველადი აგენტები. ისინი მოხერხებულად აწვდიდნენ მოსახლეობას ხრუშჩოვის მიერ გადმონთხეულ გესლს, თამაშობდნენ მის ამბიციაზე, შიშის ფაქტორზე, თავმოყვარეობის შელახვისადმი პათოლოგიურ კრთომაზე. სწორედ მათი დიდი დამსახურება იყო ის, რომ ნიკიტა ხრუშჩოვმა შეთქმულება მოაწყო ჯერ იოსებ სტალინის, შემდეგ კი ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ!

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# ლექსები ლექსები ლექსები

კოტე ნაჭყებია

## ვაი, შური

ვაი, შური! ჩვენი ბედი
უფლის ცრემლით ნაწერია,
ყოფნის ნებას რომ მოგვცემდნენ
ეს ქვეყანა რა ვრცელია!

როდი მძინავს, თვალთ სინათლეც
ჯერჯერობით არ მაკლია,
მეც რომ ლაღად დავიმღერო
რა, ნაკლია?!

ნანა, ეს ვის ვეფერები,
ეკალია თუ ვარდია?
შური, ტრფობის წმინდა ფიფქებს
ხოშკაკალად უბარდნია.

ა, ამ უწამწამო წამებს
ცრემლად რატომ ვეკიდები?
ბრალს სიყვარულშიღა მდებენ,
მაშ, რატომ მკლავ, გეკითხები!

უწუთისოფლო არა ვარ,
ბევრი ჯაგი მითელია,
ერთბაშად რომ გაელინდა,–
სულ კოლხური მითებია.

ჩემი სისხლიც სისხლად ვარგა,
გონებითაც არ მაკლია,
ზღვა მქონდა და ამიტყომაც
წყევლად მექცა ანაკლია.

ვაი, შური, ა, ეს ლექსიც
უფლის ნებით ნაწერია,
ყოფნის ნებას რომ მოგცემდნენ,
ეს ქვეყანა რა ვრცელია!

***

ახლა მე ყველა რითმას გამოვრთავ,
მერე მიდი და იპროზაულე,
„კალაშნიკოვი“ გადაგვიბერდა,
და არც არავინ ისვრის „მაუზერს“.

მდარე თვალები შავი ნისლია,
რომ ეფინება ღამეს სამიზნედ.
ხომ გირჩევნია ნაღდი ნისიას,
თუ ნაღდობამდე სული ვერ გიძლებს?

რწმენადაკარგული მლოცველივით,
ესაუბრები კედელს უხატოს.
სათიბში გადამტვრეულ ცელივით,
ვის გინდა ვალი გადაუხადო?

***

სოფლის ბილიკს კვლავ ნელა მივყვები,
ცივ მზეს კორტნიან ღრუბლის მხეცები,
მსხლის კენწეროზე სხედან ნიყვები
გაფითრებული თვალის ცეცებით.

ო, ისევ ისე ვარ არეული,
რომ გულის სითბო კვნესად ჩამესმის.
შხამივით ბოლავს ვარამეული
გადაგიჟებულ მე და ღამეში.

***

თვალების ფსკერზე უცხო ზღვა ღელავს,
მიათინათებს ხედვას სილურჯით,
ტკივილის ნება უმატებს კივილს,
რომელიც თითქოს გადავიყუჩე.

აბორგებული ზღვა შარიშურობს,
მუხლებზე ვდგვარ, როგორც მლოცველი,
ახლა ამ შიშის მერანთან მივალ
და სიშმაგიდან ჩემს ფერს მოვწველი.

***

უკვე შინა ვარ, ვეღარ გამოვალ,
ბოლო სანთელიც ქრება შანდალში,
გამთენიისას მოსაღამოვდა,
მკერდიდან მკერდის ამოშანთვაში.

ახლა ისე ვერ ვიწილბიწილობ,
ალვაში ალვა ჩაქრა კენარი.
დილამაც დღისკენ გადაიწია
და დამეხვია ჟამი მკბენარი.

ისევ ჩიტების მესმის ჟივჟივი,
გასხვაფერებულ ნაცნობ ხედიდან,
ამ სანახებში დავალ გიჟივით,–
ვჟონავ ბავშვობის გამოხედვიდან.

***

ვახტანგ» ცვილირი, ილ» ა ცვილირი,
მერაბ» ცვილირი, ზვიად» ცვილირი,
ალბეთ ქ» ანას ქ» ანა ვეგერე,
თენერ» ზღვა მართუს მითოკირილი.
პ„უნდეს დავითი, პჺუნდეს თამარი,
პ„უნდეს ცოტნე დო თევდორე ბერი,
ჩქინ» ქ» ანას, შხვა ჭარა მარე,
ნამთინს, ვაშიბუნ» , ალბეთ, ეფერი.

ჩქიმი ღორონთი, მართალ» ღორონთი,
ნაწამებ¿ ქირსე, ნ, ტე, სო რექ, .
სო რე მანჯღვერო წუწელი ნოთე,
ილორიშ» ზორი, ნ, ტე, სო რეკ, !

მოკო სინთელე დო დიდ» ხონარი,
დაჩხ, რ» -გენიას გევუნტუათ, ,
წ, მ» გემიძ, ნა ვე ოხარალი,
საქვარ» სქუას, ვეგუტუათ, .

მიჩქ თინეფით, ქათაბირძღუნა,
ქეუკუნანა ქვერსემ» ოღალს, ,
ჩქინ» ოჭმარეშა ბრელი მირკ, ნა,
ვათვოშურდათ, შხვაში უმოღეს, .

ღორონქ დაფარას ხოლო ცვილირი
აწომძ, დანი დუდ» განგარალო,
ხეშე გაგწიფშქვათ შურ» დოკირილი,
დიხათ» ღმიუდანი გიობარალო.

***

ეს მანძილები — მანძილებია,–
უკუღმართული გზის აღმართები,
წამითაც კი არ ჩასზინებიათ,–
ისევ ცოცხლობენ ჩემი ღმერთები.

თუთა, თახა და... ჯუმა და ცა და
ობი, აგუნა, ოდი და ბჟა და...
კოლხის გულივით რთულიც და სადაც,
მკვიდრად დაბრძანდა, როცა დაბრძანდა.

ისევე კვნესის ჩონგურის სიმზე
მოტყუებული მედეას ელდა,
ანაკლიის ზღვაც ისევე მიმზერს,
ვით შვილწართმეულ დედათა სევდა.

აეტის რისხვა გაკვესავს როცა,
ბოღმის მდუღარე ვეღარ ნათელობს,
კოლხური სიტყვა სამყაროს ლოცავს:
გოლუაფირო; სქანი სანთელო!

თუმცა განსჯის ზღვა სათქმელს ადედებს,
ეს ეჭვის დელგმა ვისი, სხვისია?!
მჯერა, ცხელ ღამეს არ გავათენებთ,
კვლავ უმიზეზოდ არ გაისვრიან.
ერთობის ბურჯად დგას ხელაია,–
ხორცდაკეპილი ბერი,– უკვდავი.
იმ ძალისხმევის ნახელავია,
ქართველობა რომ არ ვახურდავეთ.

ცერად ნუ უმზერთ ჩემს სამეგრელოს,
ქართული სულის ჭაა უშრობი.
არ გამრუდებულ იმ გზით კვლავ ევლოს,
მამულს რომ უფლის დარი უშობოს.

ეს მანძილები — მანზილებია,
უკუღმართული გზის აღმართები,
წამითაც კი არ ჩასზინებიათ,–
ისევ ცოცხლობენ ჩვენი ღმერთები.

## ჩელა

რომ დაბერდი, ტკბილო ჩელავ,
ეს გეყოფა განაჩენად.
ჯანიც, ღონეც დაგლევია,–
მიანიშნებს არდარჩენას.

დღემდე შენი მახვეწარი
გაგწყრომია გუთნის დედა.
მტარვალ დანას რომ ლესავენ,
ვინმემ დაკვლა გაგიბედა?

ვაი, ვიღა გაგიხსენებს,–
გითრევია რაც უღელი.
უშველებელ საქმეთა მქნელს
სიკეთე ხომ არ უმღერის.

შენს თავს ძღვენად მიართმევენ
მჭევრ თამადებს,– საზრიანებს.
ყოფნის ნება დაკარგულო,
განა ვინმე გაზიარებს?!



# ალი-ბეი გურჯი – ორი ზღვის ყაენი

საქართველო ოდითგან უბადლო მეომართა ქვეყანა იყო. სიყრმიდანვე საბრძოლო ხელოვნებაში გაწაფულნი მამაცობითა და თავგანწირვით აოცებდნენ მტერსაც და მოყვარესაც. სადაც უნდა გადაესროლა ბედს ქართველი მოლაშქრე, ყველგან გამორჩეული იყო ვაჟკაცობით, თავგანწირვით, ომახით, სრულყოფილებამდე დახვეწილი საბრძოლო ხელოვნებითა და მხედართმთავრული ნიჭით. არა მარტო საკუთარ სამშობლოს ეხმარებოდნენ ქართველი მამლუქები, არამედ უცხო ქვეყნების ისტორიასაც წერდნენ საკუთარი სისხლითა და სიცოცხლით. თითქმის არ დარჩენილა სახელმწიფო დედამიწის ზურგზე, რომლის ძლიერებისთვის ქართველებს არ მოექნიოთ მახვილი. რომ არა ბედის უკუღმართობა, მათი ნიჭი და შემართება ჩვენს მამულს უნდა გამოსდგომოდა, მაგრამ, ვაგლახ, რომ ყოველთვის ასე არ იყო...

ლეგენდარული ეგვიპტე ძველი წელთაღრიცხვის მე-5 ათასწლეულში დაწყებული ცივილიზაციით ფარაონებისა და დღემდე მოღწეული ხუროთმოძღვრული სასწაულების – პირამიდების სავანე. სწორედ ამ ქვეყანას საუკუნე-ნახევარი ერთპიროვნულად მართავდნენ ქართველი მამლუქები, სამშობლოს ბავშვობიდანვე უსულგულოდ მოწყვეტილნი, ავაზაკთა მიერ გატაცებული და მონებად გაყიდულნი, მაგრამ სიმამაცისა და რაინდობის წყალობით სულთნად აღზევებულნი. სწორედ ქართველთა ვაჟკაცობამ დაუდო საფუძველი ეგვიპტელთა გამოხსნას თურქ-ოსმალთა მრავალწლიანი ბატონობის უღლისაგან

1763 წელს კაიროში, სასახლის მთავარ მოედანზე შეკრებილ ხალხს საზეიმოდ აუწყეს: ეგვიპტის მმართველი და სულთანი ამიერიდან შეიხი ალი-ბეი არისო. შიშნაკრავი აღტაცებით შეეგება კაირო ახალი სულთნის გამოჩენას. თუმცა, მალე მიხვდებიან ეგვიპტელები, რომ ალი-ბეის მოსვლით იწყება ოქროს ხანა ნილოსის ქვეყანაში. მაგრამ ბევრისთვის საიდუმლოდ დარჩება ის ამბავი, რომ ეგვიპტის აღორძინებისთვის თავგადაკლული ალი-ბეი ეროვნებით ქართველი იყო, სახელად იოსები, პატიოსანი მღვდლის შვილი და 13 წლისა, საქართველოდან გამოტაცებული და სტამბოლის მონათა ბაზარზე ულვთოდ გაყიდული

ტომით ქართველი ალი-ბეი ჯერ უდაბნოში მოთარეშე ბედუინთა რაზმებს დღენიადაგ დაერია, სისხლს რომ უშრობდნენ ეგვიპტელებს. ვინც გაწყვიტა – გაწყვიტა, ვინც გადაურჩა ალი-ბეის უდაბნოს მზის სხივებზე მოელვარე ხმალს, ეგვიპტიდან უგზო-უკვლოდ გადაიხვეწა. მანამდე ვერავის მოეხერხებინა თავგასული ბედუინების თარეშის ალაგმვა, მათ შორის, ვერც ეგვიპტეში გაბატონებულ თურქებს. უდაბნოს ქარიშხალს უწოდებდნენ ბედუინთა ყოველ ლაშქრობას ეგვიპტელები.

და უწოდეს ალი-ბეის მითური და გამაოგნებელი თიკუნი – **“ქარიშხლის დამაოკებელი”!..**

ბედუინთა დასამარების შემდეგ ქარიშხლის დამაოკებელმა ოსმალებისთვისაც მოიცალა. 5 წელი არ ჩაუგია ხმალი ქარქაშში და მთელი ეგვიპტე გაწმინდა თურქთაგან. რა აღარ სცადეს ოსმალებმა – ქრთამი, საწამლავი თუ პირდაპირი ხმალთა კვეთება, მაინც ვერაფერი დააკლეს ალი-ბეი ქართველს. უკვირდათ, სხვისი საქმისთვის რა თავს გვაკლავს ეს წყეული გურჯიო. ის კი არ უწყოდნენ, რომ გურჯი, სადაც უნდა იყოს, მონობას ყოველთვის მეომრის მარცხ-ხიფათიან ცხოვრებას არჩევს

მთელი ეგვიპტე, დიდი და პატარა, ალი-ბეის მზეს ფიცულობდა. ააყვავა დაააღორძინა ოსმალთაგან დაქცეული ქვეყანა სულთანმა. ძველი დიდება უბრუნდებოდა პირამიდების სამშობლოს

ახლა ეგვიპტის საზღვრებს იქითა სამფლობელოებს გადაჰკრა თვალი. მტკიცე ნებითა და ხელით მოდრიკა ყველა, ვინც წინააღმდეგობა შეჰბედა. მთელ სამუსლიმანოში გაუვარდა სახელი ეგვიპტის უძლეველ სულთანს. ალი-ბეი მაჰმადიანთა წმინდა ქალაქ მექაში ჩავიდა ლაშქრით, ქალაქის მთავარი შეიხი გადააყენა და მის ადგილას თავისი ხელქვეითი დასვა, იქიდან წითელი ზღვის სანაპიროს ჩამოუყვა და უზარმაზარი ტერიტორია ეგვიპტეს დაუმორჩილა

მისი მოღვაწეობის აპოთეოზი კი 1771 წელი იყო. ალი-ბეი ქართველმა აიღო მეორე მექად წოდებული დამასკო – სირიის დედაქალაქი და იქიდან პალესტინაში შევიდა საზეიმოდ აღჭურვილ ქართველ მამლუქთა ათასეულებით!..

ეგვიპტელებმა ქარიშხლის დამაოკებლის თიკუნი აღარ აკმარეს სათაყვანებელ სულთანს და **“ორი ზღვის ყაენი”** უწოდეს!..

გამაოგნებელი ამბავია – შავი ზღვის ნაპირებიდან გატაცებული თვალცრემლიანი ქართველი ბიჭი აზია-აფრიკის გზასაყარზე ორი ზღვის მბრძანებლად იქცა!.. ეს პატივი არავის რგებია არც მანამდე და არც მის შემდგომ

ძლიერ მმართველობაზე დაფუძნებული ტახტი ედგა ალი-ბეის კაიროში. ზემო და ქვემო ეგვიპტეს მის დროს ორ ათეულამდე ბეგი განაგებდა, რომლებიც სულთანს მორჩილებდნენ. ბეგთა უმრავლესობა ქართველი მამლუქები იყვნენ. ჰოდა, სწორედ ქართველი მამლუქი – მუჰამედ აბუ-ზაჰადი, ალი-ბეის თანამებრძოლი და ახლობელი ჩაუდგა სათავეში შეთქმულებას ორი ზღვის ყაენის წინააღმდეგ. აბა, რას იფიქრებდა ალი-ბეი, რომ მის მიერვე აღზევებული და შვილივით ნაპატრონები თვისტომი მოუსწრაფებდა სიცოცხლეს.

ღამის სიმყუდროვეში გაყუჩებულა კაიროს სასახლე. სულთნის სადგომისკენ მიიპარებიან შეთქმულნი. სასახლის კარის მცველთა უმთავრესიც მათთანაა. თავისი ერთგული ხალხი გაუმწესებია სულთნის ყოვლად შეუღწევ სასახლის ნაწილში გაატარეს შეთქმულნი მცველებმა მშვიდად სძინავს ალი-ბეი ქართველს

მძიმე კარის ჭრიალმა გამოაღვიძა. მისკენ მიმავალ მოლიცლიცე ლანდებს ჰკიდა თვალი. ელვის უსწრაფესად წამოხტა და მახვილისკენ გადაიწოდა ხელი. დაასწრეს, გადაუქნიეს მრუდე ხმალი და მძიმედ დაჭრილი გადავარდა სარეცელზე. ხმლის ხელმეორედ დაკვრა ვეღარ შეჰბედეს ორი ზღვის ყაენს. მხოლოდ აბუ-ზაჰადი მიუახლოვდა თვალი გაახილა მომაკვდავმა. სიკვდილის დანისლული ფარდის მიღმა მაინც გაარჩია სისხლიანი მახვილი და ამ მახვილის პატრონი. სინანულის ეული ცრემლი ჩამოუგორდა ალი-ბეის და გათავდა კიდეც. მახვილი გაუვარდა ხელიდან მუჰამედ აბუ-ზაჰადს, მუხლებზე დაეცა გამზრდელის წინაშე და ატირდა.

ალი-ბეის აღსრულების შემდეგ ეგვიპტის მმართველობა ისევ ქართველებს ერგოთ. ზემო ეგვიპტის მმართველი შეიქნა მურად-ბეი, ხოლო ქვემო მხარისა – მარტყოფელი იბრაჰიმ-ბეი შინჯიკაშვილი. ისევ მძლავრობდა მათ ხელში ნილოსის ქვეყანა. ისევ ქართველები განაგებდნენ ყველა საკვანძო პოსტებს ეგვიპტეში. იბრაჰიმ-ბეი შინჯიკაშვილი ედგა სათავეში კოალიციურ ძალებს ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ. სახელოვანი ფრანგის მთავარი მეტოქეები სწორედ ქართველი მამლუქები იყვნენ და მათმა სიმამაცემ ათქმევინა ევროპის დიდ იმპერატორს, – ისინი უძლიერესნი არიან მთელ აღმოსავლეთში. თუ ამ რჩეულ ხალხს დავუმატებდი ჩემს არტილერიას, დაუმარცხებელი და დაუმხობელი ნამდვილად არავინ და აღარაფერი დამრჩებოდა!..



# მარშრუტკა – 80 თეთრი, ლაპარაკი – 20 თეთრი, სუნთქვა – ჯერჯერობით უფასოდ

საზოგადოებას ჯერ კიდევ დენის გადასახადზე ნაგვის მიბმა ვერ მოუნელებინა, რომ ხელისუფლებამ ახალი გადასახადით გაგვახარა. ერთ მშვენიერ დღეს, მობილურ ტელეფონზე ყველას შეტყობინება დაეგზავნა: **„01.01.2012-დან, მთავრობის 489 დადგენილებით, 112-ის საფასური – 20 (იურიდიული პირი 50) თეთრი დაგექვითებათ ანგარიშიდან, თუ თვის განმავლობაში ნომრიდან გახარჯული თანხა აღემატება 5 ლარს“.** აბონენტების უმრავლესობამ მესიჯის შინაარსი ვერ გაიგო, ზოგმა კი წაუკითხავად წაშალა, რადგან მორიგი სარეკლამო გზავნილი ეგონა, ასეთები ხომ ხშირად მოგვდის ტელეფონზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 112, სადაც საგანგებო სამსახურები უნდა გაერთიანდეს, ჯერ არ არსებობს, მაგრამ თვის ბოლოს აბონენტებს თანხა უკვე ჩამოგვეჭრა. პირადად მე, 30 იანვარს, დილას 11 საათზე შეტყობინება მომივიდა, რომ ანგარიშიდან 112-ის მომსახურების საფასური, 50 თეთრი დამექვითა. ინფორმაციის ნაკლებობის გამო, თავიდან მეგონა, რომ ყოველ ჩარიცხულ ხუთ ლარზე 20 თეთრი ჩამომეჭრა და ერთი თვის განმავლობაში 12.50 თეთრის ვისაუბრე, მაგრამ როდესაც გავარკვიე, თანამშრომლებს 20 თეთრი ჩამოეჭრათ, იმ მობილურ ქსელში დავრეკე, რომლის აბონენტიც ვარ. გოგონამ სასიამოვნო ხმით, რომელიც, დარწმუნებული ვარ, არაფერ შუაში არ არის მთავრობის 489-ე დადგენილებასთან, ზრდილობიანად ამიხსნა, რომ 50 თეთრი მხოლოდ კორპორატიული მომსახურების მქონე იურიდიულ პირებს ჩამოეჭრებოდათ და მესიჯი ჩემს ნომერზე შეცდომით გამოიგზავნა, სინამდვილეში მხოლოდ 20 თეთრი დამექვითა. სამწუხაროდ, არ მახსოვს, მანამდე რამდენი მქონდა ანგარიშზე და ვერ გადავამოწმე, მართალი იყო თუ არა გოგონა, რომელსაც მრავალი გამწარებული აბონენტის დაწყნარება უწევდა.

ახალ გადასახადს ჯერჯერობით ისევ აპროტესტებენ სოციალურ ქსელებში, აპროტესტებენ ისე, როგორც თავის დროზე დენის გადასახადზე ნაგვის მიბმას, **„მარშრუტკების“** 30 თეთრით გაძვირებას, პრესის ჯიხურების აღებას, მაგრამ ერთიორი თვის შემდეგ ისევ ისე შევეჩვევით ამ ახალ გადასახადსაც, თან ზოგიერთის აზრით, თვეში 20 თეთრი ცოტა უხერხული გასაპროტესტებელია, როდესაც ნაგვის გადასახადს თვეში 65 ლარს იხდიან.

ახლა ვნახოთ, რა შემთხვევებში ისარგებლებთ 112-ის დახმარებით: ხანძრის დროს, სამაშველო დახმარების საჭიროებისას, გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარებით სარგებლობისას, ბუნებრივი გაზით მომარაგების შეწყვეტის, შეზღუდვის ან დასაშვები ნორმებიდან გადახრის შემთხვევისას, სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის ან წნევის ცვალებადობისას.

112-ის საფასურს არ გადაიხდიან **„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“** რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს.

112-ის სამსახური მოქმედებას მაისის ბოლოდან დაიწყებს.

რადგან ოპოზიციის აზრი ისედაც ცნობილია, ისინი ყველა ახალ გადასახადს აპროტესტებენ და მთავრობის კრიტიკა მათი საქმეა, გადავწყვიტეთ, ამ თემაზე აზრი მოსახლეობისთვის გვეკითხა. ისინი ხომ პოლიტიკოსებისა და ხელისუფლების პოტენციური ამომრჩევლები არიან.

**ირინკა**, 26 წლის (უმუშევარი):

– თავი დაგვანებონ, ყველაფერს ხალხს გვახდევინებენ, ნაგვის გადასახადის არ იყოს და მერე იბრალებენ, ქვეყანა ჩვენ ავაშენეთო. ან ის მესიჯი რომ მომივიდა, საქართველოს კანონმდებლობით, 489 მუხლით 20 თეთრი ჩამოგეჭრებათო, არ უნდა გვითხრან ნორმალურად, რა წერია იმ კანონში? ისედაც ათასი პრობლემა მაქვს. მინდა გითხრათ, რომ არც მიშისტი ვარ და არც ბიძინისტი და მთავრობის მიერ გატარებული რეფორმებიდან ბევრი მართლა მომწონს, მაგრამ ეს გადასახადების ზრდა დიდი უსამართლობაა. რცხვენოდეს ხელისუფლებას და იმ ადამიანებს, ვინც ამ კანონს მხარი დაუჭირა.

**მაგდა,** 32 წლის (ხელოვნებათმცოდნე):

– სამწუხაროდ, არაფერი მიკვირს და არც არაფერი მაშფოთებს. ჩვენი ქვეყანა მთავრობის ყველაზე აბსურდულ გადაწყვეტილებებს თავდახრილი ემორჩილება. 20 თეთრის მაგივრად 20 ლარიც რომ დაეწესებინათ, ხმას მაინც არავინ ამოიღებდა. ასე რომ, ხვალ-ზეგ თითოეულ ჩვენგანს 1 ლარიც რომ ჩამოგვეჭრას ანგარიშიდან იმისთვის, რომ ვარსებობთ, ჰაერს ვსუნთქავთ, არც ეს უნდა გაგვიკვირდეს. ჩემს ოჯახში ოთხი მობილური ტელეფონია და ერთიც ქალაქის ხაზი, ასე რომ, ჩემგან ყოველთვე ერთი ლარი მიაქვთ.

**ლევანი,** 33 წლის (ეკონომისტი):

– 20 თეთრი არ არის ის თანხა, რაზეც ამხელა განგაში უნდა ატეხილიყო. თუ რაიმეს თავი ჰქონდათ, დენის გადასახადზე ნაგვის მიბმა გაეპროტესტებინათ. რაც შეეხება 112-ის გადასახადს, მერე გაიგებენ ფასს, როცა საჭიროების შემთხვევაში სასწრაფოს ან სახანძრო მანქანას უფასოდ გამოიძახებენ და პრეზიდენტსაც მადლობას გადაუხდიან.

**მერი,** 37 წლის (მხატვარი):

– რა თქმა უნდა, არ მომწონს. ჩემი აზრით, ეს ნაგვის დენზე მიბმაზე აბსურდული გადასახადია. თუ ქველმოქმედებაა, პირდაპირ გვითხრან, ქართველების გულის აჩუყებას რა უნდა, იქნებ, მეტი გადავიხადოთ.

**ლექსო,** 29 წლის (კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტი):

– რისთვის გვაჭრიან? ამას რა კითხვა უნდა, ბიძინა ივანიშვილმა დაფინანსება შეუწყვიტა და ყაჩაღობაზე გადავიდნენ, რომ როგორმე პოლიციასა და სპეცრაზმს მაინც გადაუხადონ ხელფასები. რა კითხვას მისვამთ, ძნელი მისახვედრია პასუხი?

**ლალი,** 52 წლის (დიასახლისი): – ერთ დღეს მესიჯი მომივიდა, რომ ყოველთვიურად 20 თეთრს ჩამომაჭრიდნენ და ეს იქნებოდა 112-ის გადასახადი. 112-ზე დარეკვა გადავწყვიტე, რათა საქმის არსში გავრკვეულიყავი, მაგრამ არ დაირეკა. ოჯახში იმდენი ვიკამათეთ, რომ ბოლომდე ვერ გავიგეთ – ჩვენ ვართ დებილები თუ ისინი? მერე თანამშრომლებისგან გავიგე რა გადასახადზეც იყო საუბარი და დღემდე აღშფოთებული ვარ სახელმწიფო რეკეტით. მაინტერესებს, ვინ გააკონტროლებს ჩემს 20 თეთრს. ჩემი ოჯახი ხუთი წევრისგან შედგება, სამი მობილური და ერთი ჩვეულებრივი ხაზის ტელეფონი გვაქვს. თვეში 1 ლარი მარტო ჩემი ოჯახიდან შევა. არც ეს 112 ვიცი რა არის, როგორც ვხვდები, როცა გამიჭირდება, მაშინ უნდა დავრეკო. თან 112-ის სამსახური არ არსებობს და მე უკვე ფულს მახდევინებენ და არც იმის მჯერა, რომ კარგი მომსახურება იქნება. სასწრაფო დახმარების ექიმები ამბობენ, რომ ერთი გამოძახება ადამიანზე 40 ლარი ჯდება, რას უკეთებენ ავადმყოფებს ამ თანხისას და რეალურად რა უჯდებათ პაციენტის მომსახურება?!..

**ქეთი,** 42 წლის (ექიმი):

– სოციალური ქსელის საშუალებით გავიგე და ასევე ფორუმის აქტიური წევრი ვარ. ხალხი აღშფოთებული იყო და მეც სამართლიანად აღვშფოთდი. როგორც წავიკითხე, გადაუდებელი გამოძახებები რომ დაფინანსდეს, ამიტომ გვაჭრიან 20 თეთრს და მაინტერესებს, მანამდე რა ჯდებოდა ეს გამოძახება? რამდენი აბონენტია და რა თანხა შევა ამ გადასახადით. გვეუბნებიან, რომ 112-ის გამოძახება უფასოა, მაგრამ ფასიანია, ლოგიკა ამიხსნას ვინმემ. თუ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაშინ გვითხრან, თორემ 20 თეთრზე კი არ არის საუბარი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეიძლება, ტელეფონზე შემთხვევით ზარი გაგეშვას და 20 თეთრზე მეტი შენდა უნებურად დახარჯო. არ გამახსენოთ დენისა და ნაგვის მიბმა, რომელსაც მიშისტები დღემდე „აპრავებენ“ და ახლა მაინტერესებს, ამჯერად რაზე რის მიბმას აპირებენ და მართლა ცხვირზე მრიცხველებს დაგვიყენებენ, რომ გვაიძულონ, სუნთქვა შევიკავოთ და ერთ დღეს ამოვწყდეთ?..

**ლელა,** 36 წლის (ფსიქოლოგი):

– იმდენ გადასახადს ვუხდი ამ გამომძალველებს, ეს 20 თეთრი იმასთან რა მოსატანია, მაგრამ საერთო ჯამში, ეს ყველაფერი ერთად კოლოსალურ თანხებამდე მიდის, მართლა პირიდან ლუკმას გვაცლიან. რომ გავიგე ეს ამბავი, ვეცადე დამერეკა და აეხსნათ დაწვრილებით, რა ხდებოდა, მაგრამ ქართული ცხელი ხაზების ამბავი ხომ იცით, ვერასდროს დარეკავ, ან ერთსაათიანი ლოდინის მერე აღარც ძალა გაქვს რაიმეს შეკითხვის და გავიწყდება კიდეც, რა გინდოდა. მინდოდა მეთქვა, თუ ჭრიან, ის მაინც დაარეგულირონ, რომ თანხის ჩარიცხვის დროს მოხდეს ეგ. თორემ წინა დღეს ბოლო 20 თეთრი მქონდა დარჩენილი, თან კრედიტით აღებული თანხიდან და ის ჩამომაჭრეს, ეგ არა მგონია, ნორმალური იყოს. დავრჩი ისე, რომ ზარის გასაშვებიც აღარ დამრჩა და ხომ მოგეხსენებათ, რა თბილ სიტყვებს შევუთვლიდი ამეების მომგონ-შემსრულებლებს?!

**ნანა,** 44 წლის (ეკონომისტი):

– ორი დღის წინ 20 თეთრი ქურდულად და ბანდიტურად ჩამომაჭრა ამ ხელისუფლებამ, ამაზე ვიყავი ჯერ გაგულისებული და არ მქონდა მონელებული, რომ გავიხედე და კიდევ 20 თეთრის ჩამოჭრის შესახებ მომივიდა მესიჯი. ვიფიქრე, ესენი უკვე მართლა ალაოდ არიან-მეთქი და **„ჩამოვჩოთქე“**, ეტყობა, სულ გააფრინა ამ სააკაშვილის მთავრობამ და გადაწყვიტეს, ყოველ ჩარიცხულ ხუთ ლარზე მაფიოზებივით ფული შეგვაწერონ-მეთქი, მაგრამ ზუსტად რამდენიმე საათში მომივიდა სხვა მესიჯი, დიდი ბოდიში, ესაო, ისაო, 20 თეთრი დაგიბრუნეთ ანგარიშზეო. არ იკითხავთ, რატომ? იმიტომ, რომ შეცდომით დაგექვითათო. ამათ მართლა ხომ არ უნდათ, რომ იქ მივუვარდე, პარლამენტთან?

**ნ. ბიბიშვილი**




# ანქვაბი ევროკავშირის აფხაზურ პოლიტიკაზე

.აფხაზეთის ხელმძღვანელობამ ქალაქ სოხუმში ვიზიტად მყოფ ევროკავშირის დიპლომატს განუცხადა, რომ ევროკავშირმა არ უნდა დახარჯოს დრო და ფული **„ჩართულობის და არაღიარების“** მიდგომაზე, რადგანაც ასეთ პოლიტიკას სოხუმი კონტრპროდუქტიულად მიიჩნევს.

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი ფილიპ დიმიტროვი სოხუმში შეხვდა აფხაზეთის ლიდერს ბატონ ალექსანდრე ანქვაბს, საგარეო საქმეთა მინისტრ ვიაჩესლავ ჩიკირბას და პრემიერ-მინისტრ ლეონიდ ლაკერბაიას.

**„პირდაპირ გეტყვით, – მიმართა ალექსანდრე ანქვაბმა ფილიპ დიმიტროვს. – შეუძლებელია აფხაზების, აფხაზეთის რამეში ჩართვა. თუ ევროპა ჩვენს სადმე ჩართვას შეეცდება ჩვენი დამოუკიდებლობის სანაცვლოდ, მე თქვენ გეტყვით: ნუ ხარჯავთ დროს, და შემიძლია დავამატო: საერთოდ ნუ ხარჯავთ ფულს აქ ჩამოსვლაზე ამ ზედმეტი საკითხების განხილვაზეზე“.**

2009 წლის დეკემბერში ევროკავშირმა **„აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთისთვის არაღიარების და ჩართულობის პოლიტიკის პარამეტრები“** შეათანხმა, რაც მიზნად ისახავდა პოლიტიკური და სამართლებრივი სივრცის გამონახვას, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირი აღიარების გარეშე მათთან გარკვეული ურთიერთობების დამყარებას შეძლებდა.

**„მითხარით, როგორც ადამიანმა, რომელიც სტუმრად მოვიდა აფხაზეთის ხელმძღვანელთან, მე ვტოვებ იმ ადამიანის შთაბეჭდილებას, რომლის სადმე ჩართვაც შესაძლებელია იაკობაშვილის რეცეპტით, რომელიც დღეს წარმატებულად მუშაობს საქართველოს ელჩად აშშ-ში?“** – ჰკითხა ანქვაბმა დიმიტროვს.

**„ეს მისი იდეა იყო – აფხაზეთის სადღაც ჩართვა აღიარების გარეშე, რომელსაც ევროპამ მხარი დაუჭირა“,** – დასძინა ანქვაბმა.

მას მხედველობაში ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, რომელიც თემურ იაკობაშვილმა მოამზადა. იმ დროს იაკობაშვილი სახელმწიფო მინისტრი იყო რეინტეგრაციის საკითხებში.

**„შეიძლება დაგაბრმავოს საერთაშორისო დიპლომატიის მეტად ბრწყინვალე იდეებმა, მაგრამ ისინი აფხაზეთს ნაკლებად მიესადაგება. ჩემი დიდი თხოვნაა, ნუ გვასწავლით ცხოვრებას. ჩვენ მხოლოდ თანაბარუფლებიანი დიალოგის და ცივილიზებული ურთიერთობების მომხრე ვართ“,** – იტყობინება **„აფსნიპრესი“** ალექსანდრე ანქვაბის სიტყვებზე დაყრდნობით.

**„დავიღალეთ ასეთი დიპლომატიური მანერებისგან. თუ ასე გაგრძელდება, დიალოგს აზრი საერთოდ აღარ ექნება; გთავაზობთ, რომ ურთიერთობის სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდეთ“,** – განაცხადა ანქვაბმა.

მან საქართველოს ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტებიც მკაცრად გააკრიტიკა და განაცხადა: **„ჩვენ არასდროს გამოვიყენებთ მათ“.**

მისი თქმით, 90-იანი წლების დასაწყისის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ სოხუმი სთავაზობდა თბილისს, აფხაზეთის მოსახლეობისთვის გაეროს ეგიდით შემოეღო სამგზავრო დოკუმენტები, თუმცა, რატომღაც, ეს წინადადება ქართულმა მხარემ მაშინ არ მიიღო.

**„ახლა რუსეთმა უკვე გამოგვიწოდა დახმარების ხელი და სხვა დოკუმენტები აღარ გვჭირდება“,** – განაცხადა ანქვაბმა.

**„აფსნიპრესი“** იტყობინება, რომ ევროკავშირის **„ჩართულობის და არაღიარების“** მიდგომა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამაც გააკრიტიკა 8 თებერვალს ფილიპ დიმიტროვთან შეხვედრაზე. ჩირიკბამ განაცხადა, რომ ამგვარი მიდგომა რაიმე რეალურ შედეგს ვერ გამოიღებს, რადგანაც სოხუმი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის ეს პოლიტიკა აფხაზეთის საქართველოში რეინტეგრაციისკენაა მიმართული.

ჩიკირბამ, ასევე, განაცხადა, რომ **„აფხაზეთის ზურგს უკან“** საკითხის განხილვა აბსოლუტურად კონტრპროდუქტიულია, როგორც ეს, მისი თქმით, საქართველოს ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების შემთხვევაში მოხდა.

**„იმისათვის, რომ დადებითი შედეგები მივიღოთ, პირველ რიგში, აუცილებელია, რომ აფხაზეთი განხილულ იქნეს როგორც მოლაპარაკებების პროცესის თანასწორუფლებიანი მხარე“,** – განაცხადა მან.

**საქინფორმი**



# უნდა ითქვას სიმართლე

პეტრე იბერი და მისი წინამორბედი სწავლულები თავიანთ შრომებს წერდნენ იმ ენაზე, რა ენაზეც შეიქმნა ჩვენი, კაცობრიობის ისტორიაში უპირველესი დამწერლობანი: მხედრული და ასომთავრული, ხოლო რომელ ენაზე შეიქმნა აღნიშნული დამწერლობანი წარმოდგენილი მაქვს ჩემს წიგნში **„ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“** და სხვა გამოუქვეყნებელ ნაშრომებში, მაგრამ, მიუხედავად იმისა, მრავალჯერ მივმართე კომპეტენტურ სამეცნიერო დაწესებულებებს და სახელისუფლებო ორგანოებსაც, ობიექტურად შეეფასებინდათ ჩემი მიგნებები და გაეკეთებინათ არგუმენტირებული დასკვნები, დღემდე დუმან და ჯიუტად გრძელდება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებელებში სიცრუის სწავლება, რაზეც, ალბათ, სოლიდური თანხა იხარჯება.

რატომ ხდება სიმართლის იგნორირება?

იმიტომ, რომ სიცრუეზე აგებულ მეცნიერებას საძირკველი ეცლება, ამას ხელს უწყობს გარე ძალებიც, რადგან ცრუ მეცნიერებაზე დამყარებული სახელმწიფო დასანგრევადაა განწირული და, სწორედ, ეს აწყობთ მათ. მთელი ერის ტრაგედია ის არის, რომ ოფიციალურ სამეცნიერო დაწესებულებეში ვერ აღმოჩნდა რაინდული სულის მეცნიერი, რომელიც ჩემს მიერ აღმოჩენილ ჭეშმარიტებას გლობალური მასშტაბით განიხილავდა და აღიარებდა, მიუხედავად იმისა, ვერავითარი უარმყოფელი არგუმენტი ვერ იპოვეს.

დღემდე ვერ აღმოჩნდა საქართველოში რაინდული სულისა და მეცნიერული სინდისის მატარებელი კომპეტენტური პიროვნება, გარდა პროფ. ნანა შენგელიასი, რომელიც ოფიციალურად აღიარებდა ახალგაზრდა მეცნიერის – გია კვაშილავას მიერ მეგრულ-ლაზურ ენაზე გაშიფრულ ფესტოსის დისკოს სწორად გაშიფრვის ჭეშმარიტებას, რომლის გაშიფრვაზე ერთი საუკუნის განმავლობაში ტვინს იჭყლეტდა მსოფლიოს მრავალი წამყვანი მეცნიერი, მაგრამ ყველა ენაზე აბსურდი გამოდიოდა, ხოლო მეგრულ-ლაზურ ენაზე ბრწყინვალედ გაიშიფრა და მშვენიერი საგალობელი გამოდგა ქალღმერთ ნანაზე. ამასთან დაკავშირებით ბ-ნი გია კვაშილავა 2008 წლის ოქტომბერში ლონდონში იყო მიწვეული სამთავრობო მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სხდომაზე, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებიდან მოწვეული მრავალი მეცნიერი ესწრებოდა და მათ ერთხმად აღიარეს ბ-ნ გია კვაშილავას მიერ შემუშავებული გაშიფრვის ღრმა მეცნიერული მეთოდი და მიღებული შედეგის აბსოლუტური ჭეშმარიტება, ხოლო ჩვენი მეცნიერები კი ვერ შეელიენ არამ ლუკმას და, მიუხედავად იმისა, ღრმად სჯერათ მთელი მსოფლიოს წინაშე მდგარი ურთულესი გამოცანის გადაჭრის აბსოლუტური ჭეშმარიტებისა, სამარცხვინო დუმილს არჩევენ. რატომ?

იმიტომ, რომ დღევანდელ უსუსურ პოლიტიკას დამორჩილებულმა და მრავალი საუკუნის განმავლობაში მსგავსი იდეოლოგიის მატარებელმა, უგნური პოლიტიკით მართულმა „მეცნიერებმა“ ჭეშმარიტების დამალვას და სიცრუის, ნებსით თუ უნებლიედ, ჭეშმარიტებად წარმოჩენას შეალიეს მთელი თავიანთი კოლოსალური ენერგია და არამ ლუკმას ჩაფრენილთ უჭირთ ამ ლუკმის დათმობა. უფრო სწორად, განსწავლულ, მაგრამ ვიწრო დოგმატურ ჩარჩოებში ჩაკეტილ, გარკვეულ „მეცნიერებათა“ ჯგუფისათვის, ალბათ, დაქვეითებული იყო და არის გლობალური სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი და ვინც დასაბამიერ წარსულში პოულობს ჩვენი ერის მეგრულ(იბერიულ) ფესვებს და მარადიულ საკაცობრიო ფასეულობებს, მოღალატეს უძახიან; რადგან ჩვენი ერის უდიადეს, ზოგად ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ღირებულებათა შექმნის, საიდუმლობების შენახვისა და გახსნის შესაძლებლობა განგებისაგან ე.წ. მეგრულ ენას დაეკისრა, ამ ღირებულებათა შექმნაში, ალბათ, ქართის ტომის როლის უგულვებელყოფას და დაკნინებას ხედავენ, მაშინ, როცა ეს ღირებულებები შექმნილია ჩვენი საერთო წინაპართა მხოლოდ ერთიანობის ხანაში, ერთი სალიტერატურო ენის ფლობის პირობებში და შემდგომში ქართებად წოდებულ იბერებს საკმაო წვლილი აქვს შეტანილი საერთო ეროვნული მონაპოვარის შექმნაში და მისი როლის იგნორირება არ ხდება, ოღონდ, მაშინ ეწოდებოდა იბერია და იბერიული და არა საქართველო და ქართული.

მთელი ჩვენი უბედურება სწორედ ისაა, რომ ყალბის მქნელთა გავლენის ქვეშ მოექცა და შეცდომაში შევიდა ზოგი ღვაწლმოსილი მეცნიერიც, რადგანაც თვისტომის როლისა და დიდების წარმოჩენის სურვილი ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის შინაგან ბუნებაშია. მაგრამ სიყალბის ჭეშმარიტებად წარმოჩენა და განვრცობა და ამით წინაპართა როლის დაკნინება საკაცობრიო მნიშვნელობის ღირებულებათა შექმნაში, ჰეგემონობის მოპოვების შემდეგ, პირდაპირ, საკუთარი ფეხების მოჭრაა მუხლებთან და არ იძლევა ადამიანის და, საერთოდ, საზოგადოების აზროვნების დონის ამაღლების საფუძველს. ამან შეიძლება მხოლოდ დროებითი კმაყოფილება გამოიწვიოს, რაც პირდაპირი გზაა შემგუებლობისაკენ და, საბოლოოდ, ერის სულიერი ნგრევის საფუძველია, რამაც დღეს ჩვენს სინამდვილეში აშკარად იჩინა თავი, რადგან იმ საკაცობრიო მონაპოვართა ეროვნულ მონაპოვრად წარმოჩენა, რაზეც გავამახვილეთ ზემოთ ყურადღება ქართული ენით ვერ ხერხდება.

იოანე პეტრიწი იმიტომაა დიდი პიროვნება, რომ ის საკუთარი ტომობრივი სულიერი ძალებით ცდილობდა მშობლიური ტომის აზროვნების განვითარებას და ამაღლებას. ამის წინააღმდეგ ვინ ნორმალური წავა, მაგრამ **არსსე როფის** მთლიანობაში.

რა არის ჩემი ესოდენ უკმაყოფილების მიზეზი? მაგალითები მრავალია, მაგრამ, ამჯერად, ერთ მარტივ ექსპერიმენტზე შევჩერდები, რომელიც ამ სტატიის დაწერამდე ერთი კვირის წინათ ჩავატარე.

მრავალი მეცნიერი და სწავლული გავაცანი ქვემოთ წარმოდგენილ ტექსტებს წყაროების მითითების გარეშე. სპეციალისტებმა, რა თქმა უნდა, ამოიცნეს რომელი ლიტერატურული, თუ სხვა ისტორიული ძეგლებიდან იყო ამოღებული ეს ტექსტები და თარიღიც მიუთითეს მათი შექმნისა ისე, როგორც უსწავლიათ. ხოლო არასპეციალისტებმა, რომლებიც კარგად ფლობენ ჩვენს სალიტერატურო ენას, ყველაზე უძველესად მიღებული ძეგლები უფრო გვიანდელ ხანაში დაწერილად მიიჩნიეს, რადგან ისინი უფრო გასაგები აღმოჩნდა მათთვის, ვიდრე ყველაზე გვიან დაწერილი ტექსტი.

აქ წარმოვადგენთ იმ ტექსტებს, ჯერ წყაროების მითითების გარეშე, რომ გულწრფელმა, მაგრამ დაინტერესებულმა მკითხველმა თვითონ გააკეთოს თავის თავზე ექსპერიმენტი, რომელ ტექსტს მიიჩნევს ადრე დაწერილად და რომელს უფრო გვიანდელად.

<<ჩვენ ქრისტეანენი ვართ და მისთუსცა მოვსწყდებით, და მოვკუდებით, რომლისა მიმართ ნათელი ვიღეთ>>. მაშინ უღმრთოთა მათ მშობელთა მათთა განუხეთქნეს თავნი მათნი და განტჳნნეს იგინი. გუელთა და იქედნეთა, ასპიტთა და მხეცთა იციან წყალობაჲ შვილთაჲ, ხოლო ამათ უშჯულოთა არა ყვეს წყალობაჲ შვილთა მათთათჳს. და ექმნა მათ ადგილი იგი სამარხი და სამარტჳლო წმინდათა მათ ნაწილთა მათთა. მაშინ აღესრულა სიტყვაჲ იგი სახარებისაჲ: „მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდიდ და მამამან შვილი, და აღდგნენ მამადედანი შვილთა მათთა ზედა და მოჰკლვიდნენ მათ“.

„შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორეჲსითა შეიწყალენ ანტონი აბაჲ და იოსია – მომსხმელი ამისა სეფისაჲ და მამა – დედაჲ იოსიაჲსი ამენ“.

„და იჯმნა მეფისაგან სპარსთაჲსა პიტიახშმან. და, ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისაჲთა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა ყო, რაჲთა აუწყეს და წინა მიეგებნეს მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაჲთა მათ გამო ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს. და წარმოჰმართა სადიასპანოითა ცხენითა მონაჲ თჳსი, ვითარ[მ]ცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქვან ცურტავ“.

„ვინაჲ აწ ესე ჩემი ორფეოს ამათ ყოველთა სულითთა ბრძენი ქრისტესთა მათ მიმართ ოდესმე ვნებითთა ჩუენთჳს თავსდებათა, ოდესმე ღმერთეებითთა ზესთა მამადობათა, და ოდესმე ნამხნთა სულთ მაცხოვნებელთა, ვინაჲ თანა მოუქმს და ერთ დღე ჰყოფს გონებითთა ამათ გოდებთა, და კიდურთა მათთა მიუხებს ღმრთისა სიტყუასა ნათელთად.

მოსესი რაჲ და მოსეანთაჲ მათ რამეთუ ყოველნივე ყოვლობითურთ თჳს შორის მოუქმნიან წინამეტყუნი განგებითისა ამის ღმრთკაცობისათჳს, და მერმისა მისცა საყდართა წარმოობისათჳს და ძუელისა მის დღეთაგან ოჲ მე განჩენისათჳს, რამეთუ<<ცეცხლი წინაშე მისსა აღეტყინოსო და გარემოს მისსა ქარსეტყუაჲ ფრიად მფროჲ“>>.

„სახელითა ღრმთისაჲთა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, წმიდისა გრიგოლისითა მე, გლახაკმან ელია ბოლნელი მღვდელმოძღუარად ღირს ვიქმენ საყდარსა წმიდისა გრიგოლისასა. და ამას საყდარსა ღამისთევაჲ არა დებულიყო კურასძალთა. მე დავდევ და ზედაშე ღამისმთეველთათჳს საგალობელად ღმრთისა...“

__პირველ ტექსტში__ არაფერია გაუგებარი: აქ ქრისტეს მოწამენი ამბობენ რომ <<ჩვენ ქრისტიანები ვართ და მისთვის გავწყდებით და მოვკვდებით, რომლისგანაც გვანათლითო>>. მაშინ წარმართმა უღმრთო მშობლებმა გაუხეთქეს მათ თავი და ტვინი გამოასხმევინეს. გველთა და იქედნეთ, ასპიტთა და მხეცთ იციან შვილთა შეწყალება, ხოლო ამ ურჯულოებმა არ შეიწყალეს თავიანთი შვილები და ის ადგილი გახდა მათი წმინდა ნაწილების სამარხი. მაშინ აღესრულა სიტყვა სახარებისა:„ძმამ ძმა გაიმეტოს სასიკვდილოდ და მამამ შვილი და დედ-მამანი ადგნენ თავიანთი შვილთა წინააღმდეგ მოსაკლავად“.

__მეორე ტექსტში__ არასპეციალისტისთვისაც არაფერია გაუგებარი. აქ ვედრებაა დაწერილი უფლისადმი: „ქრისტეს შემწეობითა და წმინდა თეოდორეს დახმარებით შეიწყალე აბაჲ (რაღაც თანამდებობაა) ანტონი და ამ იატაკის („სეფის“) მომსხმელი იოსია და დედმამა მისი. ამენ“.

__მესამე ტექსტში__ მხოლოდ ერთი სიტყვაა გაუგებარი: „იჯმნა“ ტექსტი ასეთია: სპარსეთიდან წამოსულმა პიტიახშმა, როგორც მოაღწია ქართლის საზღვარს ჰერეთში, განიზრახა ეცნობებინა მას დაბრუნება და როგორც შემოვიდა დაბა ცურტავში, სადესპანო ცხენებით გაგზავნა მაცნე, რომ როგორც ერთგულს მოგებებოდნენ აზნაურები, მათი ძენი და მსახურნი.

__მეოთხე ტექსტში__ , როგორც ჩანს ბიბლიური მოსეზე და მოსეს მიმდევრობაზეა საუბარი მაგრამ, როგორც ძველი ქართული ენის არასპეციალისტმა ბევრი რამ ვერ გავიგე. ეს ტექსტი, ჩვენი აზრით, ნათარგმია ჯერ კიდევ განუვითარებელი ქართლურ ენაზე იოანე პეტრიწის მიერ ან მას შემდეგ.

__მეხუთე ტექსტში__ თითქმის ყველაფერი გასაგებია ჩემთვის: „მამა ღმერთის, ძისა და სულიწმინდის სახელით და წმინდა ღვთისმშობლისა და წმინდა გრიგოლის შემწობით მე გლახაკი ელია ბოლნელი გავხდი ღირსი წმინდა გრიგოლის საყდარში მღვდელთმოძღვრებისა. ამ საყდარს ღამისთევა წესად არ იყო დადგენილი. და მე დავაწესე მთელი კვირის განმავლობაში ღამისთევა და ზედაშე (შესაწირი ღვინო) ღამისმთეველთათვის“.

აღარ მგონია ეს ტექსტები დაწერილი იყოს იმ ხანაში, როგორც ამას რიგი მეცნიერები მიიჩნევენ.

პირველი და მესამე ტექსტი ამოღებულია სოლ. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატიიდან, თბ. 1946 წ. მესამე ტექსტი (გვ.35) ამოღებულია იაკობ ცურტაველის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“-დან, რომელიც მიჩნეულია პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლად და, რადგან მისი პერსონაჟები მე-5 საუკუნეში მცხოვრები ისტორიული პირები არიან, ამ ძეგლის დაწერის თარიღად მე-5 საუკუნეა მიჩნეული. კ. გამსახურდიას ტრილოგია „დავით აღმაშენებელი“-ს პერსონაჟები მე-12 საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრები ისტორიული პირებია, მაგრამ ის დაიწერა მე-20 საუკუნეში. ე.ი. ისტორიული პირების ცხოვრების პერიოდით ვერ განისაზღვრება თხზულების დაწერის თარიღი. ექვთიმე თაყაიშვილი ხაზს უსვამს, რომ ეს ძეგლი შეიძლება მე-5 საუკუნეშია დაწერილი, მაგრამ არა ქართლურ დიალექტზე, არამედ იბერიული ენის რომელიღაც ხანმეტურ დიალექტზე და თარგმნილია გვიან (იხ. იქვე, ჟ-ლი __მნათობი__, 1948წ. №8, ან ჟ-ლი __აია__ 2001, №9-10).

ჩვენი აზრით, ის თარგმნილია, თუ თარგმანია, არა უადრეს მე-12 საუკუნისა, ხოლო თუ დედანია, დაწერილია არა უადრეს მე-12 საუკუნისა.

რაც შეეხება პირველ ტექსტს (იხ. გვ.73), „ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობა“ მიჩნეულია IX საუკუნის ძეგლად, მაგრამ ეს ძეგლი ცნობილია ერთადერთი X საუკუნის ხელნაწერით, რომელიც აღმოჩნდა ათონის ქართველთა მონასტერში და დაწერილია არანაკლებ გასაგები ენით, ვიდრე „შუშანიკის წამება“ და გამყალბებელს შეეძლო დაეწერა მე-12 საუკუნეში და დაეთარიღებინა მე-9 საუკუნით. ასე, რომ ჭეშმარიტების დასადგენად საკმარისი არ არის ძეგლში მითითებული თარიღი. ასე, მაგალითად, ძვ.წ. აღ-ით მე-8 საუკუნეში ფინიკიურ ენაზე დაწერილად მიჩნეული ძეგლი, ლაბორატორიული შესწავლით, აღმოჩნდა შუა საუკუნეებში დაწერილი ფალსიფიკატორის მიერ. ენაზე საუკეთესო მემატიანე არ არსებობს დედამიწაზე, ამიტომ ამბობს ცნობილი მეცნიერი ა. კონდრატიევი: „ენის მონაცემები შესაძლებლობას აძლევს ისტორიკოსს ჩაწვდეს დროის ისეთ სიღმეში, როცა წერითი ხელოვნება ჯერ კიდევ არ არსებობდა, ვერავითარი ნივთიერი მტკიცებები ვერ შემოინახა, – აქ ენის ლექსიკას შეუძლია არქეოლოგის ბარი და უძველესი ქრონისტების ცნობები შეცვალოს“.

**მეოთხე ტექსტი** ეკუთვნის XI-XII საუკუნის მოღვაწეს, ცნობილ ფილოსოფოს (იხ. იოანე პეტრიწი, შრომები, II გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა და შ. ნუცუბიძის მიერ, თბ. 1937, გვ.209), რომელიც თავის თავზე იღებდა ქართული ენის განვითარებას, რომლის ენა უფრო ძნელად გასაგებია, ვიდრე მაგ., „შუშანიკის წამება“, ან წარწერები მე-5 საუკუნის ყოფილ ლაზთა მონასტერზე (იერუსალიმის ბეთლემის უდაბნოში) (მე-2 ტექსტი) და მე-5 საუკუნის ბოლნისის მონასტერზე (მე-4 ტექსტი).

თუ კოლხეთის აკადემიაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და წარწერები იერუსალიმის ლაზთა მონაზტერსა და ბოლნისის მონასტერზე მე-5 საუკუნიდანვე იყო შესრულებული, რატომ ვერ მტკიცდება მხედრული და ასომთავრული დამწერლობების ქართული ენის ბაზაზე წარმოშობა და შექმნა? რატომ მტკიცდება მათი წარმოშობა ე.წ. მეგრულ ენის ბაზაზე? რატომაა მეგრული და არა ქართული ასონიშანთა სახელდებანი? თუ ჩემი მიგნებები საეჭვოა, რატომ არ იძლევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და ენათმეცნიერების ინსტიტუტი უარმყოფელ და არგუმენტირებულ წერილობით დასკვნებს ამასთან დაკავშირებით? სად გაქრა და რატომ გაქრა პეტრე იბერის „მიზეზთა წიგნი“, რომელიც იოანე პეტრიწს ხელთ ეპყრა? თუ პეტრიწის წიგნმა მოაღწია დღემდე რა მოუვიდა იმ დროს არსებულ პეტრე იბერის წიგნს, თუ ის ე.წ. მეგრულ ენაზე არ იყო დაწერილი?

ქართების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, რატომ დაიყო ყოფილი იბერიის სამეფო, ეგრის-აფხაზეთის სამეფოდ, ქართლის სამეფოდ და ტაო-კლარჯეთის საკურაპალატოდ, მთლად ნათელი არ არის, მაგრამ, ეტყობა, მუდამ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართებს ერჩივნათ ცალკე, დამოუკიდებლად არსებობა და თავისი ნებით დათმეს, ალბათ, ქართლს გარდა, დანარჩენი იბერია, რადგან თეოდოს II-ისა და ბაგრატ II-ის მეფობის დროს ეგრის-აფხაზეთის სამეფო და ქართლის სამეფო კეთილნათესაურად იყვნენ განწყობილი ერთმანეთის მიმართ, მაგრამ აშკარაა, ეგრის აფხაზეთის სამეფო ვერ ეგუებოდა ერთი მოდგმის იბერთა მემკვიდრეების სამეფოებად დაშლას და, დაშლილი იბერიის დინასტიური გზით გაერთიანების მიზნით, 978 წელს ეგრის-აფხაზეთის მეფემ, საქართველოს ისტორიაში უმწეოდ წოდებულმა, უსინათლო, მაგრამ გონიერმა და შორსმჭვრეტელმა თეოდოს II-მ, რომლის სამეფოში შედიოდა კახეთ-ჰერეთი, დღევანდელი შიდა ქართლი მცხეთითურთ და მთელი დასავლეთი იბერია (კოლხეთი), ეგრის-აფხაზეთის მეფედ აკურთხა თავისი დისშვილი – ბაგრატ III, ქართლის მეფის ბაგრატ II-ის შვილიშვილი (იხ. ანზორ შონია, ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა, თბ. 2003, გვ. 179), მაგრამ ცნობილია, რომ ბაგრატ III-მ ოცდაათწლიანი მშვიდობიანი ბრძოლით ვერ მოახერხა მემკვიდრეობით კუთვნილი ქართლის სამეფოს შემოერთება და ამ პრობლემის გადაჭრისათვის, მიუხედავად იმისა, მამამისმა გურგენ II-მ ანდერძით დაუტოვა ქართლის სამეფო თავის შვილს – ბაგრატ III-ს, სისხლისღვრა დასჭირდა; წინ აღუდგნენ ვიღაც სუმბატი და გურგენი, მაგრამ 1008 წელს ძალის გამოყენებით შემოიერთა ქართლი, ხოლო ტაო-კლარჯეთის კურაპალატმა, ბაგრატ III-ის „მამობილად“ წოდებულმა დავით III კურაპალატმა ანდერძით დაუტოვა თავისი საკურაპალატო ბიზანტიას, რომლის შემოერთება დავით აღმაშენებლამდე ვერ მოახერხეს ქართველმა მეფეებმა. ამიტომ იწოდებოდა გაერთიანებული საქარათველო „აფხაზეთად XI-XII საუკუნეებში და არც თუ იშვიათად XIII საუკუნეშიც“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, აფხაზეთის განმარტება).

**კუკური ფიფია,**
**“ფაზისის” აკადემიის აკადემიკოსი**

**(გაგრძელება იქნება)**

# როდემდე შეიძლება დაბრეცილი სარკით თავმოწონება!



*ჩვენი სტუმარია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ჩვენი დიდი მეგობარი და მხარდამჭერი, სამაგალითო მოქალაქე და მამულიშვილი ბატონი* კლიმენტი შელია.

**– ბატონო კლიმენტი, ერთმა სომეხმა კაცმა მითხრა, რომ ნაპოლეონის დაცვის უფროსი, თბილისში დაბადებული სომეხი, რუსტამ ჰონანი იყოო. ამის შესახებ უთითებს წყაროც, 1911 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემული პაულ კოტინის (Kottin) წიგნი "ნაპოლეონის მამლუქები", თქვენ კი ამბობთ, რომ ნაპოლეონის დაცვის უფროსი ქართველი, როსტომ (რუსტან) რაზმაძე იყოო.**

– მართლაც, სომეხი რომ ყოფილიყო, კი ბატონო, მაგრამ ყოველივე ქართულის მითვისება რა უკურნებელ სენად გადაექცათ, თუმცა, ლეონტი მროველის **"ქართლის ცხოვრებით"** რომ იხელმძღვანელებ, რომელშიც კოლხეთი და იბერია ნახსენები არ არის და ქართველი ერის დამცირება-შეურაცხყოფისა და არმენთა წარსულის ხელოვნური განდიდების თვალსაჩინო ნიმუშია, რაღაზე შეიძლება იყოს საუბარი.

**– ...და რა რჯიდა ლეონტი მროველს?**

– ვინ გაისარჯა ამ სიცრუის დამკიდრებისათვის, არ ვიცი, მაგრამ სიყალბეს ხომ ვხედავთ? ლეონტი მროველი ამტკიცებს **"აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაც დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული"**, – წარმოგიდგენიათ? ახლა იმას შეხედეთ, თურმე, მაკედონელი ქართლშიც რომ ყოფილა **"ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქვეყნისანი... გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისთვის არა უჩანდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, მკვდარსა შეჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყვნი".**

**– რაზე მიანიშნებთ, ბატონო კლიმენტი?**

– არ მივანიშნებ, პირდაპირ ვამბობ – ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ ვინ იყო ლეონტი მროველი და როდის მოღვაწეობდა, ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ათონის ივერის მონასტრის ერთადერთ ხელნაწერში, ნიკო მარის თქმით, მოხსენიებული ყოფილა **"ლეონტი მროველი მთავარეპისკოპოსი"**, მაგრამ მის შესახებაც არანაირი ცნობა არ არის, ანუ ერთსა და იმავე პიროვნებასა და ერთსა და იმავე დროზე საუბარი თუ არა. ასეა თუ ისე, ლეონტი მროველის თხზულებას ჩვენამდე იმ სახით არ მოუღწევია, როგორც თვით ავტორს უნდა დაეწერა. ამას გარდა, **"ჩვენი ავტორი"** უხვად სარგებლობს თხზულებით **"ცხოვრება სომხითისა"**, რომელიც გრიგოლ პართელის ცხოვრებაა და ალბათ, იგივე წიგნი უნდა იყოს, რომელიც წოდებულია **"მოქცევა სომეხთად"**.

**– "ქართლის ცხოვრების" და საერთოდ, ისტორიის გაყალბებაზე ჩვენი პირველი შეხვედრისთანავე ვისაუბრეთ და ახლა რატომ გაიხსენეთ ისევ...**

– ერთ რამეს გეტყვით და მიხვდებით, – 34 წლის წინ, 1977 წელს მარიამ ლორთქიფანიძე წერდა: **"დავას იწვევს ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათა ურთიერთმიმართების საკითხი, ლეონტი მროველის ავტორობის საკითხი, აგრეთვე ლეონტი მროველისა და ჯუანშერის მოღვაწეობის დათარიღება და სხვა... მაგრამ თითქოს უდავო უნდა იყოს ის, რომ XI საუკუნის ისტორიკოსები სარგებლობდნენ წინამორბედი ისტორიკოსების თხზულებებით. შუა საუკუნეებში არსებული ტრადიციების თანახმად, თავის წინამორბედთა ნაშრომები თითქმის მთლიანად და უცვლელად შეჰქონდათ თავის საისტორიო თხზულებებში"**. 2011 წელს კი ჟურნალისტის (ჟურნალი **"სარკე"**, №30, გვ. 11) კითხვაზე: **"მეფეთა ცხოვრების" ავტორ ლეონტი მროველზე რა არის ცნობილი? ასეთ პასუხს იძლევა: "მეფეთა ცხოვრება" არამარტო საქართველოზე, სამხრეთ კავკასიაზე და სხვებთან ურთიერთობაზე მოგვითხრობს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საისტორიო ნაწარმოები. ახალგაზრდა უნდა იცნობდეს მას. რაც შეეხება ლეონტი მროველს, საქართველოს ისტორიაში ის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა, რუისის ეპისკოპოსი გახლდათ. როცა საქართველოს სელჯუკები შემოესივნენ, ყველა საეპისკოპოდან შეკრიბა მნიშვნელოვანი ხელნაწერები და ერთ-ერთ გამოქვაბულში გადამალა. ეს ძალიან დიდი რამ იყო. ქვაზე წარწერა აღმოჩნდა, სადაც წერია, რომ წამოიღო მან ეს ხელნაწერები, სად და როგორ შეინახა. ლეონტი მროველის საქციელი თითოეული ჩვენთაგანისათვის მაგალითი უნდა იყოს"**.

მინდა ვკითხო, როდის ცრუობდა მარიკა ლორთქიფანიძე, 1977 წელს თუ 2011 წელს, როცა ამ სიტყვებს ამბობდა. იმას ვინ დაიჯერებს, რომ მარიკა ლორთქიფანიძეს **"ქართლის ცხოვრება"** არ წაუკითხავს, ან წაიკითხა და ისტორიის ვერანაირი გაყალბება ვერ შენიშნა...

**– აბა, რასთან გვაქვს საქმე?**

– რაც მოგახსენეთ, იმასთან!

**– კარგით, დავუბრუნდეთ როსტომ რაზმაძეს. მის წარმოშობაზე იგივე ინფორმაციას ვხვდებით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ქალბატონ ირინე ნაჭყებიას წერილში "საფრანგეთ-სპარსეთის დიპლომატიური ურთიერთობები 1804-1810 წლებში და საქართველო".**

– სამწუხაროა, რომ განათლებულ ქალბატონს სხვა მრავალ საბუთთან ერთად, გამორჩენია ლევ ტოლსტოის, მიხეილ ჯავახიშვილის, რაჟდენ გვეტაძის, თემურ მიზჩუანის და სხვათა ინფორმაციები რუსტამის შესახებ და მხოლოდ ვინმე კოტინს ეყრდნობა. ასე რომ დავდგეთ და ისტორია ხან გადავაკეთოთ, ხან ცალკეული ფაქტები ვმალოთ, რას მივიღებთ, სიცრუეს, რაც კაცობრიობის წარმოშობის კვლევისგან აცდენას იძლევა.

რა თქმა უნდა, საფრანგეთის არცერთ ხელისუფლებას არ უნდა იმის **"გახსენება"**, რომ ნაპოლეონი ბასკი იყო, თუმცა, როცა სჭირდებოდათ **"კორსიკელ ურჩხულს"** უწოდებდნენ. ნაპოლეონის თანამედროვე წერს, რომ იგი საუბრისას ხშირად იხსენებდა, რომ მის ძარღვებში კავკასიური სისხლი ჩქეფდა და წარმოშობით ბასკი-კოლხი იყო. ამჟამადაც **"ქართს"** (**"ქორთუ"**) უწოდებენ თავიანთ ენას, კუნძულსა და ქვეყანას ნაპოლეონის მოდგმის კორსიკელები. ნაპოლეონი **"ქორთუ"** იყო. მხოლოდ იქაურმა **"ქორთუებმა"** შეინარჩუნეს ჩვენი საერთო წინაპრებისეული მრავალხმიანი მუსიკა, კეთილშობილი ქცევა, სილამაზე...

ნაპოლეონის კარის უფროსი **გამრიგე კონსტანი** იხსენებს: **"იმპერატორის მამლუქის სახელით ცნობილი რუსტანი კარგი ოჯახის შვილი იყო. საქართველოდან 6-7 წლისა მოუტაციათ და ქაიროში გაუყიდიათ. სრულწლოვნებამდე ისე იზრდებოდა, როგორც მონა, შემდეგ მამლუქი გახდა. ეგვიპტეში ლაშქრობისას შაჰმა იმპერატორს ძღვნად მიართვა რამდენიმე ბედაური და ორი მამლუქი, რუსტანი და იბრაჰიმი. ნაპოლეონმა რუსტანი თავის ამალაში დაიტოვა, ხოლო იბრაჰიმი, შემდგომში ალის სახელით ცნობილი, ჟოზეფინას მცველად გაამწესა..."** ნაპოლეონი უსაზღვროდ ენდობოდა რუსტანს, რომელმაც ერთხელ მტრის მოქნეული ხმალი აიცილა იმპერატორს და უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა. მათი ურთიერთობა ახლო მეგობრულ-ნათესაური იყო და არა როგორც იმპერატორის დაცვის უფროსისა. რუსტანმა კარგად იცოდა, რომ რომანი **"კლისონმი და ეჟენი"** ნაპოლეონის დაწერილი იყო. მან ცოლად შეირთო ჟოზეფინას კამერდინერის, დუვილის ქალიშვილი, რის შემდეგაც იგი ნაპოლეონის ამალაში აღარ ჩანს. 1827 წელს ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე მოწმედ ყოფნისას რუსტანმა დაკითხვის დროს განაცხადა, რომ დაიბადა ტფილისში, 44 წლის არის და წარმოშობით ქართველია. როსტომ (რუსტან) რაზმაძე გარდაიცვალა 1845 წლის 7 დეკემბერს და დაკრძალულია ქალაქ დურდანში.

**– ბატონო კლიმენტი, ჩემს მიერ ნახსენებ წერილში ასეთი რამ წერია, ნაპოლეონი დაინტერესებული იყო, პირად გვარდიაში ქართველი მებრძოლები ჰყოლოდა, რადგან ეგვიპტეში ყოფნისას დარწმუნდა, რომ ისინი უკეთ იბრძოლებდნენ ინდოეთში, ვიდრე ევროპელებიო. თუმცა, აქვეა თბილისში დაბადებული, ეროვნებით სომეხი რუსტამ ჰონანის, იგივე ნაპოლეონის დაცვის უფროსად ცნობილი კაცის მემუარიდან ამონარიდი "კარგ მამლუქებად ქართველები და მეგრელები ურჩევნიათ, არ ვიცი რატომ, რადგან სომხები კიდევ უფრო მამაცები არიან, ვიდრე სხვა ერები", – ამას მხოლოდ სომეხი იტყოდა სომხებზე, რადგან ცნობილია, რომ სომეხი ერი არ არის მებრძოლი ერი.**

– არ ვიცი, ვინ არის ვინმე ჰონანი, მაგრამ ის, რომ ნაპოლეონის ჯარისკაცებში ბევრი იყო ქართველი, ძირითადად სამეგრელოდან, ფაქტია. ხანდაზმულმა ქალბატონმა ნათელა ხორავამ, როგორც ისტორიული ფაქტი, რომ არ დაკარგულიყო, გამოამზეურა მისი შორეული წინაპრების სურათი, მეგრელები ნაპოლეონის არმიაში. გაგეცინებათ და, იგივე სურათი, თავის დროზე, რუსეთის იმპერიას საფოსტო მარკად გამოუცია წარწერით **"მეგრელები ბოროდინოს ომში"**.

**– ბატონო კლიმენტი, რაც მთავარია, სხვის ომში ხომ იყვნენ და ფრანგების გამო ღვრიდნენ სისხლს თუ რუსების გამო, რაღა მნიშვნელობა აქვს... ამავე წერილში აღნიშნულია, რომ 1801-1809 წლებში თეირანის კარზე მყოფი ევროპელები ქართველებს ასახელებენ კარგ მებრძოლებად. მათივე ცნობებით, სომხები, რომელთაც ქართველებისაგან განსხვავებით სპარსეთში თავიანთი ეკლესიები ჰქონდათ, ძირითადად ვაჭრობით, სოფლის მეურნეობითა და მევახშეობით იყვნენ დაკავებულები. მათ შორის იყვნენ რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთი საიდუმლო ჯაშუშებიც.**

– იქნებოდნენ ყველანი და ყველაფერნი, მაგრამ არა ისეთი მეომრები, რომ ნაპოლეონს რომელიმესთვის ენდო საკუთარი სიცოცხლე.

**– ბატონო კლიმენტი, გავიგე, ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ში დაგირეკავთ ერთგვარი პრეტენზიით...**

– დიახ, ბატონო. ერთ საღამოს ჯუმბერ აბრამიამ დამირეკა, ტელევიზორს თუ უყურეო. მერე სხვებმაც დამირეკეს. მე და თქვენი საუბრის გაზეთში გამოქვეყნებიდან ერთი თვის თავზე გადაცემა **"პოსტსკრიპტუმში"** სიუჟეტი იყო ტუტანჰამონზე. გაზეთის გამოსვლიდან ერთი კვირის თავზე მირეკავდნენ უცხოელი მეცნიერები, კიდევ ერთხელ დაინტერესდნენ ჩემით და ამათ სიტყვად არც მე მახსენეს, არც **„ილორი"** და არც სხვა რომელიმე გაზეთი. ინტერვიუში გითხარით, რომ ეხნატონი, მისი მამა (ამენჰოტი), მისი მეუღლე (თათუ), მათი შვილი (თუთანჰამონი), თათუს ბიძა (აიე) და ეგვიპტის ფარაონები: რამზეს I, რამზეს II, რამზეს III და მათი მემკვიდრეები კოლხები იყვნენ; მე გითხარით, **"რუსთავი-2"**-მა გაიმეორა, რომ შვეიცარიელმა მეცნიერებმა **დნმ**-ის შესწავლის საფუძველზე დაამტკიცეს, რომ დასავლეთ ევროპის მამაკაცთა 50 პროცენტი იგივე **დნმ**-ისაა, რომ ინგლისში ეს პროცენტი 70-ია, ესპანეთშიც 70, საფრანგეთში – 60. სამწუხაროდ, გადაცემის **"გამკეთებელს"** გამორჩა ჩემი სხვა ნათქვამი, კერძოდ ის, რომ **აშშ**-ის ადამიანის გენეტიკის კვლევის სპეციალისტებმა პროფესორ ბრაიან საქსის ხელმძღვანელობით ადამიანის მოტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინეს, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან (კავკასიაში იმ დროს კოლოხები სახლობდნენ) არიან წამოსულები და ეს გენი მართავს ადამიანის გენეტიკას; ინგლისელი მეცნიერი, ინგლისის ისტორიის ავტორი ა. მორტინი წერს, რომ იბერიელები გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი მამამთავრები, განსაკუთრებით ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში.

ახლა გადმოგცემთ ამონარიდს სწორედ შოლცის მოწერილი წერილიდან ბატონ მ. რატიშვილისადმი, რომელიც **"პოსტსკრიპტუმში"** ჩანდა. **"შედეგები, რომლებიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ, ეხება ტუტანჰამონის წმინდად მამრობით ხაზს. გასულ წელს გამოქვეყნებული დნმ-ის ანალიზით ვიცით, რომ მუმია სახელწოდებით "V35Y1" (მეფეთა აკლდამა, №35) "ახალგაზრდა ქალბატონი" იყო მისი დედა. ჩვენ ასევე ვიცით, რომ ეს ქალი იყო ეხნატონის ღვიძლი და, რომ მათი მშობლები იყვნენ ამენჰოტეპ III და თიიე. მე არ შემიძლია გითხრათ, აქვს თუ არა რაიმე კავშირი მეფე რატისთან. რამდენადაც ჩვენ ძალიან მცირე დამადასტურებელი მასალა გვაქვს, ამგვარი დასკვნების გამოტანა არ შეგვიძლია. ჩვენ ვეძებთ ტუტანჰამონის მსგავს ხაზებს, რაც, შესაძლოა, მისი მამის ხაზის აღდგენაში დაგვეხმაროს. სამწუხაროდ, სხვა ხაზების გამოკვლევა, ამ დროისათვის, შეუძლებელია. თუ პროფესორ შელიას კვლევა მივა მეფე რატის ხაზამდე, ცხადია, ჩვენთვის საინტერესო იქნება ამ ხაზის ცოდნა. თუ თქვენ გაქვთ მასთან კავშირი და ასევე, ამ ტესტების ჩატარებაში თუ იგი დახმარებას საჭიროებს, ჩვენ, ალბათ, შევძლებდით მის დახმარებას. სიამოვნებით ვუპასუხებთ ნებისმიერ კითხვას, რაც შეიძლება რომ გაგიჩნდეთ. პატივისცემით, რომან შოლცი".**

**– ბატონო კლიმენტი, "ქსენიდალის" გენები ხომ ინდიელთა ზოგიერთ ტომშიც აღმოჩნდა...**

– რაში აინტერესებთ, რა არის **"ქსენი-ზინა"**, **"დალი"** და **"ვალადა"**. არათუ სად, როდის და რომელი ჩამოყალიბდა. მათი ინტერესი პოლიტიკოსების უკან დევნაა მათსავე გასაპოპულარებლად, ქართული არაფერი უნდათ. საკუთარი წარმოშობა არ აინტერესებთ, ისტორია და მეცნიერება... ზრდილობაც რომ არა აქვს? დავრეკე **"რუსთავი-2"**-ში და კაცმა მიპასუხა. ვუთხარი კლიმენტი ვარ, შელია-მეთქი. მერეო, რა გინდა, ისტორია უკუღმა რომ დაატრიალოო? თან, **"კლიმენტიო"**, ისე გამოთქვამდა, დასცინოდა ჩემს სახელს. იმან წაღმა არ იცის ისტორია და უკუღმა ვატრიალებ თუ ვაქანავებ, ძალიან გაიგებს... რა სახელის ბრძანდებით-მეთქი. – მეც უზრდელი ხომ არ ვარ, ნიკოლოზი მქვიაო. ის ისე იყო ნიკოლოზი, როგორც მე მქვია ნიკიტა. არ შედგა ჩვენი საუბარი, ბოლომდე არ მომისმინა. მეორე დღესვე დავრეკე, **"ნიკოლოზი"** მოვიკითხე და ბოდიში მოვუხადე შეწუხებისათვის...

**– ეგებ არ უყვართ კოლხური გენი და სისხლიც ამიტომ არ უყივით – ვხუმრობ.**

– ეგეცაა, ხომ იცით... აბა, რატომ არ უნდა გაინტერესებდეს რას ამბობს მირიან ქართველი, ამასაც კლიმენტი შელია ხომ არ ამბობს – ეგვიპტის იმპერია ქართველი შუმერების შექმნილია და ფარაონები კლეოპატრამდე, ყველანი ქართველები იყვნენ, რომელთა ხელშეწყობითა და პრაქტიკული დახმარებით, ქართველმა ქურუმებმა სწავლა-განათლება მთელ მსოფლიოში გაიტანესო. ეს რომ გაინტერესებდეს, იმასაც გაიგებ, რომ კოლხური ცივილიზაციის პერიოდი დიდი ხნით უსწრებს ეგვიპტის დიდი ფარაონების მმართველობის პერიოდს, რომელთა სარკოფაგებში ჩატანებული უდიდესი სიმდიდრე, ოქროს ძვირფასი ნაკეთობანი კოლხური წარმომავლობისაა და კიდევ ბევრი რამ, რაც მთელ მსოფლიოს საქართველოსთან აკავშირებს, კერძოდ, კოლხეთთან და არა პირიქით.

არაქართველს თუ თავს მოხვეული ქართველობა არ უნდა, ამაში არაფერია დასაძრახი, პირიქით, მივესალმები მის პატრიოტიზმს, მაგრამ ქართველი თუ ხარ, ქართველზე წინ სხვა ეროვნების წარმომადგენელს რატომ უნდა აყენებდე? კლიმენტის ნაცვლად სემს (რითი სჯობს ეს სახელი ვითომ **"კლიმენტის"**) რომ დაერეკა, ასე აგდებით დაელაპარაკებოდა **"ნიკოლოზი"**?

როდემდე შეიძლება დაბრეცილი სარკით თავმოწონება?

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ნინო ანანიაშვილმა ჩვენი ფული ჩაიდო ჯიბეში!

დაახლოებით ერთი წლის წინ გახმაურდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საბალეტო დასის მსახიობებმა იაპონიაში გასტროლის დროს სასმელი და კარტი მოიპარეს. ამის გამო ნინო ანანიაშვილი საბალეტო დასის ხელმძღვანელის პოსტის დატოვებასაც აპირებდა. საბოლოოდ, თანამდებობაზე დარჩა, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, დასი თანდათან დაცარიელდა. იაპონიაში მომხდარ ამბავზე მსახიობები ლაპარაკს ერიდებიან. რამ გამოიწვია ეს ინციდენტი? როგორ ანაწილებდა ივანიშვილის ფულს პრიმაბალერინა და რას უკავშირდება **„თბილისის ოპერის მეგობართა საბჭოს“** დაფუძნება, რომლის საპატიო თავმჯდომარე გიგი უგულავა, ხოლო ერთ-ერთი დამფუძნებელი ექსთავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილია? ზემოაღნიშნული ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე **ბესო შათირიშვილი** **„კვირის პალიტრას“** გაუხმაურებელ დეტალებზე ესაუბრა:

– იაპონიაში მომხდარი შემთხვევის შემდეგ თითქმის უმოქმედოდ ვარ, იმიტომ, რომ გამაჩერეს! ამას კი ვერ ვეგუები. საათობით ვვარჯიშობ, რომ ფორმა შევინარჩუნო. როგორც შემოქმედი, იზოლაციაში მოვექეცი. ამიტომ გადავწყვიტე თქვენთან საუბარი. მინდა ვთქვა ის, რის გამოც გამაჩერეს! გნებავთ, აღსარებად ჩამითვალეთ, გნებავთ, თავდაცვად! მთავარია, რომ სიმართლეს ვიტყვი.

15 წელი ვიმუშავე ოპერისა და ბალეტის თეატრში. უფრო ადრე **„ერისიონშიც“** ვცეკვავდი, თავდაცვისა და შინაგანი ჯარების ანსამბლებშიც.

2003 წელს, **„ვარდების რევოლუციის“** შემდეგ, როცა პრეზიდენტმა საბალეტო დასის ხელმძღვანელად ნინო ანანიაშვილი დანიშნა, რატომღაც ზოგიერთი ქართული ბალეტი რეპერტუარიდან ამოვარდა, მაგალითად, **„გორდა“** – მშვენიერი ბალეტი. სანაცვლოდ ნინომ ახალი სპექტაკლების შემოტანა დაიწყო, რაც ცუდი არ იყო, მაგრამ იმდაგვარი სისტემა შეიქმნა თეატრში, როგორიც ქვეყანაში იყო, ვითომ აღმშენებლობისა და კეთილდღეობის! გარეთ მტერს ევსებოდა თვალები, შიგნით – მოყვარეს. ბალეტის მსახიობების უმრავლესობას უჭირდა, ისევე როგორც მე. მქონდა წარმატებაც, – **„დონ კიხოტში“** სანჩო პანსას როლი შევასრულე, **„ამაო სიფრთხილეში“** – ბებიის პარტია. სხვათა შორის, ჩემთან ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ნინოსაც და მის მეუღლეს, გრიგოლ ვაშაძესაც, მქონდა დაწინაურების პერსპექტივაც, რის გამოც დასში ინტრიგების ხლართვა დაიწყო. იყო ქიშპი, ქილიკი, დაბეზღება. ამ ყველაფერმა მწვერვალს იაპონიაში გასტროლის დროს მიაღწია.

**– და რა მოხდა იაპონიაში?**

– რა მოხდა და, გამოგველია სურსათ-სანოვაგე, ფული აღარ გვექო, რომელსაც ძუნწად გვაძლევდნენ. ნინო ანანიაშვილი, როგორც საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი, კონტრაქტს თავად აფორმებდა უცხოურ მხარესთან და მისი გაცნობის უფლებას არავის აძლევდა. ასეთივე გასაიდუმლოებული იყო **„ჯაპანა არტთან“** გაფორმებული კონტრაქტიც, რაც იაპონიაში გასტროლს წინ უძღოდა. იაპონია ერთ-ერთი ძვირად ღირებული ქვეყანაა, სადაც 80-ზე მეტი მოცეკვავე ჩავედით. დღე-ღამეში თითოეულს მხოლოდ 50 დოლარს გვიხდიდნენ, რაც ძალიან ცოტა იყო. განსაკუთრებით ძვირი ღირდა ყოველდღიური მოხმარების საგნები, პური და წყალი. ყოველ გასტროლზე თან მიგვქონდა პური, კონსერვი, ძეხვი... იაპონიაში წაღებული სურსათი კვირა-ნახევარში გათავდა. არადა, იქ კიდევ ერთი თვე და ორი კვირა უნდა დავრჩენილიყავით. მოკლედ, უკანასკნელ იენებს ვითვლიდით, ვაკოწიწებდით, რომ საჭმელი გვეყიდა. ერთი სიტყვით, შევედით სუპერმარკეტში. რაღაც-რაღაცები ჩანთაში ჩავდეთ და საფასურიც გადავიხადეთ, მაგრამ სრულად არ დაგვიფარავს.

მოკლედ, ერთის ნაცვლად ორი პროდუქტი ჩავდეთ, ფული კი ერთისა გადავიხადეთ. სასტუმროში მშიერ გოგონებს, დასის წევრებს, ჩვენ ვუმასპინძლდებოდით.

**– მართალია, რომ ზოგიერთმა მსახიობმა მათხოვრობაც სცადა და ამის ამსახველი მასალა მობილური ტელეფონის კამერით არის გადაღებული?**

– პირადად არ გადამიღია, მაგრამ განა ყველა მათხოვრად არ ვიყავით ქცეული? ისე, კარგი იქნებოდა, ყველაფერი რომ გადამეღო. უნდა გადამეღო ისიც, ვინ რას და როგორ იპარავდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ოსაკაში (ჯერ ტოკიოში გავმართეთ სპექტაკლები, შემდეგ ოსაკაში.) ასეთი რამ მოხდა: დილის 5 საათზე ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი ამოვიდა ნომერში, გაგვაღვიძა, ხელში ორი ფერადი ფოტოსურათი ეჭირა. **„ორი პოლიციელია მოსული, ერთ-ერთ სუპერმარკეტში ძარცვის ფაქტზე დაგაფიქსირეს“,** – გვითხრა მან. ჩემს მეგობარს, ზვიად ხვედელიძეს, ლამის ენა დაება. მე კი თავდაპირველად ხუმრობად მივიღე. ქვემოთ რომ ჩავედით, ორი პოლიციელი, სუპერმარკეტების ქსელის **„ფემილი მარკეტის“** მეპატრონეები (ცოლქმარი) და **„ჯაპანა არტის“** წარმომადგენელი დაგვხვდნენ. ფოტოებზეც ისეთი საგანგაშო არაფერი იყო, გარდა იმისა, რომ ხელში ვისკის ბოთლი მეჭირა. ვუთხარი, ამ ვისკიში ფული გადავიხადემეთქი და ვიდეომასალის წარმოდგენა მოვითხოვე. ვიდეომასალა არ აღმოაჩნდათ, არც ფაქტზე დავუჭერივართ.

**– მაგრამ ხომ ამბობთ, რომ ერთ პროდუქტს რომ შეიძენდით, მეორეს ხელს აყოლებდით?**

– თუ ფაქტზე არ დაგაკავეს, ასეთი რამ ვერ მტკიცდება. ვიდეომასალაც რომ ამოიღონ, იქაც ჩანს, რომ გასასვლელში მოლარეს ფულს უხდი. მოკლედ, ქართველებმა დამასმინეს, თორემ პოლიცია ვერ მოგვაკვლევდა. ეს ეჭვი მაშინვე გამიჩნდა და არც შევმცდარვარ, საქართველოში ჩამოსულს მითხრეს, ნინო ანანიაშვილს ჯგუფის ხელმძღვანელად უნდა დაენიშნე და ასეთ შარში თავი რატომ გაყავიო. ე.ი. იმ კაცის თანამდებობა უნდა დამეკავებინა, ვინც დაგვასმინა. ასე ჩამოიცილა გზიდან კონკურენტი. ხვედელიძეს ისედაც ეწურებოდა ხელშეკრულების ვადა, რომლითაც დასში დაქირავებული იყო. მესამე **„ეჭვმიტანილის“,** ირაკლი ბახტაძის ფოტო კი ჯგუფის ხელმძღვანელმა გვიან გამოაჩინა, რაც მაინცდამაინც არ უნდოდა, მაგრამ ისეთი ამბავი ავტეხე, რომ სხვა გზა არ ჰქონდა. ირაკლი ბახტაძე სოლისტი იყო, მართლაც პროფესიონალი მოცეკვავე, რომელიც წლების განმავლობაში ნინო ანანიაშვილს უწევდა პარტნიორობას. ჯგუფის ხელმძღვანელმა მაშინ გვითხრა, ნინოს არაფერს ვეტყვი, ოღონდ ახსნა-განმარტება დაწერეთ და ხელი მოაწერეთ, დანაკლისის საფასურს გადავიხდით და ამით დამთავრდება ყველაფერიო. თუმცა, ეს დაპირებაც ცრუ აღმოჩნდა. სუპერმარკეტის მფლობელებმა იჩივლეს და ქართულ მხარეს 100 ათასი იენის გადახდა მოუხდა. დასის წევრთაგან ერთ-ერთმა თქვა, ვანო მერაბიშვილი ოსაკაში ჩვენს სპექტაკლს, **„რომეო და ჯულიეტას“** დაესწროო. რატომღაც არა ტოკიოში, არამედ მაინცდამაინც ოსაკაში მოუნდა მინისტრს **„რომეო და ჯულიეტას“** ნახვა. ის ამ ინციდენტიდან ორი დღის შემდეგ ჩამოვიდა.

მოკლედ, მე და ხვედელიძე მოგვხსნეს სპექტაკლიდან, დეპორტაცია კი ნამდვილად არავის გაუკეთებია. იცით, ყველაზე მეტად რამ დამთრგუნა? ჩვენზე ასეთი ამბავი ატყდა და ვინც სურათებით თავზე დაგვადგა, მან ერთ-ერთ მაღაზიაში ქურთუკიც კი მოიპარა. ცხადია, ქურდობას გამართლება არა აქვს, არ არის ქრისტიანის შესაფერისი, მაგრამ ნუ გგონიათ, სხვა თეატრებში ანგელოზები სხედან! ადრეც არაერთი შემთხვევა ყოფილა, მაგრამ საქმე ჩაუფარცხავთ. ირაკლი ბახტაძე და ზვიად ხვედელიძე დღემდე დუმილს არჩევენ. ბახტაძე ერთ თვეში უკანვე დააბრუნეს, რადგან შემცვლელი ვერ იპოვეს. ნინომ კი ჩამოიყვანა დიდი ბრიტანეთიდან და ახალი ზელანდიიდან სოლისტები, მაგრამ პროფესიონალიზმით ბახტაძეს ბევრად ჩამორჩებოდნენ. მერე ისევ ფინანსურ საკითხზე მოხდა გაუგებრობა და ბახტაძე დასიდან ისევ გაუშვეს. ის თურქეთში რომელიღაც თეატრმა მიიწვია. მე დოიაშვილი დამპირდა ღონისძიებებში ჩართვას, მაგრამ მოგვიანებით უარი მითხრა, რაც ვფიქრობ, დავით საყვარელიძის ზეგავლენით იყო გამოწვეული.

ისევ ფინანსურ საკითხს მივუბრუნდები. ჩვენთან, როგორც წესი, ნემსის ქურდი ქურდად ითვლება, აქლემისა კი არა. ძალიან მაინტერესებს, რა ეწერა იმ კონტრაქტში, რომელიც ნინო ანანიაშვილმა **„ჯაპანა არტთან“** გააფორმა. თავის დროზე, სტუდია **„ჯიენესის“** ჟურნალისტმა იმედა დარსალიამ (რომელიც ამჟამად ივანიშვილის პრესსპიკერია) სცადა კონტრაქტის ასლის გამოთხოვა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ოპერის ხელმძღვანელობამ გაასაიდუმლოა ეს დოკუმენტი.

2005 წელს მიღებულ შრომის კოდექსში ვიპოვეთ ჩანაწერი, რომლითაც გაირკვა, რომ ჩვენთვის უცხო სახელმწიფოში დღიურად 130 აშშ დოლარზე ნაკლები არ უნდა მოეცათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტრაქტი შრომის კანონმდებლობასთან შეუსაბამო იქნებოდა და მასზე ხელმოწერის უფლება ქართულ მხარეს არ ჰქონდა. ე.ი. ჩვენ 80 დოლარით ნაკლებს გვიხდიდნენ.

იაპონიაში გატარებული დღეები მოცეკვავეთა რაოდენობაზე, ამ 130-ზე გადავიანგარიშეთ და დანაკლისი მინიმუმ 170 ათასი დოლარია. ამას იურისტებიც გვიდასტურებდნენ, მაგრამ ამ საკითხზე საჯაროდ არავის არაფერი უთქვამს. მოვა დრო და ყველაფერი ითქმება. რაში სჭირდებოდა ნინოს, ჩვენთვის განკუთვნილი ფული რომ ჩაიდო ჯიბეში, რა აკლდა: სახელი, მატერიალური კეთილდღეობა, დიდების გვირგვინი თუ კვარცხლბეკი?! ტოკიოში ლამის ღმერთად ჰყავდათ გამოცხადებული და რაში აწყობდა ასეთი ამბავი?

საერთოდ, საყვარელიძე და ანანიაშვილი ერთად წყვეტდნენ ფინანსურ საკითხებს. ჩვენამდე ვერ აღწევდა ბიძინა ივანიშვილის დახმარება, რომელიც ნინო ანანიაშვილს უნდა გაენაწილებინა. კულუარებში ამბობდნენ, ნინომ ივანიშვილს უთხრა, ფულს სპექტაკლების დადგმას მოვახმარ, ნაშთს თავად გავანაწილებ, მოკლედ, მსახიობებს მე თვითონ მოვიმადლიერებო. ის სპექტაკლები კი მილიონად ან მილიონ-ნახევრად იყო შეფასებული. მეორე საკითხია, რა თანხა რისთვის იხარჯებოდა და ხდებოდა თუ არა მისი გაწერა. როგორც ვიცი, უცხოელი მსახიობების ანაზღაურება ქაღალდზე 30.000 ან 50.000 ლარი იყო დაფიქსირებული. ჩვენ კი ნინო სახელფასო დანამატის სახით ივანიშვილის ფულიდან მხოლოდ 50 ლარს გვაძლევდა, სოლისტებს – 100 ლარს(!).

დეკორაციებისა და სხვა საჭიროებისთვის განკუთვნილი ხარჯებიც ცალკე დასაანგარიშებელია. დათო საყვარელიძემ უამრავი გამოსაყენებელი დეკორაცია გაანადგურა იმ საბაბით, შესანახი ადგილი ვერ მოვუძებნეთო. საინტერესოა, ვისი თანხებით აღდგება ისინი? ახლა ოპერას **„მეგობართა საბჭო“** ეყოლება, რომლის დამფუძნებელიც კეზერაშვილი, ხოლო თავმჯდომარე გიგი უგულავა იქნება! აქამდე ბიძინა ივანიშვილზე უფრო დიდი მეგობარი ოპერისა და ბალეტის თეატრს არ ჰყოლია.

თეატრის ხელმძღვანელი დავით საყვარელიძე **„ყვარყვარეს“** პროტოტიპია, კაბინეტში უკიდია სურათი, რომ გადააბრუნებ, ერთ მხარეს სააკაშვილს უყურებ, შემოაბრუნებ და ივანიშვილი გიმზერს. მოკლედ, გააჩნია, ვის ესაუბრება დავით საყვარელიძე!.. ასე რომ, მივმართავ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, იქნებ დაინტერესდეს და მოითხოვოს ინფორმაცია, რაში იხარჯებოდა ამ ხნის განმავლობაში ოპერისა და ბალეტის თეატრისთვის გაცემული მისი თანხები! ჩვენ, ფაქტობრივად, არ ვიღებდით სახელფასო დანამატებს.

ოპერისა და ბალეტის თეატრი სახელმწიფოსგან ყოველწლიურად 6-მილიონიან დაფინანსებას იღებდა, აქედან 4 მილიონი, როგორც ვიცი, სწორედ ბალეტისთვის იხარჯებოდა. ამას ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებაც ემატებოდა, ჩვენ კი მაინც უფულოდ ვიყავით.

ერთხელ სოლისტებმა ნინოს უთხრეს, ამდენს ვმუშაობთ და ფულს არ გვიხდითო. ბევრი იძულებული გახდა, სხვა ქვეყანაში წასულიყო სამუშაოდ. 2010-2011 წლებში დასი მოცეკვავეების დიდმა ნაწილმა დატოვა. საქართველოში დარჩენილი მოცეკვავეები მოხეტიალე ჯამბაზებივით არიან.

2012 წელს თეატრის გარემონტება დასრულდება, მაგრამ ეჭვი მეპარება ამ ქაოსს, რაზეც გესაუბრეთ, ბოლო მოეღოს. რაც ახლა გიამბეთ, ჩემთვის ძალზე მტკივნეულია, დარდი გულში ვერ ჩავიკალი. სიმართლე რომ ვთქვათ, ყველამ ზურგი შემაქცია, ამიტომ გადავწყვიტე სიმართლის თქმა, რომელსაც, თუ საჭირო იქნა, კვლავ გავიმეორებ, თუნდაც ზემოთ დასახელებულ პერსონებთან პირისპირ შეხვედრისას.

***P. S.* ნინო ანანიაშვილსა და მის პრესმდივანთან დაკავშირებას მას შემდეგ ვცდილობთ, რაც ივანიშვილის ქველმოქმედების ამსახველი სია გამოქვეყნდა. პრიმაბალერინა დღემდე იღებს ივანიშვილის დახმარებას და დაფინანსებას. თუმცა, „მეგობართა საბჭომ“ შეიძლება ყველაფერი შეცვალოს. იმედია, ქალბატონი ნინო ჩვენს სატელეფონო ზარებს უყურადღებოდ აღარ დატოვებს და საზოგადოების ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებს.**

***„ყველა კაცს აქვს მთვარესავით გაუნათებელი მხარე, რომელსაც არასდროს აჩვენებს“***

*მარკ ტვენი*

ეკა ასათიანი



# მიშა სააკაშვილი — მსოფლიო დონის სუპერვარსკვლავი!

***რა არის საჭირო იმისთვის, რომ იყო სუპერვარსკვლავი?***

***როგორია სუპერვარსკვლავობის კრიტერიუმები?***

***როგორ ხდება ადამიანის სუპერვარსკვლავად აღიარება და რა პრივილეგიებს ანიჭებს სუპერვარსკვლავის სტატუსი ჩვეულებრივ მოკვდავს?***

პირველი და უმთავრესი — სუპერვარსკვლავი აუცილებლად (!) უნდა იყოს ქარიზმატული პიროვნება. ჩემი უდავოდ დაკვირვებული და ფრიად გამჭრიახი მკითხველი დამეთანხმება, რომ შესაძლოა, მიშა სააკაშვილს ბევრი რამ დაუწუნო, მაგრამ ქარიზმატულობას ნამდვილად ვერ დაუწუნებ!

სუპერვარსკვლავი აუცილებლად უნდა იყოს არაორდინალური. მისი არაორდინალური ქმედებები და გამონათქვამები (მოსწავლეების ბუჩქებისაკენ მითითება, ვერა ქობალიასთან ერთად ლიფტში გაჭედვის შემდეგ სასტუმროს მომსახურე პერსონალის სკამის ფეხით ცემა, ზღვის პირზე ტიტველად ტანტალი, ველოსიპედით ბრიფინგის ჩატარება და სხვა უამრავი) გამუდმებით უნდა იყოს მასების სასაუბრო თემა.

ცხადია, უნდა იყოს მუდამ ორიგინალური. მიშას მიმართ ყველაზე კრიტიკულად განწყობილი ადამიანიც კი ვერ უარყოფს, რომ ჩვენი ბედნიერი პრეზიდენტი ფრიად ორიგინალურია. მისი ორიგინალურობა იგრძნობა ყველგან. ისეთ შემთხვევებშიც კი, როგორიცაა ობიექტების გახსნა, სადაც **„ბექებში“** სუფთა და ქათქათა უნიფორმებში გამოწყობილი მუშები საქმიანად ფუსფუსებენ, ან როცა მთავრობის სხდომებს ატარებს მშენებარე სახლების სახურავებზე თუ მინდვრებსა და ტყე-ველებში.

სუპერვარსკვლავს უნდა ჰქონდეს სხვებისგან გამორჩეული ე.წ. **„საფირმო“** მანერები და დამახასიათებელი ქცევები. ცხვირის ხელითს თითებით მოწმენდა (რაც, სხვათა შორის, ნარკომანებისთვისაცაა დამახასიათებელი), სიარულის მანერა, გამორჩეული მეტყველება, სიცილიც კი... — ეს არის ფაქტები, რომელიც მიშას სუპერვარსკვლავობას მოწმობს.

სუპერვარსკვლავი უნდა იყოს ფრიად ემოციური, არტისტული... უნდა ბრაზდებოდეს არტისტულად და უნდა უხაროდეს არტისტულად. მის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა, მისი ყოველი ქმედება, მიხრა-მოხრა ისეთი მაღალი დონის სანახაობა უნდა იყოს, რომელსაც თვალს ვერ მოსწყვეტ (მაგრამ, არა მგონია სასიამოვნო ყოფილიყო მისი ღრიალით ნათქვამი **“ნულოვანი ტოლერანტობა”**).

მისი ყოველი საჯარო გამოსვლა უნდა იყოს ამაღელვებელი და რეზონანსული. ის ყოველი **„სფიჩისას“** (ვიცი ამ სიტყვის ქართული შესატყვისი, მაგრამ მოდურია ახლა ინგლისური სიტყვების ბრახა-ბრუხი) თუნდაც სამ ისეთ ფრაზას მაინც უნდა ამბობდეს, რომელთა წარმოთქმიდან მინიმუმ 3 წუთში ფორუმებზე თემები გაიხსნება.

სუპერვარსკვლავი უნდა დგამდეს შოუებს. სხვა რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მიშას შეხვედრა ხალხთან — ეს ხომ ჭეშმარიტი შოუა!

სუპერვარსკვლავს უდავოდ უნდა ჰყავდეს ფანები, რომლებიც ხმის ჩაწყვეტამდე უნდა გაჰყვიროდნენ მის სახელს.

მას უნდა ეთაყვანებოდნენ, უნდა აკერპებდნენ. არსებობს არაერთი კადრი, რომელზეც მიშას თაყვანს სცემენ. ამას აკეთებენ მოურიდებლად, დღისით, მზისით, ტელეკამერების წინ. ასეთი ტიპის სანახაობები ბოლო პერიოდში სულ უფრო მატულობს. მიშა მარნეულში, მიშა კახეთში, მიშა ზუგდიდში... დიახ ჩემო მკითხველო, მესმის, რომ ამაზრზენია ამ ყველაფრის ხილვა. ხილვა იმისა, თუ როგორ ეთაყვანება ასობით გაჭირვებული ადამიანი კერპს და როგორ უკოცნის ხელებს. კი, ეს მართლაც ამაზრზენია, მაგრამ აბა რანაირი სუპერსტარი იქნებოდა მიშა, ასე რომ არ ხდებოდეს...

სუპერსტარი არ ხარ, თუ ადამიანებს შენი პლაკატები არ აქვთ გაკრული. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი საცხოვრებელ სახლებში გაკრული მიშას პლაკატები. რაღა დაგიმალოთ, აგერ უკვე მერვე წელია ბებიაჩემის მისაღებ ოთახს **„ამშვენებს“** მიშას, როგორც ბებიაჩემი ეძახის, **„ჩვენი ბიჭის“** დიდი პლაკატი...

რანაირი სუპერსტარი ხარ, თუ შენზე არ ამოსდით მზე და მთვარე და თუ შენზე არ ლოცულობენ. ბევრ თქვენგანს ემახსოვრება ვიდეო, სახელწოდებით **„მიშასთვის მლოცველები“**, რომელიც რამდენიმე თვის წინ ინტერნეტჰიტი გახდა.

სუპერსტარს უნდა უძღვნიდნენ ლექსებსა და სიმღერებს.

სუპერვარსკვლავზე ყოველთვის უნდა ჭორაობდნენ. გამუდმებით უნდა ისმოდეს ამბები, თანაც იმდენი, რომ უნდა ჭირდეს მათგან ტყუილისა და მართალის გარჩევა.

წარმოუდგენელია სუპერსტარობა სექსსკანდალების გარეშე. მიშამ ამაზეც იზრუნა და ამის მაგალითებიც არსებობს, თუმცა ბევრი მაგალითის მოყვანას, მიშასი და დოქტორ დოტის ისტორიაც კმარა.

სუპერვარსკვლავზე გამუდმებით უნდა წერდეს პრესა;

სუპერვარსკვლავი ყოველდღიურად უნდა იყოს ტელეეკრანებზე; შესაბამისად, ის უნდა იყოს ტელეჟურნალისტების საყვარელი პერსონა. თავადაც მოგეხსენებათ, როგორ გიჟდებიან ჩვენი ტელევიზიები მიშაზე...

სუპერვარსკვლავს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მაგიური გავლენა გარშემომყოფებზე. მას უნდა ჰყავდეს ქვეშევრდომები, ლაქიები, რადგან ლაქიების ყოლა სუპერსტარის ფიგურას მეტ სოლიდურობას სძენს.

სუპერვარსკვლავის სიტყვა კანონი უნდა იყოს და ეს ხომ მიშას შემთხვევაში უდავოდ ასეა, როგორც გადატანითი, აგრეთვე პირდაპირი მნიშვნელობით.

სუპერვარსკვლავს აუცილებლად უნდა ჰყავდეს ვარსკვლავური სამეგობრო. არა, ლელა წურწუმია, ბუბა და მის მიერ ძუძუმოჭმული სოფო ნიჟარაძე არ კმარა. სუპერსტარობა უფრო გავლენიან ვარსკვლავებთან ურთიერთობას გულისხმობს. აი, ისეთის, როგორიცაა შერონ სტოუნი, თუ შარლი სტერონი... ეს ორი სულ ერთმანეთში მერევა, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს...

სუპერსტარის ხსენებისას გვარის მითითება არ უნდა იყოს საჭირო. მისი სახელი ყველაფერს უნდა ამბობდეს.

და ბოლო და უტყუარი ფაქტები, რომელიც ჩემი მართალი სიტყვების ჭეშმარიტებას ამტიცებს: სუპერვარსკვლავი უნდა ცხოვრობდეს მდიდრულ სასახლეში. დადიოდეს ძვირადღირებული ავტომობილით და ცხადია, აუცილებლად უნდა ჰყავდეს საკუთარი ვერტმფრენი და **“ბოინგი”**.

**რ. შალამბერიძე**



# „საქართველოში ძალიან ცოტა ადამიანი მიირთმევს ხილ-ბოსტნეულსა და თევზეულს"



საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ორწლიანი სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველოში არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესი ინერგება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2011 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში სიკვდილიანობის 91% არაგადამდები დაავადებებითაა გამოწვეული. აქედან 71% გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე მოდის, 12% — კიბოზე; 2% — დიაბეტზე; 1% — ქრონიკულ რესპირატორულ დაავადებებზე; სხვა არაგადამდები დაავადებებით სიკვდილიანობის მაჩვენებელი კი 5%-ია.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მეთოდოლოგიითა და სტანდარტიზირებული ინსტრუმენტების გამოყენებით, არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორების კვლევა ჩაატარა. კვლევის თანახმად, თამბაქოს რესპოდენტთა 30,3% მოიხმარს (55% — მამაკაცი, 4,8% — ქალი). საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე, ალკოჰოლის მოხმარებაც ძალიან მაღალია — 78,5%. აქედან 90,3% მამაკაცებზე მოდის. რესპოდენტთა 69,6% დღიურ ულუფაზე 5-ჯერ ნაკლებ ხილსა და ბოსტნეულს იღებს. 5% საერთოდ არ იკვებება ხილ-ბოსტნეულით; გამოკითხულთა 21,6% დაბალი ფიზიკური აქტივობით გამოირჩევა. ეს მონაცემი დედაქალაქში უფრო მაღალია.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ფიზიკურ აქტივობაში გაცილებით ნაკლებ დროს ხარჯავენ ქალები. გამოკითხულთა 20,9%-ს უზმოზე მცირე გლიკემია (სისხლში შაქრის არსებობა), 16,3%-ს სისხლში გლუკოზის მაღალი მაჩვენებელი და 18,1%-ს ქოლესტერინის მაღალი მაჩვენებელი დაუფიქსირდა. კვლევის თანახმად, მოსახლეობის 93,6% ერთი ან მეტი არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორის ზემოქმედებას განიცდის. 45 წელს გადაცილებული მოსახლეობის 49,7%-ს არაგადამდები დაავადებების მაღალი რისკი აქვს.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ანდრია ურუშაძის განმარტებით: **„გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის ქრონიკული და ონკოლოგიური დაავადებები, დიაბეტი, ჩვენს მოსახლეობას ძალიან აწუხებს, ამიტომაც მათი პრევენციისა და სამედიცინო განათლების ამაღლების კუთხით, უნდა შევიმუშაოთ პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს როგორც ავადობის, ისე სიკვდილიანობის რიცხვს. 2011 წლის სექტემბერში, გაეროში ჩატარდა შეხვედრა, სადაც ჯანდაცვის მსოფლიო ექსპერტებმა აქცენტები არაგადამდებ დაავადებებზე გააკეთეს. მათ განაცხადეს, რომ არაგადამდები დაავადებების მაღალი მაჩვენებელი, სახელმწიფოსთვის დიდ ეკონომიკურ დანახარჯებსაც წარმოადგენს. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში გარდაცვლილთა დიდი წილი არაგადამდებ დაავადებებზე მოდის, ამიტომ საჭიროა, ჯანდაცვის პოლიტიკა და სტრატეგია სწორად დავგეგმოთ. ეს იქნება სიღარიბის დონის შემცირების ღონისძიებაც, რაც ხელს შეუწყობს ნაკლებ ადამიანს შეექმნას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ეს კი, პირდაპირ კავშირშია თითოეული ოჯახის ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის საჭიროა როგორც სწორად გამართული ეკონომიკური პოლიტიკა, ასევე ჯანმრთელი საზოგადოება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალაა“.**

საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ოთარ თოიძის თქმით: **„მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან, ჯანდაცვის სამინისტროსთან და დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად შევქმნით სამუშაო ჯგუფს, რათა სწორი ნაბიჯები გადავდგათ”.**

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა სამსახურის უფროსის, ქალბატონ **ლელა სტურუას** განმარტებით კი: **„განვიხილავთ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც შეიქმნა 4 ძირითადი არაგადამდები დაავადებების პრევენციისთვის (გულ-სისხლძარღვთა, ქრონიკული რესპირატორული დაავადებები, დიაბეტი, კიბო). საქართველოში ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ სხვადასხვა არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორებია თამბაქოს მოხმარება, ალკოჰოლის ჭარბი მიღება, დაბალი ფიზიკური აქტივობა და არაჯანსაღი კვება. სამწუხაროდ, კვებითი რისკის ქვეშ საქართველოს მოზრდილი მოსახლეობის 70% იმყოფება, თამბაქოს მომხმარებელია 30%, 56%-ს კი ჭარბი წონა აწუხებს. თუმცა, ამაზე საგანგაშოა ის, რომ საქართველოს მოსახლეობის ძალზე მცირე რაოდენობა ღებულობს ხილ-ბოსტნეულსა და თევზეულს. მოქალაქეები, ძირითადად, დიდი რაოდენობის პურსა და პურ-პროდუქტებს მოიხმარენ. ასევე, ხშირია ტკბილეულის მოხმარებაც. ამას დამატებული დაბალი ფიზიკური აქტივობა ჭარბი წონისა და სიმსუქნის შემზარავ სურათს გვაძლევს. ეს კი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, დიაბეტს, ფილტვის ქრონიკულ სნეულებებს და კიბოსაც იწვევს”.**

**ნ. ხარშილაძე**

გაზეთ „ილორს“ კი მიაჩნია, რომ ყველა ამ სიბოროტის სათავე ის „ნაციონალური“ ხელისუფლებაა, რომელიც ქართველ ხალხს არც ნორმალური კვებისა და არც ნორმალური მკურნალობის საშუალებას არ აძლევს!

## (ნაწყვეტები გაზეთ “ასავალ-დასავალისათვის” მიცემული ინტერვიუდან)

ბიძინა ივანიშვილს არ უნდა აღიაროს, რომ რესპუბლიკელები არიან ქართველი ხალხის მტრები! ეს კი საზიანოა არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისათვის, არამედ სრულიად საქართველოსთვისაც, რომელიც სააკაშვილის რეჟიმისაგან განთავისუფლებისათვის იბრძვის!..

აუცილებლად უნდა გავიხსენო **„ვაშინგტონ პოსტში“** გამოქვეყნებული ბიძინა ივანიშვილის წერილი ბარაქ ობამასადმი! ბატონი ბიძინა წერს: **„საპარლამენტო არჩევნებში წარმატების შემთხვევაში, მე და ჩემი პარტნიორები ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ სრულად განვახორციელებთ საქართველოს მიერ დეკლარირებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს და ჩამოვაყალიბებთ მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემას...“**

საქართველოს მიერ დეკლარირებული საგარეო-პოლიტიკური კურსი არის მიხეილ სააკაშვილის მიერ არჩეული მონობის კურსი! ანუ, რა გამოდის, ბიძინა ივანიშვილი ობამას შეჰპირდა მიშას გზით ვივლიო?!.

ამერიკის ინტერესები კარგად არის ცნობილი: ამერიკელების ოცნებაა პლანეტარული იმპერიის შექმნა და სხვა ერების გაამერიკელება! ამერიკელთა ოცნებაა მცირე ერების მიწის პირისაგან აღგვა და გადაგვარება! რა შუაშია აქ ქართული ოცნება? ჩემთვის ქართული ოცნება არის ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის წარმატებით დასრულება და ჩვენი ტრადიციების, ეროვნულობის, ქრისტიანული ცნობიერების და ზნეობის გადარჩენა...

სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ბიძინა ივანიშვილმა არა მხოლოდ პროამერიკული ძალები, არამედ მთელი საქართველო უნდა გააერთიანოს...

**ელიზბარ ჯაველიძე,**
**აკადემიკოსი**

# ინტერვიუ ალექსანდრე პუშკინთან

გაზეთმა **"კომსომოლსკაია პრავდამ"** ალექსანდრე პუშკინთან დღევანდელი რუსეთისთვის საჭირბოროტო საკითხებზე ინტერვიუ **"ჩაწერა"**. რესპოდენტი ჟურნალისტის კითხვებს მეცხრამეტე საუკუნიდან პასუხობს. კითხვებზე პასუხებად პოეტის დღიურებიდან, სტატიებიდან და წერილებიდან ამონარიდებია გამოყენებული.

**– ალექსანდრე სერგეის ძევ, მოდით პირველ რიგში გასტერბაიტერებზე (სამუშაოდ ჩამოსულებზე) ვთქვათ ორიოდ სიტყვა – დღეს ისინი, რაღაც, განსაკუთრებით ანერვიულებენ რუსებს. თქვენი წინაპრებიც ხომ „ჩამოსულები" იყვნენ, ასე რომ, თქვენთვის ახლობელი თემა უნდა იყოს..**

– ერთ გაზეთში (თითქმის ოფიციალურში) ნათქვამი იყო, რომ ჩემი პაპის მამა, პეტრე პირველის ნათლული და აღზრდილი, გენერალ-ანშეფი – ერთმა შკიპერმა ერთი ბოთლი რომის ფასად იყიდა. ჩამოსულს ეპატიება, რომ რუსები და რუსეთი არ უყვარდეს, არც მისი ისტორია, მისი დიდება. მაგრამ არ არის მოსაწონი, იმ სითბოს სანაცვლოდ, რომელსაც აქ იღებს, ტალახში ამოსვაროს ჩვენი მატიანის წმინდა ფურცლები, ლანძღოს ჩვენი ღირსეული მოქალაქეები – არა მხოლოდ თანამედროვენი, არამედ დიდი ხნის გარდაცვლილნიც. (წყარო – **„ზოგიერთი ლიტერატურული ბრალდების ასახვის ცდები"**).

**– მოდით თქვენი სიმაღლიდან გადმოხედეთ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებას: აქ ჩვენ გლამურიც გვაქვს, მიტინგიც, რუბლიოვკაც, გაზიც მოედინება, ფულიც შრაშუნებს, ყველა რაღაცას ჩალიჩობს, ჩინოვნიკები, დეპუტატები, პედოფილები, მანიაკები, ბანკირები, ოლიგარქები.. არ გაქვთ ამის შემხედვარეს შეგრძნება, რომ რაღაც დიდ უაზრობასთან გვაქვს საქმე?**

– დიახ, უნდა ვაღიარო, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება – მოსაწყენი რამ არის. საზოგადოებრივი აზრის არარსებობამ, იმ ყველაფრისადმი გულგრილობამ, რაც ჩვენი ვალია, რაც სამართლიანობასა და ჭეშმარიტებას წარმოადგენს, ამ ცინიკურმა სიძულვილმა ადამიანური აზრისა და ღირსებისადმი – ნამდვილად შეიძლება მიგიყვანოს სასოწარკვეთამდე. კარგი ქენით, რომ ხმამაღლა თქვით ეს. (წერილი პ.ი. ჩაადაევისადმი, 1837წ).

**– ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ კორუფციაზე, ხაზინის ძარცვაზე, ოლიგარქებზე, ყველაფერს საკუთარ ჯიბეში რომ მიაქანებენ. მაგრამ, შედეგი?! აი, თქვენ წერდით ეკატერინე მეორის მისტიფიკაციებზე – ისტორიაში იგი დარჩა, როგორც თავისუფლად მოაზროვნე, არადა, მის დროს, როგორც არასდროს, გაიფურჩქნა რუსეთში ყველა ეს უბედურება.**

– პატივმოყვარეობა ამ ეშმაკი ქალის მბრძანებლობის წესი იყო. თავისი მბრძანებლების უზნეობას შეგუებული ხალხის სუსტი დრტვინვა, კიდევ უფრო აქეზებდა მას უგვანო საქციელისკენ. არ იყო საჭირო არც ჭკუა, არც დამსახურება, არც ტალანტი.. აქედან წარმოიშვნენ უზარმაზარი მამულების მფლობელი აქამდე უცნობი გვარები და ღირსებისა და პატიოსნების არმქონე მაღალი კლასი. კანცელარიიდან დაწყებული უკანასკნელ პროტოკოლის მუშაკამდე, ყველა იპარავდა და იყიდებოდა. (**„მე-18 საუკუნის რუსეთის ისტორიის შესახებ"**).

**– რატომ ხდება, რომ ყველა რუსი, რომელმაც ქონება დააგროვა, სულერთია „დერჟავნიკი" თუ ლიბერალი, თითქოს თაფლი უსვიაო, ლონდონში გარბის. თვითონ თუ არ წავიდნენ, ბავშვებს მაინც გააგზავნიან. რას წარმოადგენს ეს „ახალი რუსების" ინგლისი?**

– ინგლისი პაროდიისა და კარიკატურის სამშობლოა.(**„ლიტერატურულ გაზეთში"** დაბეჭდილი პუბლიკაციიდან. 1830წ).

**– გამარჯობა შენი. იქიდან მოდის ჩვენთან ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, თქვენ კი ამბობთ – „კარიკატურა," „პაროდია". მაგრამ ჭეშმარიტი დემოკრატია? - ამისათვის ჩვენი დეპუტატები სპეციალურად დადიან თავის მოსადრეკად ზღვისიქითა ელჩებთან. თქვენ იქნებ ამერიკაც არ გეპიტნავებათ?**

– რამდენიმე სერიოზული გონება ახლახან ამერიკელთა ზნისა და დებულებების შესწავლით დაკავდა. მათმა დაკვირვებებმა კვლავ წამოჭრეს კითხვები, რომლებიც დიდი ხნის გადაწყვეტილი გვეგონა.. თვალწინ წარმოგვიდგა საზიზღარ ცინიზმში გახვეული დემოკრატია, თავისი სასტიკი ცრურწმენებით და აუტანელი ტირანიით. ყოველივე კეთილშობილი, უანგარო, ადამიანის სულის ამამაღლებელი – დათრგუნულია შეუბრალებელი ეგოიზმითა და კეთილდღეობისადმი ვნებით. (სტატია **„ჯონ ტერნერი"**)

**– აჰა, გასაგებია. თქვენც რუსეთის განსაკუთრებულ გზაზე საუბრობთ...**

– გაიგეთ, ბოლოს და ბოლოს, რუსეთს არასოდეს არაფერი ჰქონია საერთო დანარჩენ ევროპასთან. მისი ისტორია სხვანაირ აზროვნებასა და ფორმულირებას მოითხოვს (სტატია **„სახალხო აღზრდაზე"**).

**– როგორ შეიძლება ასეთი ფხიზელი ხედვით კონფლიქტი არ გქონდეს დღევანდელ ხელისუფლებასთან? აი, ჩვენი „ოქროს ახალგაზრდობა" ინტერნეტში გოდებს – ან უნდა გავიქცეთ ამ ქვეყნიდან, ანდა, ხელისუფლება გავაქციოთ. თქვენ რას ურჩევდით?**

– მიუხედავად იმისა, რომ ხელმწიფესთან გულითადი დამოკიდებულება მაქვს, სულაც არა ვარ აღტაცებული ყველაფერი იმით, რასაც ჩემს ირგვლივ ვხედავ. ეს მე, როგორც ლიტერატორს – მაღიზიანებს, ხოლო, როგორც მორწმუნე ადამიანს – შეურაცხმყოფს, მაგრამ ღირსებას ვფიცავ, არაფრის გულისათვის ამქვეყნად არ ვისურვებდი სხვა სამშობლოს, ანდა მის სხვანაირ ისტორიას, გარდა იმისა, როგორიც ღმერთმა გვიბოძა და გვაქვს. (წერილიდან ჩაადაევისადმი. 1836წ).

**– სამართალდამცავ ორგანოებთან დაკავშირებით ჩვენც თქვენსავით ცუდად გვაქვს საქმე. რეფორმებს ატარებენ, ახალ სახელს არქმევენ, ახალ ფორმას უკერავენ...**

– ქუჩაში უსაფრთხოდ ვერ გაივლი. სუხტელინს დაესხნენ თავს სასახლის მოედანზე და გაძარცვეს. როგორც ჩანს, პოლიცია პოლიტიკითაა დაკავებული და არა ქურდების დევნით. გასულ ღამეს ბლუდოვიც გაქურდეს. (დღიურიდან. 1831წ).

**– რა აზრისა ხართ იმაზე, რომ ჩვენს დროში მასმედია ცდილობს ხალხი წვრილმანებითა და სკაბრეზული ამბებით გაართოს. თითქოს ხალხი ამას თავად ითხოვდეს...**

– ჩვენც არ გვაკმაყოფილებდა ცნობილი ადამიანების დანახვა **„შეფუთულად"**, გვინდოდა საძინებელ ოთახში შევყოლოდით.. არ მშურს იმ ადამიანების, რომლებიც ჩვენი ამორალურ ცნობისმოყვარეობაზე აკეთებენ გათვლას და ამგვარ ამბებს უძღვნიან საკუთარ კალამს. (სტატია **„თავად-აზნაურობაზე"**) .

**– ჩვენი დროის სკანდალები როგორ მოგწონთ, როდესაც ყველა საიდუმლო ცნობილი ხდება? – სახელმწიფო პირების მიმოწერას „ვიკილიქსი" აქვეყნებს, მოქალაქეთა ინტიმურ წერილები მობილური ქსელებიდან და ელექტრონული საფოსტო ყუთებიდან ამოაქვთ?**

– იმის გაფიქრებაც, რომ ვიღაც ჩვენს საუბარს ისმენს, მაცოფებს. პოლიტიკური თავისუფლების გარეშე ცხოვრება შესაძლებელია, მაგრამ ოჯახური ხელშეუხებლობის გარეშე – არა. ამას კატორღა სჯობს. (ცოლისადმი მიწერილი წერილიდან.)

**– სამყარო გადარეულია მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის იდეით. ქალებს ხელისუფლებაში მოსვლა ხიბლავთ. იქნებ ეს სწორედ ისაა, რაც რუსეთს აკლია?**

– საქმე ისაა, რომ ქალები ყველგან ერთნაირნი არიან. ბუნებამ ისინი დახვეწილი გონებით და მგრძნობიარებით დააჯილდოვა. თუმცა, მშვენიერების შეგრძნების უნარი მოაკლო. პოეზია მათ სმენას ეხება, მაგრამ სულამდე ვერ აღწევს. ყური მიუგდეთ, როგორ საუბრობენ ლიტერატურაზე. გაგაოცებთ მათი დამახინჯებული მსჯელობა და აღქმის სიუხეშე. გამონაკლისი იშვიათად შემხვედრია. (**„ნაწყვეტები წერილებიდან, აზრები და შენიშვნები."**)

**– მარტში პრეზიდენტის არჩევნები გვაქვს, ახლა მხოლოდ ამაზე ლაპარაკობენ. კანდიდატები ერთმანეთს ეჯიბრებიან ორატორობაში. რას ურჩევდით მათ?**

– უნდა ეცადონ, რაც შეიძლება მეტი ხმა მოაგროვონ, ხოლო სულელებს შეურაცხყოფას ნუ მიაყენებენ.(**„ნაწყვეტები წერილებიდან, აზრები და შენიშვნები"**).

**– ყველაზე მეტად, როგორც რუსს, რა გაწუხებთ? რაში გამოუტყდებოდით, მაგალითად, საკუთარ ცოლს სამზარეულოში?**

– ორი რამ მაწუხებს: უფულოდ რომ დაგტოვე და, შეიძლება, მშიერიც. (ცოლისადმი მიწერილი წერილიდან.)

ინტერვიუ ჩაიწერა
დ. შალიკაშვილმა

# სოსო ჯაჭვლიანი – სააკაშვილის გუნდისგან განსხვავებით, სლავ მდედრებს არ ვართ დახამებულები...

**„დღევანდელ სიტუაციას ღვინის დუღილის პროცესს შევადარებდი. მართალია, დიდი ხანია, ეს სიტუაცია დუღს, მაგრამ ღვინოც ასეა, – ზოგი ცოტა ხანს დუღს, ზოგიც – დიდხანს. გააჩნია, შაქრიანობა როგორია და რა ტემპერატურაზე მიდის დუღილი",** – აცხადებს სოსო ჯაჭვლიანი. მისი თქმით, ქართველი ხალხი ზომაზე მეტად შაქრიანია და არც ტემპერატურა გვიწყობს ხელს, რომ უფრო რადიკალურები ვიყოთ.

– ბევრი უბედური ზნე გვჭირს ქართველებს, ზოგს ვხვდებით, ზოგსაც - ვერა. ერთმანეთს კი არ უნდა ვუყუროთ, ყველამ თავად უნდა ვეცადოთ, ქვეყნის სასიკეთოდ რაიმე შევცვალოთ. ამ ბოლო დროს ძალიან გახშირებული პრინციპების რღვევა არ მინდა გამომრჩეს. ვაზაგაშვილის დახვრეტის დღეს აქცია ტარდებოდა და ცოტა ხალხი შეიკრიბა. არადა, წესით მთელი საქართველო უნდა გამოსულიყო ქუჩაში. მაინცდამაინც საკუთარ თავზე უნდა გამოვცადოთ ამ მტარვალების ხელით მოწეული უბედურება, რომ ჩვენი მოძმის ტკივილი გავიზიაროთ... ადრე ძმაკაცი ძმაკაცს რამე სახიფათო საქმეზე გაყოლას რომ სთხოვდა და ეტყოდა, ხომ არ გეშინიაო, იმას კიდევაც რომ შინებოდა, იტყოდა, – რისი უნდა მეშინოდეს, ბიჭოო?! ახლა მოდაში შემოვიდა, – მეშინია, რა ვქნა, ოჯახი მყავს სარჩენი, სამსახურს ვერ დავკარგავ. ვიღაცას პატარა მაღაზია აქვს და იმას უფრთხილდება, ვიღაცას დიდი მარკეტი ეძვირფასება, მაგრამ იმას კი არ ფიქრობენ, ასე თუ გაგრძელდა, მატერიალურ კეთილდღეობას კი არა, ცხოვრებასაც დაკარგავენ. ამიტომაც უნდა შეჩერდეს პრინციპების რღვევა.

**– არიან ისეთებიც, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვს, მაგრამ მაინც თავს იკავებს, ბატონო სოსო...**

– დიახ, არიან ისეთებიც, ვინც ხითხითებს, ქირქილებს და ამით თავისი უპრინციპობის გამართლებას ცდილობს... როცა ადამიანი ერთს ლაპარაკობს და მეორეს აკეთებს, ეს უკვე ლაჩრობაა. მე ვერ ჩამოვთვლი იმ ადამიანებს, ვისაც ასეთი ცხოვრების წესი აქვს, რადგან მათ შორის ჩემს თავსაც მივათვლი, მაგრამ მე ლაჩარი არ ვარ. თუ ვერაფერს ვაკეთებ, სიმართლეს მაინც ვამბობ, რასაც ვფიქრობ და რაც გულში მაქვს. არადა, ხელისუფლება წესების გარეშე უნამუსოდ ჩხუბობს, სხვა გზას არ გიტოვებს და შენც ისე უნდა ეჩხუბო. ან ყველა ერთად უნდა დადგეს და მეთოდები შევაცვლევინოთ.

ბიძინა ივანიშვილმა უკვე მოახერხა „თავისუფალი დემოკრატებისა" და რესპუბლიკელების ერთ პოზიციაზე დაყენება და იმედია, ასე გააგრძელებს. მთავარია, ოპოზიცია პრანჭიაობას მოეშვას და პატიოსნად მიუდგნენ საქმეს. თუ ოპოზიცია ერთ ძალად გაერთიანდება და გუგუნს დაიწყებს, მთავრობა იძულებული გახდება, უსამართლო კანონი შეცვალოს.

**– ბოლო დროის სიახლეებზეც ვისაუბროთ, შეცვლილ სვანეთზე... მესტიაში თამარ მეფის ძეგლი დადგეს...**

– ეს არის სვანეთისა და მთელი საქართველოს დაცინვა და მიხეილ სააკაშვილის ხუშტური. ამას წინათ ვუყურებდი ტელევიზიით, მესტიაში ჩასული პრეზიდენტი, მესტიის გამგებელი და ნიაზ დიასამიძე იმ **„შედევრს"** რომ ათვალიერებდნენ, ნიაზს სახეზე ეწერა, – ეს საზიზღრობა აქ რამ დაგადგმევინათო, მაგრამ რა უნდა ეთქვა?!.

**– რატომ ვერ ეტყოდა, ნიაზ დიასამიძეს თავისი აზრის გამოხატვა არ უჭირს...**

– ეგ ჩემი საქმე არ არის, მე იმას გეუბნებით, რაც მის სახეზე წავიკითხე – მას უნდოდა შეეფურთხებინა სააკაშვილისთვის... ეს ის რეგიონია, სადაც თამარ მეფე წმინდანად გვყავს აღიარებული. სიმღერაა მეფეზე, თამარის კოშკები გვაქვს... ჩემი გვარი იცით საიდან მოდის? – ჯაჭვი სვანურად ნაჭაა და მე ნაჭიანი უნდა ვიყო, მაგრამ ლეგენდის თანახმად, ერთხელ თამარ მეფე სვანეთში ასულა. ნადიმი რომ გაუშალეს, ერთ ახალგაზრდა, კარგ ვაჟკაცს თამარ მეფის საცეკვაოდ გამოწვევა გაუბედავს. ცეკვის მერე, თამარს ოქროს ჯაჭვი შეუხსნია და სვანი მეწყვილისთვის უჩუქებია. იმ ბიჭს თურმე ჯაჭვიანს ეძახდნენ, შემდეგ კი ჯაჭვლიანად შემორჩა ხალხში... მთელ საქართველოს დასცინის, დავით აღმაშენებლის ძეგლი აიღო და ველოსიპედის დაგვიდგა.

**– იქნებ ეს ყველაფერი სვანეთში ტურიზმის განვითარებისათვის ხდება?**

– კი, მაგის დარდით არ სძინავს მიშას და **„გასვეტებული"** სვანები ესიზმრება... ახლა თეთნულდისკენ გზები მიჰყავს, **„ხუდონჰესსაც"** აშენებენ, მე მგონი, მათ სვანეთის მთლიანად გაყიდვა უნდათ, ადგებიან და **„ოპტომ"** გაყიდიან ყველაფერს.

**– არა მგონია, სვანებმა დათმოთ...**

– როგორ ფიქრობთ, რამდენი კაცი ცხოვრობს სვანეთში?

**– 100 ათასზე მეტი უნდა იყოს...**

– მიხარია, ასე რომ გგონიათ... მიხარია, რომ ისე გუგუნებს სვანეთი, ბარშიც ძლიერად აღწევს მათი ხმა, მაგრამ ზემო სვანეთში 15 ათასამდე კაცი ცხოვრობს, მეტი არა... ამიტომაც გვიფრთხილდეს მიშა და მისი გუნდი, იქ გაკეთებული იაფფასიანი პიარით სვანურ სულს ვერ შეგვიცვლიან. თუმცა ადგილობრივთა ერთ ნაწილს მართლაც სჯერა, რომ რაღაცები შენდება და ვითარდება.

**– ერთ-ერთ ქართულ შოუში, სვანეთით აღფრთოვანებულმა უკრაინელმა მომღერალმა ივანა მელაიმ „შინა ვორგილის" „თანამედროვე" ვერსია ანსამბლ „მოძახილთან" ერთად შეასრულა. ნახეთ ეს ტელესიუჟეტი?**

– არ მინახავს, მაგრამ მითხრეს, ივანაა თუ ვინც არის, თქვა, მესტიაში მოკლე კაბით რომ გავიარე, ხალხს სასწაული რეაქცია ჰქონდაო... ასე დაწერეთ პირდაპირ – ივანასნაირი ნაშებით სვანებს ვერ გაგვაკვირვებენ. სვანეთში ტურბაზები იყო და მთელი ჩემი ბავშვობა უკეთეს ნაშებს ვუყურებდი. მთელი რუსეთის ნაშობა იქ ჩამოდიოდა და მთელი სვანეთის ახალგაზრდობა იქ დადიოდა... უკრაინელი ნაშით სვანის **„გასვეტება"** ვერ მოხდება და არც მოხდება, ჩვენ სხვა ღირებულებები გვაქვს, სხვა ფასეულობის მატარებელი ვართ. კიდევ, სააკაშვილის გუნდისგან განსხვავებით, სლავ მდედრებს არ ვართ დახამებულები. ფსიქოლოგიური წნეხი და სვანეთის გაყიდვა შემთხვევით არ მიხსენებია, – ეტყობა, ფიქრობენ, სვანებს უნდა მოვუხაზოთ, რომ ეს სხვებისთვისაც ჭკუის სასწავლებელი იყოსო, მაგრამ მორჩა, დასრულდა, ახლა ყველამ ერთად უნდა **„დავახუროთ"** და ეს რეჟიმიც დავასრულოთ.

ლ. პაპასკირი



## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

### ალექსანდრე ამისულაშვილმა „კრასნოდარს“ გაამარჯვებინა

თურქულ ბელეკში შეკრებაზე მყოფმა რუსულმა კლუბმა „კრასნოდარმა“, რომელშიც ერთაბაშად სამი ქართველი ლეგიონერი ნუკრი რევიშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი და ოთარ მარცვალაძე ირიცხებიან, საკონტროლო მატჩი ჩვენთვის ნაცნობ მოლდოვურ „დაჩიასთან“ გამართა.

„კრასნოდარის“ მთავარმა მწვრთნელმა სლავოსლიუბ მუსლინმა სასტარტო შემადგენლბაში რევიშვილი და ამისულაშვილი დააყენა.

მატჩის პირველივე წუთიდანვე ჩანდა, რომ გუნდები ჩაკეტილი ფეხბურთის თამაშს არ აპირებდნენ. „კრასნოდარის“ ფეხბურთელებმა პირველებმა შეუტიოს, რასაც „დაჩიას“ სტანდარტული მოჰყვა, კარისკენ წასული ბურთი რევიშვილმა მუშტებით მოიგერია. ამის შემდეგ ჩვენებურს კიდევ ერთხელ მოუწია თამაშში ჩართვა. ამჯერად ნუკრისთან ერთი-ერთზე „დაჩიას“ ფეხბურთელი ტუმბასოვიჩი გავიდა, თუმცა „დუელში“ ქართველმა მეკარემ იმარჯვა და თავისი გუნდი გაშვებულ გოლს გადაარჩინა.

„დაჩიას“ კარს „კრასნოდარის“ თავდამსხმელებთან ერთად გუნდს მცველებიც კი უტევდნენ.

მე-11 წუთზე მეტოქის კარის ალება ამისულაშვილმა სცადა, თუმცა უშედეგოდ.

ჩვენებურის არასახარბიელო დარტყმის შემდეგ უკვე 35-ე წუთზე კრასნოდარელმა ნიკოლას დრინჩიჩმა „დაჩიას“ საჯარიმოში ჩააწოდა, რომელსაც „კრასნოდარის“ კაპიტანმა ალექსანდრე ამისულაშვილმა თავური დარტყმით უპასუხა და მეორე შანსი ხელიდან არ გაუშვა 1:0.

მატჩის პირველი ნახევარი „კრასნოდარის“ გამარჯვებით დასრულდა. მუსლინმა შესვენებაზე მხოლოდ ერთი შეცვლა გამოიყენა. საქართველოს ნაკრების კარის დარაჯის ნაცვლად მოედანზე ევგენი გოროდოვი შევიდა.

66-ე წუთზე კი გოლის ავტორი რიაბოვმა შეცვალა.

მატჩის მეორე ტაიმში მოედანზე ოთარ მარცვალაძეც გამოვიდა, რომელმაც თავი საკმაოდ თამამი სოლო-რეიდით დაგვამახსოვრა.

როგორც კრასნოდარელთა ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მატჩის მიმოხილვაში წერია, მარცვალაძე 89-ე წუთზე პირდაპირ ოთხ მცველზე გაიწია და სამს გაცდა კიდეც, თუმცა მეოთხემ უკვე აღარ აცადა და ბურთი აართვა.

საბოლოოდ შეხვედრა ამისულაშვილის ერთადერთი გოლის წყალობით, „კრასნოდარის“ გამარჯვებით დასრულდა.

### დავით თარგამაძე: ჩემი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშია

**„შახტარში“** დავით თარგამაძის დებიუტი 1 თებერვალს შედგა: ესპანურ შეკრებაზე **„კოპა დელ სოლზე“** ნორვეგიულ **„ოდ გრენლანდთან“** მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 65 წუთი ითამაშა.

სადებიუტო მატჩის შემდეგ თარგამაძისადმი საქებარი სიტყვები არ დაუშურებია სერგეი კრივცოვს. მარიუპოლის **„ილიჩოვეცის“** მთავარ მწვრთნელი იგორ ლეონოვი კი დღემდე იმედოვნებს, რომ დავით თარგამაძეს ცოტა ხნით მაინც დაიბრუნებს.

**„რას ვიზამთ, დათო დონეცკელებს ეკუთვნის. იმედია, თავს საუკეთესოდ წარმოაჩენს და ლუჩესკუ დაიტოვებს. ასეთია ჩემი აზრი. სათამაშო სქემა მასზე არ ამიწყვია, როდესაც ჩვენთან ვარჯიშობდა, იალტაში უბურთოდ ვვარჯიშობდით, დათოც მხოლოდ დარბოდა. „ვორსკლასთან“ ამხანაგურ შეხვედრას კი სრულფასოვან მატჩად ვერც განვიხილავ, რადგან იმ მოედანზე თამაში შეუძლებელი იყო. სპარინგი მხოლოდ ფორმის შესანარჩუნებლად ჩავატარეთ.**

**უკეთესი იყო თუ არა რომ, ახლა წავიდა და არა მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ?**

**ვუსურვებდი „შახტარის“ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას. მაგრამ ღმერთმა არ ქნას, საქმე რომ არ აეწყოს, „ილიჩოვეცში“ მისი დაბრუნება გამახარებს. ის კარგი ადამიანი და კვალიფიციური მოთამაშეა, რომელსაც ყოველთვის დაეყრდნობი“,** – ამბობს ლეონოვი.

ლეონოვმა თარგამაძესთან ერთად, **„ილიჩოვეცის“** ქართველი ნახევარმცველი თორნიკე ოქრიაშვილზეც ილაპარაკა:

**„დათომ, ისევე როგორც მისმა თანამემამულე ოქრიაშვილმა, ვარჯიშების დროს თავი კარგად წარმოაჩინა. არ გამოვრიცხავ, რომ თარგამაძე ჩვენ კიდევ დაგვიბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში, მე ეს მსურს, რადგან პროფესიული თვისებების გარდა, ის კარგი ადამიანიც არის“.**

თუმცა, დათო **„ილიჩევეცში“** დაბრუნებაზე არ ფიქრობს და **„შახტართან“** ერთად ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე ოცნებობს. **„კოპა დელ სოლზე“** კი დონეცკელებმა კვლავ ნორვეგიელებთან ითამაშეს, ამჯერად, **„ტრომსოსთან“** და 1:0 გაიმარჯვა. უკრაინული გაზეთ **„ბლიკის“** ინფორმაციით, დონეცკელები ქართველს ესპანეთში მესამე შეკრებაზეც წაიყვანენ. ავტოავარიის შემდეგ, **„შახტარის“** მთავარი მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ მომჯობინდა, შესაძლოა, ესპანეთში ჩავიდეს და თარგამაძის დარჩენა-არდარჩენას გადაწყვეტს.

**„შახტარის“** პრესსამსახურმა კი თარგამაძის ვიდეოინტერვიუ ჩამოართვა, სადაც დათო საინტერესო ამბებს ყვება.

**„უკრაინაში თამაში მსურდა, რადგან ქვეყანას შევეგუე. როდესაც საქართველოში შეიტყვეს, რომ „შახტარში“ გადავდიოდი, ყველამ მხარი დამიჭირა...**

## იუმორი

* * *

**– შენ რომელ სერიალს უყურებ?**

**– „იმედზე“ 6-ზე გადის – „სად არის ელენე?“ შენ?**

**– მე „რუსთავი 2“-ზე ვუყურებ – „სად არის პრეზიდენტი?“ 12-ზე, 3-ზე, 6-ზე და 9-ზე გადის.**

* * *

**ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს.**

**– როგორ ხარ?**

**– დავიღალე, ყოველ წელს ბავშვს ვაჩენ, აღარ შემიძლია.**

**– მერე სცადე, ორი წელი ქმართან არ დაწვე.**

**– ვცადე, არ მშველის...**

* * *

**– ოდესმე ცოლთან განათებულ ოთახში თუ გქონია სექსი? – ეკითხება ერთი ძმაკაცი მეორეს.**

**– არა, მრცხვენია.**

**– აბა, სცადე, ძალიან საინტერესოა.**

**ხვდებიან მეორე დღეს.**

**– განათებულ ოთახში მქონდა სექსი, – ახარა ერთმა მეორეს.**

**– ხომ მოგეწონა?**

**– ძალიან კარგი ყოფილა, ბავშვებიც ძალიან გამხიარულდნენ.**

* * *

**– რამდენი იქნება, ხუთი გავამრავლოთ 7-ზე?**

**– 30.**

**– არ არის სწორი, ორიანი. მომიტანე დღიური.**

**– მასწ, არ იფიქროთ, რომ გემუქრებით, მაგრამ ამ დილით მამაჩემმა ჩემი დღიური რომ ნახა, თქვა, – აქ კიდევ ერთ ორიანს ვნახავ და ვიღაცას მაგრად მოხვდებაო“.**

* * *

**– ღვინო, ლუდი და არაყია შენი დაუძინებელი მტერი! – უყვირის ცოლი ქმარს.**

**– მერე, რა გინდა, წინაპრებს ვუღალატო და მტერს შევუშინდე?!**

## გაიაფდება თუ არა სურსათი?

საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება მის სამრეწველო დამუშავებამდე დღგ-ის გადასახადისგან თავისუფლდება,– ინიციატივის ავტორები იმედოვნებენ, რომ ცვლილება, რომელიც საგადასახადო კოდექსში შედის, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ზრდას შეჩერებს და ზოგ შემთხვევაში, შეამცირებს კიდეც. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დღგ-ისგან გათავისუფლებას დადებითად აფასებენ ექსპერტებიც, თუმცა, აცხადებენ, რომ რეალურად დღგ-ისაგან გათავისუფლება სოფლის მეურნეობის მწარმოებლების მხოლოდ მცირე ნაწილს შეეხება და არც მნიშვნელოვანი შეღავათის მომტანი არ იქნება.

ცვლილება **„საგადასახადო კოდექსში“** შედის და პარლამენტში ინიცირებულია. ინიციატივის ავტორი საქართველოს მთავრობაა, სადაც ვარაუდობენ, რომ ამ გზით სოფლის მეურნეობის ადგილობრივ პროდუქტებზე ფასები 18%-ით შემცირდება. **„მოსახლეობის ერთ-ერთი პრობლემა გაზრდილი ფასებია. მთავრობა ფასებს მაღაზიების მიხედვით ვერ გააკონტროლებს, მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა საგადასახადო ტვირთის შემცირება და ამ გზით ფასების დაწევა მოხერხდეს. ჩვენი მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია: ხილი, ბოსტნეული, ძროხისა და ღორის ხორცი და მთელი რიგი სხვა პროდუქტები დაახლოებით 18%-ით გაიაფდება“,** – აცხადებს მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი.

შოთა მურღულია (ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში): **„საუბარია დღგ-ისგან პირველადი პროდუქციის გათავისუფლებაზე, რომელსაც სასაქონლო კოდი არა აქვს შეცვლილი, გარდა კვერცხისა. უფრო მარტივად რომ ავხსნათ, საუბარია კიტრზე, პომიდორზე, კარტოფილზე და არა ამ ბოსტნეულის გადამუშავებით მიღებულ პროდუქციაზე. როცა დღგ-ისგან გათავისუფლებაზეა ლაპარაკი, საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის თანახმად, ეს პროდუქცია ისედაც გათავისუფლებული იყო დამატებული ღირებულების გადასახადისგან, ჩათვლის უფლების გარეშე. ახლა კი დღგ-ისგან უკვე ჩათვლის უფლებით თავისუფლდება. გლეხების მიერ წარმოებულ პროდუქციას ეს არ შეეხება, რადგან გლეხი ბუღალტერიას არ აწარმოებს და არც დღგ-ის ჩათვლის უფლება სჭირდება. ცვლილება რეალურად შეეხება იმ იურიდიულ პირებს, რომლებსაც თავისი მეურნეობები აქვთ. მაგალითად, ფერმერული მეურნეობა აწარმოებს როგორც პირველად პროდუქციას, ასევე შემდეგ მის გადამუშავებას ახდენს. ანუ, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე თავად მოჰყავს პროდუქცია და თუ მისი მოყვანის ხარჯებში დღგ იყო გათვალისწინებული, მას ავტომატურად ჩაითვლის. ასეთი კი, ჩემი აზრით, ბევრი არ უნდა იყოს. ხოლო ის, ვინც იბარებს ნედლეულს და შემდეგ ამუშავებს, ეს ცვლილება არ შეეხება, რადგან გლეხი დღგ-ის გადამხდელი არაა და არც ჩათვლა მოუწევს. პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებას ეს ძალიან მცირედით, 3-5%-ით თუ შეეხება. 18%-ით არითმეტიკულადაც შეუძლებელია, პროდუქცია გაიაფდეს. ჩათვლის უფლება იმას კი არ ნიშნავს, რომ მთლიანად დღგ-ის 18% მოაკლდება ხარჯებში, არამედ ჩაითვლება მხოლოდ იმის საფასური, რაზეც ეს გადასახადი გადახდილი ჰქონდა. გარდა ამისა, კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ფასწარმოქმნა არ ხდება მხოლოდ ერთი გადასახადის მოხსნით. ფასწარმოქმნას განსაზღვრავს მიწოდება და მოთხოვნა კონკრეტულ პროდუქციაზე.**

**თუმცა, 5%-ითაც რომ შეუმცირდეს მწარმოებელს ხარჯები, ესეც კარგია. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, ამ ცვლილებების მიღებით ხომ არ შეგვექმნება პრობლემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან. მისი მოთხოვნების გათვალისწინებით, ხომ არ ჩაგვითვლიან ამას ადგილობრივი პროდუქციის პროტექციონიზმად და ხომ არ მოითხოვენ, შეღავათები მივცეთ იმპორტიორებულ პროდუქციას? მთავარი კი ის არის, რა გვსურს სოფლის მეურნეობაში, რატომ ვაკეთებთ ამ შეღავათებს? რაღაც გეგმა ხომ უნდა არსებობდეს? რეალურად, რა არის პრობლემა, – მაღალი გადასახადები, კვალიფიკაცია თუ მიწების დანაწილება? ამიტომ უნდა დავასაბუთოთ ხოლმე, რომ კონკრეტული ცვლილება მოაგვარებს კონკრეტულ პრობლემას ან მის ნაწილს მაინც.**

**ახლა კი რაღაც ფრაგმენტული ცვლილებები ხდება, მაგრამ არავინ იცის, რა შედეგის მოიტანს. დარწმუნებული ვარ, ყველა ცვლილება მიმართულია იქით, რომ ბიუჯეტს შემოსავალი არ შეუმცირდეს, თუმცა, შეღავათი კარგად ჟღერდეს. ასეთ ცვლილებებს რეალური ეფექტი არ ექნება. ამიტომაც ყოველთვის თან უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათები, სადაც გაწერილი იქნება თანამდევი ეფექტი როგორც სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, ისე კერძო სექტორისთვის. აგრეთვე, პროგნოზი, თუ სხვა გარემოებებმა არ მოახდინა გავლენა, რამდენით შემცირდება ფასები სურსათზე. შესაძლოა გადასახადისგან საერთოდ გაათავისუფლო კონკრეტული პროდუქციის წარმოება, მაგრამ თუ ქვეყანაში ფულის მასას გაზრდი, ამან შესაძლოა ფასების ზრდას შეუწყოს ხელი“.**

მოკლედ, არა და არ სურს შეიგნოს ელიტარულ კორუფციაში გარეულმა საქართველოს სომხურმა ხლისუფლებამ, რომ პროდუქციის გაიაფების ერთ-ერთი რეალური გზა ენერგომატარებლებზე ფასების დაკლებაა. მაგრამ დღეს არავისათვის არაა დაფარული, რომ ენერგომატარებლების ბიზნესი სწორედ პრეზიდენტ სააკაშვილის ოჯახს და მის გარემოცვას აქვს ხელში ჩაგდებული. ეგენი კი საკუთარ ჯიბეს არაფერს დააკლებენ და ათას რამეს მიედ-მოედებიან, რათა იმედგადაწურულ ქართველებს არჩევნების დროისათვის ოდნავი შეღავათი მაინც მისცენ, მათი ხმები მოიპარონ, რასაც შემდეგ ძმრად ამოადენენ ხალხს ცხვირში, თუ, რა თქმა უნდა, ათასი სიყალბისა და ვერაგობის გამოყენებით მოახერხებენ პარლამენტში კვლავი უმრავლესობით დარჩენას.

ეს კი ქართველმა ხალხმა არ უნდა დაუშვას! წინააღმდეგ შემთხვევაში, ღირსებიც ვიქნებით, რომ ქართველ ხალხს სული ამოხადოს სომეხმა სააკაშვილმა და მისმა სომხურმა გარემოცვამ.

ასე რომ, გვეყო ძილი, ახლა გამოღვიძების დროა!

ISSN 1987-8966 ილორი

9771987896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge